





№ 1 // 2022

ლიცეიუმი –  
სამთავრობო კულტურული  
და განათლების უზრუნველყოფის  
სამსახური

მთავარი რედაქტორი  
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი  
თამარ გელიშვილი

კომიტეტის უზრუნველყოფა  
მარინე სიყმაშვილი

ამინისტრი გამოიცის  
საქართველოს კულტურის, სპორტისა და  
ახალგაზრდობის  
სამინისტროს ხელშეწყობით



საქართველოს  
კულტურის, სპორტისა  
და ახალგაზრდობის  
სამინისტრო

ciskari1852@gmail.com  
<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

## სარჩევი

„ცისარი“ 170 ნლისა	3	ნინო დარბაისელი პაოლო იაშვილის „დარიანული“ ნაქარაგმევი	48
პოეზია როინ აბუსელიძე	6	გური დავითლიძე	57
პლოხა ნათია კაპანაძე	13	ქართველი ჰემინგუეი (ორიოდ სიტყვა გურამ რჩეულიშვილზე)	
ნინო დილმელაშვილი მოთხრობები	18	დოკამატურგია გიორგი შერვაშიძე	61
ილია ჩავჭავაძე - 185 ვახტანგ გურული ევროპული პროგრესი და სამწუხარო ქართული სინამდვილე	31	ასი ათას ერთი	
ერი ბერია-ესეისტია ნინო სადლობელაშვილი პოეტური ინტერაქცია სიკვდილის შემდეგ (ნუგზარ ზაზანაშვილის ხსოვნას)	44	ახალი თარგმანი ირვინ შოუ ლმერთი აქ იყო, მაგრამ ადრე დაგვტოვა ინგლისურიდან თარგმნა <b>ნინო თოხაძემ</b>	76

გარეკანზე გამოყენებულია რეზო გაბრიაძის  
„ჯალოსნური საათი“

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;  
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;  
უურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე  
განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ  
ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

„ცისაარი“ 170 ცლისაა

ჩვენი უურნალი იუბილარია. უამ-თალრიცხვა 1852 წლიდან იწყება. მძიმე ვითარება უსწრებდა ნინ „ცისკრის“ გამოსვლას. 1801 წლის ანექსის შემდგომი პერიოდი, მთელი ნახევარი საუკუნე, საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების დაქვეითების ხანაა. 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ საზოგადოებრივი ცხოვრების კიდევ უფრო მეტი პარალიზება გამოიწყოა. ორიოდე მაგალითს მოვიხმობთ: 1838 წლამდე საქართველოში არც ერთი ქართული წიგნი არ დაბეჭდილა; 30-იან წლებში ხელი-სუფლების მცდელობითაც კი ვერ მოხერხდა თბილისში საგუბერნიო ბიბლიოთეკის დაარსება, რამდენადაც არ აღმოჩნდა თუნდაც რამდენიმე ათეული პირი, რომლებსაც ბიბლიოთეკით სარგებლობის სურვილი ექნებოდა.

მკაცრი, მაგრამ არსებითად სამართლიანია ამ პერიოდის არჩილ ჯორჯაძისეული შეფასება: „ქართველ საზოგადოებას მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ეროვნულად გარკვეული ფიზიონომია აღარ ჰქონდა. ძველ დროში თუ იყო რაიმე კულტურის ნასახი, თითქოს წაშლილიყო. პოლიტიკურად დასწეულებული ეროვნული სხეული დასწეულდა ზნეობრივად და გონებრივადაც“.

1837 წლის ოქტომბერში იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სტუმრობა გრანდიოზულ დღესასწაულად იქცა. ამის შესახებ სამხედრო ისტორიკოსი ვასილი პოტო წერდა: „1837 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ გააბედნიერა კავკასია თავისი აქ ყოფნით... ქართველი თავადები ასი და ორასი ვერსის სიშორიდან მოდიოდნენ“.

თბილისში, თან შვილები მოჰყავდათ, რომ ხელმწიფისთვის ეჩვენებინათ და მონაწილეობა მიეღოთ დიდ სახალხო დღესასწაულში“.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ნიკოლოზ I-ის სტუმრობას პოზიტიური შედეგიც მოჰყვა. ქართველი არისტოკრატიის კუთილგანწყობით გულდამშვიდებულმა იმპერატორმა შესაძლებლად მიიჩნია, საქართველოს მმართველობითი სისტემის



გარდაქმნა და მისი გადაყვანა სამხედროდან სამოქალაქო ცხოვრებაზე. ამან კი კულტურული ვითარების გაუმჯობესებასა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას შეუწყო ხელი.

1845 წელს საქართველოში კავკასიის ახალი მმართველი, მეფის-ნაცვალი მიხეილ ვორონცოვი ჩამოვიდა. მიხეილ ვორონცოვი ბრიტანეთში რუსეთის ელჩის შვილი

იყო. ინგლისში აღზრდილ მიხეილ ვორონცოვს ტლანქი, დერუავნიკული რუსული პოლიტიკისაგან სრულიად განსხავებული დამოკიდებულება ჰქონდა კოლონიური მმართველობისადმი. ეს იმგვარი სტრატეგია იყო, რომელმაც შემდგომში ინგლისასათვის დადებითი შედეგი მოიტანა – ყოფილი კოლონიები მოკავშირებად გაიხადა. რუსეთი კი დღესაც ცეცხლითა და მახვილით ებრძვის საბჭოთა იმპერიიდან გამოყოფილ ქვეყნებს. ომები საქარ-

ბლის საადგილმამულო ბანკის დასახელებაც კმარა.

სალიტერატურო უურნალის დაარსებაშიც მნიშვნელოვანია დიმიტრი ყიფიანის წვლილი. მიხეილ ვორონცოვმა დიმიტრი ყიფიანის რჩევით მიანდო „ცისკრის“ რედაქტორობა გიორგი ერისთავს. „ცისკრის“ რედაქტორობამდე გიორგი ერისთავს უკვე ჰქონდა მნიშვნელოვანი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. 1850 წლის იანვარში თბილისის ვაჟთა გიმნაზიის სააქტო დარბაზში გიორგი ერისთავის მიერ შეკრებილმა დასმა მისივე კომედია „გაყრა“ წარმოადგინა. ქართველი ძირძველი არისტოკრატიის ოჯახების წარმომადგენელთა გარდა, სპექტაკლებში როლებს ასრულებდნენ: დიმიტრი ყიფიანი, ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, რუსეთის ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე მიხეილ ლორის-მელიქვი.

გიორგი ერისთავს ამ საქმეშიც დიდ დახმარებას უწევდა მიხეილ ვორონცოვი, რომელმაც ქართულ თეატრს მეტად მწვავე პრობლემა გადაუჭრა – თავიდან ააცილა ცენზურასთან არასასურველი ურთიერთობა. ოფიციალური ცენზურის თანამშრომელი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ქართველებისადმი არაკეთილგანწყობილი მოხელე იყო, დასადგმელად გამიზნულ პიესას აღარ შეამონმებდა. ეს ფუნქცია, ვორონცოვის დაუინებული მოთხოვნით, პლატონ იოსელიანს დაეკისრა, ანუ თეატრის დასის წევრი ამავე დროს მისი ცენზორიც იყო.

ასევე დადებითად უნდა შეფასდეს მიხეილ ვორონცოვის როლი, როცა მან უურნალ „ცისკრის“ გამოცემის ნებართვის მოთხოვნისას დამალა ისეთი ფაქტი, როგორიც გიორგი ერისთავის მონაწილეო-



თველოსა და უკრაინის წინააღმდეგ ამის მკაფიო მაგალითია.

მიხეილ ვორონცოვმა უახლოეს თანამშრომლად დიმიტრი ყიფიანი შეარჩია. ამ პერიოდიდან მოყოლებული, თუ რაიმე ეროვნული საქმე გაკეთდა ჩვენში ყველაფრის ინიციატორად და მოთავედ დიმიტრი ყოფიანი გვევლინება. მაგალითისთვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩა-

ბა იყო 1832 წლის შეთქმულებაში. მანვე გამოიწერა წმინდა ნინოს სასწავლებლისათვის ასი ცალი უურნალი, რაც, ფაქტობრივად, ერთგვარი სუბსიდია იყო უურნალისათვის.

პირველ ქართულ სიტყვიერებით უურნალს გიორგი ერისთავმა „ცისკარი“ დაარქვა. რედაქტორის ნიჭიერება ამ სახელდებაშიც ჩანს. ცისკარი, ანუ განთიადის ვარსკვლავი უფლის მატერიალიზებული სიმბოლოა („მე ვარ... ვარსკვლავი ბრნყინვალე განთიადისა“). „ცისკრის“ სახელდება ერთგვარ სემანტიკურ არქეტიპადაც კი დაედო შემდგომი დროის ასევე ფრიად მნიშვნელოვან ქართულ ლიტერატურულ გამოცემებს – „მნათობი“, „განთიადი“, „პირველი სხივი“.

უურნალ „ცისკარზე“ მისი ნათლია-რედაქტორი, ისევე, როგორც იმუამინდელი მოაზროვნე ქართველობა, განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა. „ცისკარს“ ღვთაებრივი საუფლოს კარი უნდა გაეღო – ჩვენს სულიერ აღორძინებას უნდა დასდებოდა საფუძვლად. ასეც მოხდა.

გიორგი ერისთავის რედაქტორობით „ცისკარმა“ მხოლოდ ორ წელიწადს იარსება. 1857 წელს უურნალის აღდგენა ივანე კერესელიძის სახელს უკავშირდება. ივანე კერესელიძის უურნალი შინაარსითაც და მასალის მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა წინამორბედისაგან. რაც მთავარია, როგორც ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, ამ პერიოდის „ცისკარმა“ აკვნბა გაუწია იმ ყმანვილ მნერლებს, რომელთაც მერე, სამოციან წლებში, წინანდელ მნერლებთან ერთად ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთადენასა“.

ასი წლის შემდეგ, 1957 წელს, განახლებულმა უურნალმა კვლავ

იდო თავს განსაკუთრებული მისია. ვახტანგ ჭელიძის ირგვლივ შემოკრებილმა ახალგაზრდობამ, მეოცე საუკუნის „სამოციანელებმა“, ახალი სული შთაბერეს კომუნისტური დიქტატურის შიშით ხმაგავმენდილ ქართულ მწერლობას. მათ შემოქმედებაზე აღიზარდა თავისუფლებისმოსურნე მკითხველი და საერთოდაც, საქართველოს დამოუკიდებლობა ქართველ მნერალთა ინიციატივა იყო. ამ საქმეში „ცისკარს“ ლომის წილი უდევს.

„ცისკრის“ დამსახურება ქართული სულიერების, ქართული კულტურის წინაშე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, სამსაუკუნოვანი უურნალი ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ფასდაუდებელი საგანძურია. ეროვნულ ცნობიერებას კულტურა ქმნის, რაშიც მნერლობის როლი განსაკუთრებულია.

„ცისკარი“ ფენიქსივით რამდენჯერმე აღდგა. 2015 წელს აღდგენილ-განახლებულ უურნალს „ცისკარი 1852“ ვუწოდეთ. ამგვარი სახელდება იმის გამომხატველია, რომ თავს გიორგი ერისთავისა და ივანე კერესელიძის უურნალის სულიერ მემკვიდრეებად მივიჩნევთ. 2015 წელს, აღდგენილ-განახლებული უურნალის საზოგადოებისთვის წარდგენისას ითქვა, „ჩვენი ყოფაცა და სულიერი არსებობაც მუდმივ ქმნადობა-განახლების პროცესშია, მხატვრული სიტყვა ჩვენთვის ისეთსავე ლოგოსურ მნიშვნელობას იძნეს, როგორც სახარებისეული „პირველთაგან იყო სიტყვა. ამ რწმენით ჩვენ აღთქმული ქვეყნისაკენ მივემართებით“. დღესაც იმავეს გავიმეორებთ:

ჩვენ დღესაც გაზაში ვართ!



## როინ აბუსელიძე

### პირველი შეხვედრა

წვიმის ქალაქში იმ დღესაც  
 წვიმდა,  
 იწუნებოდნენ  
 მაგნოლიები,  
 შენი ჩურჩული ურუანტელს  
 მგვრიდა  
 და ათას რამეს  
 გაყოლიებდი.  
 ნუთუ ცხოვრება მართლა  
 ბედია,  
 და ყველაფერი მაღლა  
 განსაჯეს?!  
 ერთ ზღვაში ორჯერ აღარ  
 შედიან,  
 მე შენს ლელვაში მოვხვდი  
 ათასჯერ...  
 წვიმის ქალაქში იმ დღესაც  
 წვიმდა  
 და გზები იყო  
 გადაკვეთილი  
 და რაღაც მძიმე, უცხო და  
 წმინდა  
 შემოდიოდა ჩვენში  
 ღმერთივით...  
 მერე კი ყველა ნერვი  
 დატბორა,  
 დაუკავშირა გრძნობა  
 განვლილ წლებს

და როგორც კარგი წიგნის  
ავტორმა,  
დაფნის გვირგვინზე ფიქრი  
დავიწყე,  
თუმც კაცი თურმე მაშინ  
ეცემა,  
როცა იმედი თითქოს  
გამაგრებს,  
ჯერ შენ და მერე ჩემმა  
ლექსებმა,  
ტერენტისავით ჯვარზე  
გამაკრეს!  
ბათუმს მოედო წვიმის  
არშია,  
წვიმდა უმიზნოდ, უხმოდ,  
სიბეჭით  
და როგორც იმ ძველ  
სიმღერაშია,  
თითქოს ჩვენც წვიმად  
გადავიქცით.

## ქოხის და სარკეს იგავი

(ის შევა ქოხში, სადაც ერთი მყიფე სარკეა,  
ქოხში რეალურს ემიჯვნება ძველი იგავი:  
უნდა ჩახედო სარკეს გულში, რომ გაარკვიო,  
როგორ იყავი, სად იყავი ან ვინ იყავი).

შემდეგ ლექსებიც გარემოსფერ ნიღბებს ირგებენ,  
ჰო, პოეზიაც აღარ დარჩა ნალდი, არიეს,  
სთვლემდა პოეტი წინა ღამის ნამორიგევი,  
რომ ვერ დაუსხლტა ენის კაუჭს, ენის ბარიერს.  
ვერ აითვისა უცხო სიტყვის ზუსტი აქცენტი  
და წყლიან თვალებს მთვარეების ბილბორდებს აკრავს,  
მსუყე ჯამაგირს რომ ჰყოფნოდა შეეძლო, მაგრამ...  
ბინა, სიმშვიდე, სამსახური არ აქვს არცერთი.

(უყურებს სარკეს ის აჩვენებს თითქოს ბოლო დღის  
ამბებს, ამინდებს, ისტორიას, ტკივილს გახედნილს,  
უყურებს სარკეს და ამშვიდებს პოეტს მხოლოდღა,  
რომ გრამითაც არ ეშინია მასში ჩახედვის.)  
ადრე დაიწყო უსასრულო სევდის კანტანტა,  
დღეს მის თვალებში ძველ იმედებს ვინდა იპოვის?!

მას ხომ უბრალოდ ცელქი გოგო შეუყვარდა და  
გულუბრყვილობით დაიკიდა ფეხზე დიპლომი...  
და შერჩა მხოლოდ ერთი ცალი სულის მაიკა  
და მოგზაურობს პლანეტაზე ფიქრის ჩემოდნით  
და ფიქრობს ყველა სულელია ვინც კი my god-ს,  
ვერ გამოხატავს მშობლიური – ღმერთო ჩემოთი.  
მაგრამ ხანდახან ხმაურს იწყებს მისი ამბოხიც,  
ვერ ეგუება ამდენ ნათევს, ნათმენს, ნაჭვარტლევს,  
ის ეძებს იმედს ლექსის მიღმა, მიღმა ამ ქოხის...  
სადაც დატოვა „მორეული ცის სილაუვარდე“.

(ეს ქოხი ადრე დიდი იყო, თვალებჩაცვენილ  
და გამწარებულ ღმერთს იტევდა, ზრდიდა, მაღავდა,  
მაგრამ იმდენად დაიღალა ქოხი ჯვარცმებით,  
კი არ განევრცო, შემცირდა და დაპატარავდა).

სარკე კი ჰყვება გასულ ამბებს, სარკე მხნედ არი  
ირგვლივ მრავალი სიკვდილია, ცრემლი, ასე რომ –  
თუ კი არსებობს ამ სოფელში ერთი ცხედარიც,  
ეჭვგარეშეა იმ სოფელმაც რომ იარსებოს.

იწყება თოვლი, მობუზულან გარეთ ხუნდები,  
დაჲყურებს მინის უძრაობას შურით მდარე ცა,  
იგი გამოვა ამ ქოხიდან თუმც შეპრუნდება,  
შებრუნდება და  
სარკეს დალენავს!..

## ესე ჩვენო და დედაო ერთიანობა

დღეს სულმა სხეულის სამოსი გარიყა  
და სანამ ცას ვუმზერ, ჯერ კიდევ მთვარიანს,  
მინდა, რომ მოგიყვეთ რა ვარ და რა ვიყავ,  
მამაო ჩვენო და დედაო მარიამ.  
მე ვენდე და დავრჩი უფალო – ნოესთან,  
ის იყო პირველი მხსნელი და მოკეთე,  
დავცინე წარლვნაში დარჩენილ პოეტს და  
სივრცე არ გვყოფნიდა კიდობნის პოეტებს.  
სანთლების დიდებით დაოსილ ტაძარშიც,  
ცოდვები გამელლვო არ დამიზარია  
და მინდა მოგიყვეთ რა ვარ და რა დავრჩი,  
მამაო ჩვენო და დედაო მარიამ.  
ვხარობდი მესამე ყივილის გამო და  
მინდოდა, რომ ზეცა წითელი მეხილა,  
თუმც ისიც ვიყავ,

ვინც იმას ამბობდა, –  
 რომ მამალს მესამედ არ უნდა ეყივლა.  
 ჰქონიდა წელთაღრიცხვას, საოცარს, მზის საგა,  
 დღე იყო მუქი და დღე იყო რევანშის,  
 როს ეკლის გვირგვინებს გინწავდნენ,  
 ბზისაგან –  
 დიოდა წყალი და ვტიროდი მე მაშინ.  
 საღამოს ლოცვები გალობად მომესმა,  
 ცა ანგელოსებმა ნისლებით დაორთქლეს,  
 პოეტიც ადამი ყოფილა, რომელსაც  
 არ შერჩა არცერთი ნეკნი და სამოთხე.  
 ცოდვებს ხომ მარტივად ვერ ჩამოიფერთხავ,  
 ფიქრებში კი არა ლოცვებშიც ბინდდება  
 და ფილტვებს შიგნიდან ხმაურით მიხეთქავს,  
 ხარხარში ჩაკლული ტირილის დიდება.  
 იმედი – იმედში მოჩანდა წერტილად,  
 სატანამ თავისი შეკრიბა სიხოდი,  
 ჯვარზე რომ გაკრავდნენ მინდოდა მეტირა  
 და ჩემს მაგივრადაც, ლმერთო, შენ ტიროდი...  
 წარსულს თვალს ვადევნებ დალლილი ფიქრებით,  
 არ ვმალავ თუ რა მნყინს ან რა მიხარია  
 და იქნებ თქვენც მითხრათ ხვალ როგორ ვიქნები,  
 მამაო ჩვენო და დედაო მარიამ.

●  
 დრო აცოტავებს ცრემლებში  
 მარილს,  
 თუმც ვეფინები წარსულს  
 ქათიბად,  
 ჩემი ეზოდან წამოვა  
 ქარი  
 და შენს ბალებში ვარდებს  
 გათიბავს.

თვალს გავუსწორებ ტაძარში  
 ხატებს,  
 იქაც შემოვა ცივი  
 ქარის ხმა  
 და შენი შავი საყურის  
 ნატებს  
 მაჯაზე როგორც დანას  
 დავისვამ.

მე დავიცლები სევდით და  
 სისხლით

და შენში ყველა წყენა  
მოკვდება,  
ცისფერი ცისკენ ცხელ მზერას  
ისვრი  
და შეეცდები მზის  
ჩამოგდებას...

და მოგიკვდები ასე  
სანატრელს,  
აფეთქდებიან როცა  
ატმები,  
ჩამქრალ ბუხართან ვნებებს  
აანთებ  
და ჩემი ლექსის ცეცხლით  
გათბები...

დრო აცოტავებს ცრემლებში  
მარილს,  
თუმც ვეფინები წარსულს  
ქათიბად,  
ჩემი ეზოდან წამოვა  
ქარი  
და შენს ბალებში ვარდებს  
გათიბავს.

## ●

სიკვდილმა უკვე  
ჩაიარა,  
სიცოცხლეც  
სიკვდილივით  
მიდის,  
რა ტკივილები ან  
რა იარა,  
რა წყალზე გასადები  
ხიდი?..  
დინჯად,  
მოკრძალებით,  
დაფიქრებით,  
წლები აურეკლავს  
სარკეს.  
რა ვარ?  
რა ვიყავი?  
რა ვიქნები?  
მთელი ცხოვრებაა  
ვარკვევ!...

●

ხავსმოკიდებული სიმღერა გამახსენდა,  
 შენს ეზოს რომ ჩავუარე ამ დილით,  
 ახლა მომავალი აბსურდია, არ არსებობს,  
 მხოლოდ წარსულია ნამდვილი.  
 მაღალი შენობები, გალავნები, სახლები,  
 საიდან მოისხით სეზონებო?  
 იცი, შენს ბავშვობას, მუხლებგადაყვლეფილს,  
 კვლავ ვეძებ, სიყვარულო, ეზო-ეზო.  
 ჩამქრალი კოცონები, ბებერი მეგობრები,  
 მხვდებიან ამ ქუჩაზე მალიმალ,  
 ვიღაცას უსათუოდ პოეტი ვეგონები,  
 ახლა იმნაირად მთვრალი ვარ...  
 და ყურში ზარივით მიწკრიალებს  
 ათობით  
 ლექსი და განცდა და მუსიკა,  
 ნეტავ დღეს ვის სარეცელს იყოფ და ათბობ და  
 ვის აკვანს არწევ და უზიხარ?!  
 ის სიტყბოგასული სიტყვები მომყვებიან  
 გულის გალენილი ფიცარიც,  
 შენთან, შენთან მომაქვს, ლოთს და ბოჰემიანს.  
 ვაი თუ, ვაი თუ ვერ მიცანი.  
 როგორ მიყურებდი ფანჯრიდან, გამახსენდა,  
 წვიმები რომ წვიმდნენ წყვეტილად,  
 ცამდე მენატრები თვალებლამაზებავ,  
 ღმერთივით სანდოვ და კეთილო.  
 გავივლი ამ ქუჩებს, ამ სახლებს ამ აღმართებს,  
 დავიპნევი იდუმალ ზრახვებად,  
 და ერთხელ, ამ ერთხელაც უშენოდ დავალამებ  
 და ძილში წყევლასავით ჩამყვება:  
 „მივდიოდით მხარდამხარ  
 და დრო გვეუარესა,  
 ან არ ვიცი სადა ხარ  
 და რომელსა მხარესა“.

## მე დედამიწაზე

მე, დედამიწაზე, ყველაზე მარტო ვარ,  
 და როგორ შემძულდა ეს სიტყვაც – \„საშველი“\  
 და ვითვლი საათებს სხეულმაც დამტოვოს,  
 სული ამ თიხიდან მაქვს გამოსაშვები.  
 ვერ მივხვდი, თუ როდის ვიქეცი ასეთად,  
 მე დედამიწაზე ყველაზე მარტო ვარ!  
 ვინც ფიქრობს ჩემ გვერდით იდგა და მავსებდა,

ეს სიცარიელეც მან გამიფართოვა.  
 და მეც რომ გაფრენა... ჰო, არ შემიძლია,  
 ამაზე ნაკლებად ვლელავ და ვლელავდი,  
 ეს ისეც იცოდნენ, იცით და იციან,  
 მე მარტოობით ვარ ჩაფლული ყელამდი.  
 მეტირა? ვისთვის ან რაღასთვის მეტირა?  
 წლებია რაც ჩაწვა ეს უამინდობა,  
 მე ხომ სიცოცხლეზე ცოტათი მეტი და  
 სიკვდილზე ცოტათი ნაკლები მინდოდა.  
 და ამ ბრწყინვალების აბსურდულ შუალედს,  
 ვერ ვაგნებ, არ არის! იქნებ არც არსებობს,  
 საკუთარ თავს ბევრჯერ წრე შემოუარე,  
 ჰო, შენ, ჩემო თავო! ამჯერად ასეთო...  
 სული ამ თიხიდან მაქვს გამოსაშვები,  
 სანამდის სულ ბოლო ზამთარმა დამთოვა  
 და როგორ შემძულდა, ეს სიტყვაც „საშველი“,  
 მე, დედამინაზე, ყველაზე მარტო ვარ!...

## ●

რომ აგედევნება ქარი,  
 გეგმებს ჩამომარცვლავ მომავლის,  
 შემდეგ განშორების მარილს,  
 გულზე მეათასედ  
 მომაყრი...  
 მიტოვებული და  
 დალლილი,  
 ვეღარ მოვიშუშებ დამღებს,  
 კუდში გამოგყვები ძალლივით  
 და ძველ სიყვარულზე  
 დავყეფ.  
 მერე,  
 გამჭორავენ ქილიკით,  
 თუმც კვლავ იყვავილებს ბზა.  
 ჩემო საცალფეხო  
 ბილიკო,  
 ჩემო ტაძრისაკენ გზავ...



## 6. თითა კაპანაძე

### ლილიანი

— ნეტავ სად წავიდა?!

სახლიდან ხშირად იპარებოდა. პატარ-პატარა მინიშნებებს მიტოვებდა, რომ მეპოვნა. ეს იყო ჩვენი თამაში და ერთგვარი ტრადიციაც, როცა სახლში ვინმე გააბრაზებდა, მიდიოდა ტყე-ტყე, მთა-მთა, ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანი არ შეხვდებოდა...

მტაცებელი ცხოველივით დაძრნოდა, თმას გაიშლიდა და ასე, ტალახში ამოგანგლული ისკუპებდა, ხან ერთ ხეს ამოეფარებოდა, ხან მეორეს... ასე თავს დაცულად გრძნობდა, ვხედავდა. ის უმეტესად ვერ მხედავდა.

სანამ დაიბადებოდა, აბა, რა ვიცოდი, რომ მოვიდოდა და დამჭრთხალი ბაჭიების მსგავს ცხოვრებას მომიტანდა?! ვიჯექი ხოლმე და ვუყურებდი, როგორ იზრდებოდა დედაჩემის მუცელში და როგორ ემსგავსებოდა ნესვს. აი, ახლა გასკდება — ვფიქრობ, აი, ახლა და გადმოიღვრება მისი ტკბილი სურნელი, მისი მზისფერი სიტყბო.

დაიგვიანა. ძალიან დაიგვიანა. თოთხმეტი წლის ვიყავი რომ დაიბადა. „შემთხვევითი ბავშვი“ იყო და ცხოვრებაც ასეთივე ჰქონდა. ჩვენთან ჩვეულებად იყო, შვილი აუცილებლად ბიჭი უნდა გყოლოდა, ვაჟაცი, გვარის გამ-

გრძელებელი. ასე ვიბადებოდით ჩვენს სოფელში ღვთისა და მამის რჩეული შვილები და მერე... ისროდნენ მამები თოვებს, სვამდნენ და მღეროდნენ კვირების განმავლობაში, რადგან ბიჭის დაბადება არც თუ ისე ხშირი იყო, რადგან გოგოზე ორსული დედები შვლიმკვდარი დედები ხდებოდნენ.



— შენი ძმა რომ დაიბადება ყველა-ფერს შენ ასწავლი, უკვე დიდი ხარ. მასზე ზრუნვა შენ მოგეთხოვება, — მითხრა მამამ ნადირობისას.

— მაინც, რა უნდა ვასწავლო?

— როგორ გახდეს კაცი და იცხოვ-როს კაცურად!

— და როგორ უნდა გახდე კაცი?

— შენი სიტყვა კანონი უნდა იყოს; შეუპოვარი უნდა იყო, ისეთი, როგორიც მე ვარ. თავი არავის უნდა დააჩაგრინო და თუ მაინც ეცდებიან, რომ დაგრძიგრონ, ეს უკანასკნელი უნდა იყოს, რასაც ისინი გააკეთებენ.

— კაცობა ეგ არის?

— თოთხმეტი წლის ხარ, უკვე უნდა იცოდე, რა არის კაცობა.

იმ საღამოს სახლში მივიტანეთ მზისქვეშ გაწოლილი ზაფრანისფერი

შველი... იმ საღამოს შემდეგ ხშირად ვფიქრობდი არაკაც მამაჩემზე.

●  
დაბინდებამდე ვეძებდი და ბოლოს ვიპოვე... ყოველთვის ასე იყო, სა-დაც არ უნდა წასულიყო ყოველთვის ვგრძნობდი მის სიახლოვეს. ეს იყო განსაკუთრებული კავშირი და, მიუხე-დავად იმისა, რომ მე მას კაცობა ვერ ვასწავლე, მან შეძლო და სიყვარული მასწავლა.

რა თქმა უნდა, მის დაბადებას სიხარუ-ლის წაცვლად შიში მოჰყვა, სიკვდილის შიში. შერტხვა მამაჩემი მთელი სოფლის წინაშე; მთელი სამყაროს წინაშე; აბა, როგორ, მას ხომ გოგო ეყოლა?!

გამთენისას დაბადა ლილიენი.

გამთენისას მოკლეს ჩვენი სოფლის ერთადერთი ექიმი. გაისროლეს თოფი არა – სასიხარულო, არა ბედნიერების და ჩამოწვა ჩვენს სახლში სევდის ნისლი.

ნაწილ-ნაწილ აგროვებდა დედა ბედ-ნიერებას და ლილიენს სულში უფუ-თავდა. ნაწილ-ნაწილ იცლებოდა დედა ბედნიერებისგან ყოველ ღამით, როცა ჩვენი ოთახიდან გადიოდა და თავის საძინებელში შედიოდა. ყოველ დილით, როცა თავის საძინებლიდან გამოდიოდა და უკან მამა მოჰყვებოდა.

მალე ჩამოიშალა დედაჩემი.

მალე მოუწია გაზრდა ლილიენს.

●  
დაუპატარავდა და მხრებზე გადაას-კდა დედის შეკერილი ერთადერთი კაბა.

„ეგ კაბა არ გიხდება ლილიენ, სხვა რამე ჩაიცვი!“ – ხშირად საყვედურობ-და მამა, თუმცა, ის მაინც არ იშლიდა მანამ, სანამ იმ კაბის წაცვლად საწოლ-თან ჩემი ძველი შარვალი არ დახვდა.

ხმა არ ამოულია, ჩაიცვა და ეზოში გავიდა.

მამასთან სიახლოვეს ყოველთვის თავს არიდებდა, განსაკუთრებით მას

შემდეგ, რაც დედა გარდაიცვალა. არც კი უყურებდა... უფრო და უფრო ჩაკე-ტილი გახდა, ჩემთანაც...

მერე შევნიშნე, რამდენჯერმე რო-გორ ადგა შუალამეს და როგორ გაშეშ-და მძინარე მამის საწოლთან. მხოლოდ იდგა, არაფერს აკეთებდა. მე კი ვერა-ფერს ვეკითხებოდი...

ოდესმე თუ გიგრძვნიათ, როგორ კარგავთ ყველაზე ძვირფას ადამი-ანს, აუცილებლად გამიგებთ. რადგან რთულია იპოვო ადამიანი, რომელსაც მთელი არსებით შეიყვარებ, თუმცა, ბევრად რთულია თავად გახდე ასეთი ადამიანი სხვისთვის! რაც არ უნდა გა-კავშირებდეთ...

სასაფლაოზე სიარულს მოუხშირა, ესეც მისი საიდუმლო თავშესაფარი. ცოტა ხანი ვაცადე, მერე მივედი და გვერდით მივუჯექი – არ გაჰკვირვებია.

– იცი დედა როგორ მოკვდა?  
– დაეცა და საფეთქელი გაუსკდა.  
– ის მამამ მოკლა!

– რას ამპობ, ლილიენ?! – გულის სიღრმეში ამაზე მეც მიფიქრია, მაგრამ ამის მოსმენა მისგან შემაძრწუნებელი აღმოჩნდა...

– დავინახე ნიკოლო.  
ასე მაშინ მეძახდა, როცა ცუდ ხა-სიათზე იყო და ჩემი ხუმრობები აღი-ზიანებდა.

დედის გარდაცვალების შემდეგ გა-დავწყიტე სოფელში დავრჩენილიყა-ვი, არ მინდოდა ლილიენი სულ მარტო დარჩენილიყო და პირიქით გამოვიდა – მის გვერდით ვიყავი, ის კი მაინც მარ-ტო იყო.

– მამა უყვიროდა: ჯერ ერთიც არ დავიწყებიათ, თუ ისევ გოგო იყო, სა-მუდამოდ მომეჭრება თავი. სიკვდილის მერეც ქილიკით გამიხსენებენ, საერ-თოდ თუ გამიხსენეს... დედა უარზე იყო, ტიროდა. მან კი ყვირილისას ხელი ჰკრა – იქნებ გაუცნობიერებლად?! მაგრამ... დედა მან მოკლა.

●

– რამდენი ხანი მალავდა ამ ამბავს? ეს ისტორია მუდმივად მის გონებაში ტრიალებდა, ფორმას იცვლიდა და უფრო დამაჯერებელი ხდებოდა. როცა ამაში საკუთარი თავი დააჯერა, მერე შენი ჯერი დადგა, ნიკო. ხომ იცი, რომ ამას ვერ გავაკეთებდი?! – მამა თავის დასაცავად მხოლოდ ამას იმეორებდა...

მესამე დღეს სოფლის ჩურჩული აპობდა სივრცეს, სერგოს გოგო გაგი-ჟებულა და ფსიქიატრიულში მიჰყავთო. ეს ჩურჩული ლილიენის წაყვანის შემდეგაც გრძელდებოდა. დიდხანს გრძელდებოდა, რადგან სოფელი პატარაა, რადგან სოფელში სიახლე ძალიან ცოტა და იშვიათობა იყო. სანამ რამე სხვა სიახლე არ გადაფარავდა, მანამ იქნებოდა ლილიენი მათი სასაუბრო თემა..

მე კი წამოვედი...

მივატოვე მამა და წამოვედი.

ვგრძნობდი, ლილიენის მჯეროდა და, როცა მამაჩემს ვუყურებდი, ლილიენის გამწარებულ ბავშვობას და დატანჯულ დედაჩემს ვხედავდი. არ მინდოდა ლილიენი შემთხვევით ბავშვად დარჩენილიყო, რომელიც მთელ დარჩენილ სიცოცხლეს ფსიქიატრიულში გაატარებდა. ამიტომ, მივედი და ისიც წამოვიყვანე!

ვერ ვიტყვი, რომ ბედნიერებამ თვალებში ის სევდა გაუქრო, თუმცა, ვგრძნობდი, ჩემდამი მადლიერებას იმის გამო, რომ ვენდე. ერთადერთი ის გვანუხებდა, რომ დედის საფლავზე ჩასასვლელი ძალა ჯერ კიდევ არ გვქონდა...

●

ყოველი დღე ახალი თავგადასავალი იყო. ყოველ დღე თავიდან ვიწყებდით ცხოვრებას, რადგან ნებისმიერი დღის ბოლოს სინანულს ვგრძნობდით. ვფიქრობდი და ვხვდებოდი, რომ მამის რჩევა ლილიენთან მიმართებით ძალიან გა-

მომადგა: რომ მე უნდა მეზრუნა მასზე და ჩეგან უნდა ესწავლა ძალიან ბევრი რამ. ვერ ვხვდებოდი საკუთარ თავში მაშინ ამხელა ძალა საიდან ვიპოვე და როგორ მივატოვე მამა.. ლილიენს კი ჩემთან ცხოვრება ახარებდა.. იზრდებოდა და თითქოს ყველაფერი დავიწყებას ეძლეოდა. მართლა ასე ვართ ადამიანები მოწყობილი – შეგვიძლია მშობელი მამა, ყველაფრის მიუხედავად, მარტოობისთვის გავწიროთ.

ეს მხოლოდ ილუზია იყო. ერთ დღე-საც ველარ გაძლო და მითხრა: მინდა, უკან დავბრუნდეთ! ბევრი წელი იყო გასული და, ალბათ, დიდი ხანი ეძებდა ამისთვის ძალას. ლილიენი რომ არა, მე ამ ნაბიჯს, ვფიქრობ, არასდროს გადავდგამდი.

იმ სახლის ჭიშკართან ვიდექით, საიდანაც ლილიენი ყველასთვის დასამალად იპარებოდა, მე კი დაუფიქრებლად უკან მივყვებოდი, ეს ყოველთვის ასე იყო... ჩამონგრეული სახლის სახურავიდან დაგროვებული წვიმის წყალი უონავდა; დამშრალი ჭის გვერდით დაჭეჭყილი რკინის ვერდო ეგდო; ბალახი მუხლამდე გვწვდებოდა და, ზამთრის სუსხის მიუხედავად, ფეხის უფერული კვამლის ნასახიც კი არ მოსჩანდა. მხოლოდ გვერდით სახლის ეზოდან იყეფებოდა მეზობლის ძალლი...

– ალბათ, ცოცხალი აღარ არის... – ჩუმად მითხრა ლილიენმა და გულში ტკივილი შიშმა შემიცვალა.

„თუ მართლა ასეა?“

მეზობლის ძალლი გაუჩირებლად ყეფდა. კიბესთან ვიდექით მე და ლილიენი, კიბეზე ასვლის კი ორივეს გვეშინოდა მანამ, სანამ შიგნიდან არ გაიღო კარი და ზურბლზე ყავარჯინიანი მამა არ შემოგვეგება...

მატარებლის სადგური

პირველად რომ ვნახე, მაშინ ბავშვი

ვიყავი, ის კი ნაბიჯეს ძლიერ ადგამდა და მაინც ყოველთვის, როცა სოფლი-დან ქალაქში მივდიოდი ან უკან ვპრუნ-დებოდი, ჟურნალ-გაზეთებით ხელში ჯიუტად იდგა მატარებლის სადგურზე და იმედის თვალით უყურებდა თითოე-ულ მგზავრს.

მე ვიზრდებოდი, მისი ცხოვრება კი არ იცვლებოდა. ჰყიდდა ანეგდოტებს, კროსვორდებს, სხვადასხვა საინფორ-მაციო ჟურნალებს და ბროშურებს. ბოლოს ისე უჭირდა სიარული, მემან-ქანემ პატარა სამფეხა სკამი მისცა და იმ სკამზე მჯდომი გვხვდებოდა მგზავ-რებს.

კაკა 87 წლის ჭაღარა, შავ-თეთ-რთვალება მოხუცი იყო. შავ-თეთრთვა-ლება იმიტომ, რომ ერთი თვალის გუ-გაზე თეთრი გარსი გადაჰკვროდა და სიშავე თითქმის სულ დაეფარა. ჩია ტანის კაცი იყო – ძალიან ლამაზი ლი-მილით. პირველად რომ გამილიმა, მისი გალიმებული სახე აღარასდროს დამ-ვიწყებია. ალბათ, ასეთი მოხუცები ინ-ვევენ უპირობო ნდობას, იარების მიუ-ხედავად, სილადეს რომ ვერ ფარავენ!

დღემდე არ ვიცი, სად იყო მისი სახ-ლი. ვიცი მხოლოდ ის ისტორია, რაც თავად მიამბო და რაც მემანქანისგან გამიგონია. ამ ისტორიის მოსათხრო-ბად კი მხოლოდ ერთი მიზეზი მაქვა: არასოდეს დამავიწყდეს ის, რამაც ოდესალაც ჩემზე ძალიან იმოქმედა.

– სამუშაოდან რომ მოვდიოდი (მაშინ მატარებელი ყოველ დღე არ დადიოდა) ახალგაზრდა ვიყავი და ფეხით დავუყ-ვებოდი-ხოლმე ლიანდაგებს. საათებს ვანდომებდი სახლამდე მისვლას. ბევ-რჯერ შუალამეს მივსულვარ და მომ-ლოდინე დედაჩემს ჭიშკართან გადავ-ყრივარ. იმხანად ძალიან უდარდელი ვიყავი და ამ გზებზე ბევრი მეგობარიც შევიძინე. სოფლის მთელი სიტკბოება: რას არ გადაეყრები გზაზე ფეხით მი-მავალი კაცი... ასე გადავეყარე ჩემს ცოლსაც. ჩემი ნუნუკა საოცარი გოგო

იყო, ყველას უყვარდა. ეჲ, შენ გვონია ვამეტებ? სიმართლეს გეუბნები.

ჩვენი შეხვედრა ბედისწერა ნამდვი-ლად არ იყო, ბედისწერა რომ ყოფი-ლიყო ერთმანეთს არ უნდა შევხვედ-როდით. მაშინ ყველა სოფელს თავისი ფოსტალიონი ჰყავდა. ნუნუს მამაც ფოსტალიონი იყო და ხშირად ეხმარე-ბოდა მამამისს. თავიდანვე არ მოვწონ-დი იმ გოთვერანს. საქმე იმაშია, რომ, როცა მე ნუნუკა გავიცანი, ის უკე დანიშნული იყო, ოჯახებს მოლაპარა-კებაც ჰქონდათ და მალე ქორწილიც უნდა ყოფილიყო, თუმცა ის დრო, რაც დათემულ ქორწილამდე გვქონდა, ერ-თმანეთის მიმართ გრძნობების გასაჩე-ნად საკმარისზე მეტიც აღმოჩნდა.

კაკო პაპა სვენებ-სვენებით მიყვე-ბოდა-ხოლმე თავის ისტორიებს. მატა-რებლიდან რომ ჩამოვდიოდი, რამდენი-მე საათი ისე გადიოდა მასთან საუბარ-ში, ვერც კი ვამჩნევდი. მერე მეტყოდა: სახლამდე ფეხით ბევრი გაქვს გასავ-ლელი, წადი ახლა. მეც შევხედავდი მის გვერდით მდგარ დაკუჭულ ბოთლს, წყალი თუ არ ჰქონდა, ავუვსებდი და ვემშვიდობებოდი. კვირაში ორჯერ ან სამჯერ ვნახულობდი, როცა ქალაქში წასვლა მიწევდა. ვბრუნდებოდი და სამ-ფეხა სკამზე მჯდომი ჯერ მე შემომხე-დავდა ლიმილით, მერე სხვა მგზავრებს დაუწყებდა ყურებას იმედის თვალით. ქალაქში ჟურნალებს აღარავინ ყიდუ-ლობდა, ყველა მასთან მიდიოდა. მატა-რებლის სადგური რომ მგზავრებისგან დაიცლებოდა, ვრჩებოდით – მე, კაკო პაპა და მემანქანე.

მიყვარდა მისი ისტორიები. არას-დროს ავიწყდებოდა, სად წყვეტდა ამ-ბავს და შემდეგ ნახვაზე ზუსტად იქი-დან აგრძელებდა, სადაც გაჩერდა.

– ნუნუ ხშირად სთხოვდა მამას, ფოსტას მარტო დავარიგებ, უფრო მა-ლე მოვრჩებიო. ისიც ხვდებოდა, კარგი რომ არაფერი ხდებოდა მისი შვილის თავს და ნერვიულობდა. რა დამავიწ-

ყებს, ჩუმად რომ გამოჰყვა ნუნუკას... მისი ჩანთა მე მიმქონდა, მივსეირნობდით და ვლაპარაკობდით. არ ვიცი რამდენ ხანს მოგვყვებოდა ჩუმად, ალბათ, რომ დარწმუნდა ჩემს გოგოს თავგზას უბნევსო, გინებით გამოვარდა. შეშინებული ისე სწრაფად გავრბოდი, ჩანთის დაგდებაც ვერ მოვიფიქრე. ნუნუკა ხშირად დამციროდა, მოხუცმა მამაჩემმა როგორ შეგაშინა.

ივანე ამაყი კაცი იყო, შერცხვენას არავის აპატიებდა. ამიტომ ქორწილი დააჩქარა. სულ რამდენიმე კვირაც და ნუნუკა სხვას გაჰყვებოდა, სხვის სახლში იცხოვრებდა. მამამისთან ვერ მივიდოდი, ვიცოდი, რაც არ უნდა მეთქვა, არაფერზე დამთანხმდებოდა.

ის რამდენიმე კვირა ნუნუკაც არ მინახავს, დიდი ხნის შემდეგ მითხრა – მაშინ მეგონა, მიმატოვეო. ვფიქრობდი, რა უნდა მექნა?! გამოსავალი არ იყო, მოტაცების გარდა. დილიდანვე, სანამ ყველა სამზადისში იყო, ზოგი სუფრას შლიდა, ზოგი „პალატკას“, მეც ჩემს სამზადისზე ვზრუნავდი.

ნუნუკა ფანჯარასთან იდგა, მელოდებოდა. დამინახა თუ არა, უხმოდ ჩამოვიდა, ხელი ჩამკიდა და წამოვედით. ასე შეიქმნა ჩვენი ოჯახი სულ რამდენიმე თვეში, დაუგეგმავად და თავისთავად.

მომიყვა ჩუმად როგორ ზრუნავდა ივანეზე, რადგან შვილის მეტი არავინ ჰყავდა, თუმცა, ნუნუკას მაინც არ პატიობდა ქორწილიდან გაპარვას. მიყვებოდა ახალგაზრდობის ისტორიებს;

სამსახურიდან წამოსვლის ამბავს; როგორ მიუძღვნა პირველად ლექსი ნუნუკას და, მისი სიტყვებით შეგულიანებული, როგორ განაგრძობდა მას შემდეგ წერას; როგორ მოსწონდათ მის მშობლებს რძალი, თითქოს ნუნუკას მიყვანის შემდეგ უფრო ავმაღლდი მათ თვალშიო... ბევრ რამეს მიყვებოდა, ვიციონოდით და ვტიროდით. ერთხელ მითხრა: ყველაფერი გამახსენდა, რაც არ უნდა დამვინწყებოდა. ადამიანებს გვჭირდება სხვებთან საუბარი, საკუთარი თავისთვისაც და სხვისთვისაც.

კაკო პაპასთან რამდენიმეთვიანი მეგობრობა და უამრავი ისტორია დამრჩა, რადგან მალევე იყო, რომ, მისი ღიმილის და უურნალ-გაზეთების ნაცვლად, ცარიელი სამფეხა სკამი გვხვდებოდა მატარებლის სადგურზე. რამდენიმე წუთს მაინც იმ სკამზე მჯდომი ვატარებდი ხოლმე და სხვადასხვა მონაკვეთებს ვიხსენებდი მისი ამბებიდან. იმ სკამს კი მემანქანე სპეციალურად არ იღებდა, სანამ აქ ვიმუშავებ ქსეც უცვლელი დარჩებაო.

მემანქანისგან გავიგე: დაქორწინებიდან რამდენიმე წელში გარდაცვლილა ნუნუკა. ეს ისტორია კაკო პაპას არასდროს მოუყოლია, თუმცა, ვიგრძენი რა დიდ ტკივილს დაატარებდა და როგორ გამიზიარა ეს ტკივილი, როცა მითხრა, რომ: ჩემი და ნუნუკას შეხვედრა ბედისწერა რომ ყოფილიყო, ერთმანეთს არ უნდა შევხვედროდითო...



## 6ინო დილექციის შვილი

### სახლი №5

დიდი სახლი იყო, საკუთარი ეზოთი.

ოთხი ადამიანი ცხოვრობდა, მე მეხუთე ვიყავი, მივედი და თითქოს რაღაც ჯადოსნური წრე შეიკრა.

ჩემი ოთახი ყველაზე ნათელი იყო, ფანჯარა პირდაპირ ეზოს გაჰყურებდა, ბევრი არაფერი იდგა – პატარა საწოლი, მაგიდა და კედელში გამოჭრილი თაროები, ესეც ზედმეტი იყო ჩემთვის. სახლის მეპატრონეს სასწრაფოდ გავატანინე ყველაფერი, რაღაც სივრცე მინდოდა მეტი. დამოუკიდებელ ცხოვრებას ვიწყებდი და მინდოდა, ყველაფერი რაღაც სხვანარი ყოფილიყო.

ლეიბი ძირს გავშალე, ბარგიც კუთხეში მივაწვე და ჩამოვჯექი. დავფიქრდი... აი, აქ ვიყავი, ჩემთვის უცხო სახლში, მშობლებისა და ყველასაგან მოშორებით, არ ვიცი, რას ავიკვიატე მარტო ცხოვრება, რაღაც არ მყოფნიდა, რაღაც მანუხებდა და ვგრძნობდი, უნდა შემეცვალა ეს რაღაც, სხვა კი ვერაფერი მოვიფიქრე, ავდექი და სახლიდან წამოვედი; გაოცებული დავტოვე ყველა. მხოლოდ დედა მიხვდა, რომ ეს აუცილებელი იყო ჩემთვის და შეეცადა, ეს ფაქტი მშვიდად მიეღო.

– ყველაფერი კარგად გექნება, თუ ახლა ასე გინდა, წადი, მაგრამ ყოველთვის გახსოვდეს, რომ შენ სახლი გაქვს, სადაც გელოდებიან.

მე ეს ისედაც ვიცოდი, ალბათ, ამიტომაც წამოვედი ასე თამამად, რომ ნებისმიერ დროს უკან დაბრუნების იმედი მქონდა.

ოთახი მოვათვალიერე. აქ უნდა მეცხოვრა, ოთხ უცხო ადამიანთან ერთად.

– კარგი ბავშვები არიან, – დამამშვიდა სახლის მეპატრონებ. – არ შეგანუხებენ, ყველას საკუთარი ოთახი აქვს, სამზარეულო და სხვა დანარჩენი კი საერთო გექნებათ.

ყველაფერზე თანახმა ვიყავი.

სახლის მეპატრონე წავიდა თუ არა, ჩემს ოთახში ვიღაცამ შემოყო თავი.

– გამარჯობა, კეთილი იყოს შენი მობრძანება იდუმალებით მოცულ სახლში. თქვენ მოჩვენებების, ალბათ, არ გეშინიათ, რადგანაც აქ გადაგინყვეტიათ ცხოვრება..

– გამხდარი ბიჭი იყო, დიდი მაიმუნი ვინმე ჩანდა.

სანამ პასუხის გაცემას მოვასწრებდი, ვიღაცამ უჯიკა და კარიდან გასწია.

– აცალე ადამიანს სულის მოთქმა. ეგ რაღაცები შეგეძლო მერე გეთქვა, ნუ გააქცევ ახლა აქედან, – მერე მე მომიბრუნდა:

– ისეთი არაფერია, უბრალოდ ხანდახან გარდაცვლილი ბინადრები მოდიან ხოლმე, ჩვენ კი არაფერს გვიშავებენ, მაგრამ, ზოგადად, უცხო ხალხს ვერ ეგუებიან, არ კი

გაშინებთ, მაგრამ... – სერიოზული სახით ლაპარაკობდა ეს მეორე, დიდი ნათელი თვალები ჰქონდა, თაფლისფერი.

მე ნელ-ნელა მეღლიმბოდა.

კიდევ ორი ადამიანი შემოვიდა, რაღაც-ნაირი, მოწყენილი ბიჭი და გოგო. ბიჭის არაფერი უთქვამს, სამაგიეროდ გოგომ და-მათვალიერა საფუძვლიანად.

– ამათ მასხრობას ყურადღებას წუ მიქ-ცევ, მაგრამ აქედანვე გაფრთხილებ, არ მიყვარს ზედმეტად რომ მაწუხებენ, თან აქ ერთი სიმპათიური ბიჭი მოდის ხოლმე, ამათ კი არ ჰგავს... – ყველას სათითაოდ გადახედა. – ხოდა ის ჩემი ბიჭია, არც კი გაბედო ახლოს მიკარება.

მის სიტყვებზე რაღაცნაირად მოწყე-ნილმა ბიჭმა უფრო მოიწყინა, იმ ორმა კი ღიმილით გადახედა ერთმანეთს.

– წუ ნერვიულობ! – გავუღიმე მე. – ერ-თი საქმროც დიდი თავის ტკივილია, მეტი არც მჭირდება.

გოგო მაინც უნდობლად მიყურებდა.

– თმებით დაგითრევ, იცოდე, რომ რა-მე... – დაამატა მეტი დამაჯერებლობის-თვის.

– გასაგებია! – უკვე სერიოზულად ვუ-პასუხე.

მან მხრები აიჩეჩა და დაგვტოვა.

– ყურადღებას წუ მიაქცევ, – მითხრა იმან, რომელსაც ნათელი თვალები ჰქონ-და. – სინამდვილეში სულაც არ არის ასეთი უხეში.

– პო, რა ქნას, ძლივს ვიღაც იშოვა და ეშინია... – თქვა მაიმუნმა ბიჭმა.

მოწყენილი ბიჭი კი ისევ ჩუმად იყო, თითქოს აღარც იყო აქ, სადღაც შორს წა-ვიდა ფიქრებით.

– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, მგო-ნი, ერთმანეთის გაცნობის დროა, არა? – ვთქვი მე. – თქვენმა დაგეგმილმა პროვო-კაციამ არ გაჭრა, ახლა ისეთი პერიოდი მაქვს ცხოვრებაში, რომ მოჩვენებებზეც კი თანახმა ვარ, ამ სახლიდან ფეხს ვერ მო-მაცვლევინებთ.

– რას ვიზამთ, ერთი თავისუფალი ოთა-ხი გვქონდა და აღარ გვექნება! – თქვა იმ

გამხდარმა. – პათეტიკური ხმით ლაპარა-კობდა, მერე იქვე, ფანჯრის რაფაზე ჩა-მოვდა მხრებჩამოყრილი და თავი ჩაქნ-დრა: – შენ მე არსებობის წყარო წამართვი, ოჟ, ულმობელო წუთისოფელო, რისთვის მომექეცი ასე?!

ისეთი სასაცილო იყო ეს ყველაფერი, რომ ღიმილს ვერ ვიკავებდი.

მოწყენილ ბიჭსაც კი გაეცნა:

– ამ ოთახს სახლის მეპატრონისგან უჩუმრად აქირავებდა ხოლმე და იმიტომ არის ახლა ასე შენუხებული.

– დიდხანს უნდა იყოთ მანდ შებარგე-ბულები? – თავი შემოყო ისევ გოგომ. – გამოდით, მათხოვრებო, მოვწიოთ.

არავის უყოყმანია, ყველა გაიკრიფა და მე მარტო დავრჩი.

ფანჯარა გამოვალე, სასიამოვნოდ გრი-ლი ნიავი უბერავდა.

●

ძალიან მომენატრე, ბიძია. ნეტა როგორ ხარ შენ მანდ... დედიკომ მითხრა, რომ სიკ-ვდილის შემდეგ კიდევ არსებობს სიცოც-ხლე და მე მჯერა დედიკოსი, სხვანაირად არც შეიძლება, მაშინ ჩვენი არსებობა აზრს დაკარგავდა, თუკი გვეცოდნებოდა, რომ ადამიანი ასე, უბრალოდ ქრება. გახსოვს, ბებო ტიროდა – ყველას დაავიწყდებიო! არ დაუჯერო, ბიძია. აბა, რა დამავიწყებს შენს თავს! უბრალოდ, ძალიან ვნერვიუ-ლობ, იცი? სულ ვფიქრობ, ნეტა ბოლოს რომ გნახე, რა გითხარი? ვფიქრობ და თან მეშინია, რამე ისეთი არ გამახსენდეს. მგო-ნი, არასოდეს მიწყენინებია, მაგრამ მაინც ვდარდობ, ისიც ხომ არასოდეს მითქვამს, როგორ მიყვარდი! სახლიდან წამოვედი! ალბათ, გაგიკირდება, მაგრამ ასე უნდა მოვქცეულიყავი. მარტო ყოფნა მინდა, ვი-ცი, შენც გამიგებდი, დედიკომ გაიგო, გუ-ლი დასწყდა ასეთ დროს რომ მივატოვე, მაგრამ მაინც არაფერი უთქვამს.

აი, ეს ჩემი ახალი სახლია, სახლი N5, რა დამთხვევაა არა? ზუსტად ხუთი ადამიანი ვცხოვრობთ. მე მოვედი და ყველა ოთა-ხი შეიგსო. ბავშვებს გაგაცნობ, მეც კი არ

ვიცნობ კარგად, მაგრამ მაინც...

ჩვენთან ყველაზე პატარა თორნიკეა – ცხრამეტი წლისაა და დიდი მაიმუნი ვინმეა. სულ იმას ფიქრობს, ვის მოუშალოს ნერვები. თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლობს სამსახიობოზე და ისეთი სასაცილო ვინმეა, თავს გვატკიებს თავისი პათეტიკური ტონით. ოცნებობს, ცნობილი მსახიობი გახდეს. ჩვეულებრივი ოჯახიდანაა – ორი პატარა და ჰყავს და უბრალო მშობლები. სოფელში ცხოვრობენ ისინი, თორნიკე აქ მარტოა, არავინ ჰყავს, ჩვენ გარდა. ისეთი ბიჭია, აუცილებლად მიაღწევს თავისას.

სამაგიეროდ, უტაა ძალიან მდიდარი ოჯახიდან. ოცდაერთი წლისაა, უკვე ერთი წელია, ოჯახიდან წამოვიდა, მამასთან უკმაყოფილების გამო. თვითონ ძალიან უბრალო და მშვიდი ადამიანია, ალბათ, ვერ ეგუებოდა მდიდარი ხალხის უაზრო ახირებებს. თავის იჯახზე ლაპარაკი არ უყვარს, სულ მოწყენილია, ერთი ეგ ვიცით, რომ საბავშვო სახლში დადის ხშირად, იქ უნარშეზღუდული ძმა ჰყავს; მისმა მშობლებმა ჩააბარეს იქ და სწორედ ეს გახდა მისი სახლიდან წამოსვლის მიზეზი. მხოლოდ ის უნდა, სახლი იყიდოს და თავის ძმასთან ერთად იცხოვროს. საოცარი ადამიანია, ძალიან შემიყვარდა, ერთ უბრალო ფირმაში მუშაობს მენეჯერად, ყველაფერს იკლებს, რომ სახლი სწრაფად იყიდოს.

ნატალიც ოცდაერთი წლისაა – უცნაური გოგოა, თავისებური, სკოლა 9 კლასის შემდეგ მიატოვა, მას მერე არასოდეს უსწავლია; არ ვიცი ვინმე ჰყავს თუ არა, მშობლები არასოდეს უხსესნებია, დიდი ხანია მარტო ცხოვრობს და საკუთარი თავის იმედადა. ახლა სადღაც ღამის კლუბში მუშაობს, ანაზღაურება ნორმალური უნდა ჰქონდეს, იმიტომ რომ ყოველთვის აქვს ზედმეტი ფული, მაგრამ სამაგიეროდ სულ დალლილი და გამოუძინებელია, ამიტომაცაა, ალბათ, ყოველთვის ცუდ ხასიათზე. ისე ცუდი გოგო არ უნდა იყოს. მდიდარი საქმრო ჰყავს, თუმცა დიდად არ უნდა უყვარდეს, ეს თვითონაც უთქვამს, მაგრამ დაქორწინებას მაინც აპირებენ.

მეოთხე ბინადარს იოანე ჰქვია – ოცდაოთიწინლისაა, ლიტერატურის ფაკულტეტზე სწავლობს, დამატებითი შემოსავალი რომ ჰქონდეს, ოჯახებში დადის და ბავშვებს ლიტერატურაში ამეცადინებს. თითქოს ჩვეულებრივი ბიჭია, მაგრამ დიდი ნათელი თვალები აქვს და რაღაცნაირად მშვიდი ხმა. ძალიან ყურადღებიანი და თბილი ადამიანია. განსაკუთრებული გეგმები და ოცნებები არ აქვს, უბრალოდ ისე ცხოვრობს, როგორც მოუხერხდება და ამიტომ არაფერს გეგმავს წინასწარ. ოჯახი სოფელში ჰყავს და მათთანაც ხშირად დადის. თავიდანვე კარგად განვეწყვე მის მიმართ, სახელიც კი ისეთი აქვს, რაღაცნაირი.

აი, ბიძია, ამ ადამიანებთან უნდა ვიცხოვოთ. არ ვიცი რატომ წამოვედი სახლიდან, არ ვიცი აქ რატომ ვარ, მაგრამ ვგრძნობ, ეს აუცილებლად უნდა გამეკეთებინა.

ძალიან გთხოვ, ბიძია, არ დაუჯერო, არავის არ დაუჯერო, კარგი? მე არასოდეს დამავიწყდები, ხომ არ ბრაზდები ნეტა სამგლოვარო ტანსაცმელი რომ არ მაცვია? არ მინდა, იცი? ასე მგონია, ამით რაღაც ვალს მოვიხდი შენ წინაშე, მე კიდევ მინდა, რომ სულ შენი ვალი მქონდეს, იმიტომ რომ არასოდეს დამავწყდე და ყოველთვის ისე მტკიოდეს უშენება, როგორც ახლა მტკივა.

არადა სიკვდილი არაფერია, უბრალოდ ახლა სხვა სამყაროში გადახვედი...



დილა ყოველთვის ხმაურიანად იწყებოდა ჩვენს სახლში, ყველას სადღაც ეჩქარებოდა. თორნიკე და იოანე უნივერსიტეტში გარბოდნენ, მე და უტა – სამსახურში, ნატალი კი ამ დროს ახალი მოსული იყო სახლში და ცდილობდა, ამ ხმაურში ძილი მოეხერხდინა.

– გაჩერდით, რა მათხოვარო ბავშვებო! – ყვირდა თავისი ოთახიდან. – ნუთუ ასე როულია, ეგ საშინელი სითხე (ჩაის მოხსენიებდა ასე) ამდენი ლაპარაკის გარეშე დალიოთ.

არ ვიცი სულ მათხოვებს რატომ გვეძახდა.

სახლი მშვიდდებოდა ჩვენი წასვლის შემდეგ. გარეთ სამყარო გველოდა, გველოდნენ სხვა ადამიანები, ვინც გულს გვტკენდა ან ჩვენ ვტკენდით, ვისთან ერთადაც ვიცინოდით, ან ვტიროდით, მაგრამ თითქოს გარეთ ყველაფერი ხელოვნური იყო, გრძნობები გრძნობებს არ ჰგავდა, თითქოს ყველა თამაშობდა, როგორც სცენაზე, საღამოს კი ყველაფერი იცვლებოდა.

სამყაროსგან დაუძლურებულები, დალლილები, ხელოვნურები სახლში უბრუნდებოდით, მხრეპჩამოყრილი, რაღაცნაირად უცხოები და ეზოში შემოსვლისთანავე ყველაფერი იცვლებოდა. ხომ არსებობს ადგილები და არსებობენ ადამიანები, რომლებიც განწყობას ცვლიან. აქ, ამ სახლში, ყველა საკუთარ თავს უბრუნდებოდა, აქ არავინ არაფრით ვიყავით ერთმანეთის წინაშე ვალდებული, არავინ გვაძლეულებდა გვეთამაშა, ერთმანეთისთვის თავი მოგვეწონებინა, აქ უცხოები ვიყავით და სწორედ ეს გვაძლევდა საშუალებას, ისეთები ვყოფილიყავით, როგორებიც მარტო საკუთარ თავთან ვართ.

საღამობით ყველა ერთად ეზოში ჩაის ვსვამდით, ცაც კი სხვანაირი ჩანდა აქედან, იოანე ლექსებს გვიკითხავდა, თორნიკე მთელი დღე სპექტაკლებიდან ამონარიდი ფრაზებით საუბრობდა და ეს ისე გვართობდა... უტას პეზარების ყურება უყვარდა, ძირითადად ჩუმად იჯდა ხოლმე და მხოლოდ მაშინ მხიარულდებოდა, როცა ნატალი ბრუნდებოდა სახლში.

— აბა, როგორ ხართ მათხოვრებო? ხომ არ მოიწყინეთ ჩემ გარეშე!?

— ჩვენ არც ისე... — ეცინებოდა თორნიკეს და თან თვალით ჩუმად უტაზე მინიშნებდა.

— გეყოფა შენ, თორემ მიიღებ მუშტს სახეში! — უბლვერდა ნატალი. — თქვენ მშვენიერი სამსახური გაქვთ ყველას, თავის დროზე ბრუნდებით სახლში, აწყობილი გაქვთ ცხოვრება, მე კიდევ მკვდარივით ვარ, ძალიან ვიღლები.

— მერე დაანებე თავი მაგ საშინელ სამსახურს! — მოწყენილი ეუბნებოდა უტა. —

რამე უკეთესი ნახე.

— უკეთესი? — ნაღვლიანად ელიმებოდა ნატალის. — სად ვნახავ, უტა რამე უკეთესს, წერა-კითხვა ძლიერ ვიცი. გავთხოვ-დები მალე და ბოლო მოეღება ამ წანწალს, საკუთარი სახლი მექნება, მშვიდად ვიც-ხოვრებ.

— მერე რომ არ გიყვარს, ნატალი? — არ ეშვებოდა უტა.

— მერე რა, სიყვარული არც მჭირდება, მთავარია, მშვიდად ვიცხოვრებ. შენ ამას ვერ გაიგებ, ვერავინ გაიგებს, თუ თვითონ არ გამოუცდია. დავიღალე მე, 21 წელია არსებობისთვის ვიბრძვი, იმისთვის, რომ სული არ გამძვრეს მშიერს და შენ რა სიყვარულზე მეღაპარაკები!

— გასაგებია, მაგრამ ახლა ხომ მაინც შესაძლებელია რამე შეცვალო?

— ეგ მხოლოდ თვენთან ხდება, სასწაულებიც მხოლოდ თქვენთვისაა, მდიდრებისთვის.

— ფული ბედნიერება არ არის, თუკი სწორად ვერ იყენებ. დამიჯერე, ბედნიერება სხვა რაღაცამია.

— სულელი ბიჭი ხარ შენ, უტა, ამ ცხოვრების არაფერი გაგეგება, წადი, მამაშენთან დაბრუნდი და გემრიელად იცხოვრე, რას დაწინწალობ აქეთ-იქით.

— არ შემიძლია, საკუთარი პრინციპები მაქვს და მათ ვერ გადავუხვევ.

— ხოდა სულელი ხარ-მეთქი! — არ უთმობდა ნატალი, ბრაზდებოდა და დასაძინებლად მიდიოდა. უტა უფრო მოიწყენდა, ვიდრე საერთოდ იყო ხოლმე. — სინამდვილეში სულ არ არის ასეთი... — გვიხსნიდა რატომლაც ყველას.

ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ მას ნატალი უყვარდა...

•

ნელ-ნელა სულიერი სიმშვიდე მიბრუნდებოდა, ცხოვრებასაც ისე ტრაგიკულად აღარ აღვიქვავდი, როგორც რამდენიმე თვის წინ. უბრალოდ, ბევრს ვფიქრობდი იმ ადამიანებზე, ვინც ჩემ გვერდით იყო ამ ეტაპზე და შეიძლება ხვალ აღარ ყოფილი-

ყო. სიკვდილი ყველაფერს ცვლის, გრძნობებს, მოგონებებს...

ცრუმლებით მქონდა თვალები საჭირო, იოანე რომ შემოვიდა.

— რა გჭირს, ნინ?

— არაფერი, იოანე, ვფიქრობდი, სულ ვფიქრობ ამ ბოლო დროს... ხომ ხვდები, რაღაც ისეთი პერიოდი მაქსი, ყველაფერს სხვანაირად ვხედავ და აღვიქვავ და მიჭირს.

— ხო, მესმის შენი, ასეთი პერიოდები ყველას გვაქს, როცა მთლიანად ვიცვლებით რაღაც ერთი შემთხვევის გამო.

— იცი, ყოველთვის მიჭირს ადამიანს ვუთხრა, რომ მიყვარს, ასე მგონია, ამას სიტყვებით თუ ვიტყვი, გრძნობას რაღაც დააკლდება, სისულელეა არა?

— არ ვიცი, — გაელიმა მას. — გრძნობას სიტყვები ვერ შეცვლის, ვერც შემატებს რამეს და ვერც დააკლდებს.

— შეიძლება, — ვუთხარი მე. — მაგრამ ადამიანები, ალბათ, ისედაც გრძნობენ ჩვენ დამოკიდებულებას, უაზრო სიტყვების გარეშეც.

— ეგეც შეიძლება.

— იცი იოანე, დედიკო ძალიან მიყვარს, მაგრამ არასოდეს მითქვამს მისთვის ეს და, როგორ გვინია, მან ეს ისედაც არ იცის?

— კი, როგორ არ იცის, სულელო, ეგ როგორ არ ეცოდინება.

— პატარა რომ ვიყავი, არაფერი მაწუხებდა, ასე მეგონა, ყველაფერს მოვლებოდა, ახლა კი ისე რთულია ყველაფერი.

— გავიზარდეთ, ნინ, პატარები აღარ ვართ.

— ბავშვობაში ძალიან ეგიოსტი ბავშვი ვიყავი, არავისთვის არაფრის ჩუქება არ მიყვარდა. ერთხელ დედიკომ ზღაპრების წიგნში ზღარბი მაჩვენა, ქხლაც მახსოვს, სასაცილო ლურჯი კომბინიზონი ეცვა. დედიკომ მითხრა, რომ მას პატარა ზღაპრუნიები ჰყავს, რომლებსაც ტანსაცმელი არ აქვთ და, ალბათ გაიყინებიან, ვინმე რამეს თუ არ აჩუქებთ. მერე მე და დედიკომ გადავარჩიეთ ერთად ტანსაცმელი და დედიკომ მეორე დღეს სადღაც წაიღო. სანაც-

ვლოდ დიდი წითელი ვაშლები მომიტანა. აი, ნახე იმ ზღაპრუნიებმა გამოგიზავნეს მადლობის სანაცვლოდო. მე გახარებული ვიყავი. ასე შევეჩვიე წელ-წელა რაღაცის გაცემას და ახლა ბედნიერი ვარ ამით ყოველთვის.

— კარგად მოუფიქრებია დედაშენს. არის რაღაცები, რაც ადრეულ ასაკშივე უნდა გვასწავლონ, თორემ მერე, როგორიც ხარ, ხარ, აღარაფერი შეგცვლის.

— კიდევ რა მახსენდება, იცი, სულ? ჩვენ მეზობლად მოხუცი ქალი ცხოვრობდა, არავინ ჰყავდა და დედიკო ყოველ დღე მასთან საჭმელს მატანდა ხოლმე. ერთ დღესაც რაღაც ისეთი მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, რომ ქუჩაში დავრჩით. ვიდექით სადარბაზოში გაყინულები, დახმარების იმედად, იმ ქალმა კი დაგვინახა, მაგრამ სასწრაფოდ მიხურა სახლის კარი და არც გამოსულა. მეორე დღეს მამიკო დაბრუნდა და ყველაფერი მოგვარდა. დედამ საჭმელი გაამზადა იმ ქალისთვის და მთხოვა, გამეტანა. მე გავპრაზდი. „გინდა შენც მისნაირი გახდე?“ — მკითხა დედამ. „არა!“

— ვუთხარი მე. „ხოდა, მაშინ მოკიდე ხელი ამ ყველაფერს და წაუღე!“ მე კი გავაკეთე ეს, მაგრამ იმ ქალისთვის მაინც დღემდე ვერ მიპატიებია იცი? დედიკომ კი მეორე დღესვე აპატი.

— რთულია ცხოვრება, მაგრამ გახსოვდეს, ნინ, სიკეთეს იმიტომ არ ვაკეთებთ, რომ მერე ვინმეს ამ ყველაფრის უკან დაბრუნება მოვთხოვთ.

— ამას ეხლა მეც მივხვდი, იოანე, მაშინ კი ძალიან გამიჭირდა ამის გაგება.

— არაფერია, ყველა რაღაცას წელ-წელა ვსწავლობთ.

მე აღარაფერი მითქვამს. რა უცნაურია, ასე არავისთან მისაუბრია, არავისთვის მითქვამს, რაც მას ვუთხარი, ხანდახან უცხო ადამიანს უფრო ანდობ საკუთარ ტკივილს, ვიდრე ახლობელს. ალბათ, იმიტომ რომ უცხოსთან თამაში არ გიწევს, შენთვის სულ ერთია, როგორი წარმოდგენა დარჩება ამ საუბრის მერე შენზე.

იოანე გავიდა თუ არა, დედას დავურეცე.

- როგორ ხართ, დე?
  - კარგად ვართ ჩვენ, შენთან რა ხდება, შვილი?
  - ძალიან ბევრი ვილაპარაკეთ, ბოლოს ვკითხე.
  - დე, როგორ გგონია ბიძიასთვის ოდესმე მითქვამს, რომ მიყვარს? მე არ მახსენდება და გული მტკივა, იქნებ შენ გახსოვს, ჰა?
  - დედა ცოტა ხანს ჩუმად იყო, ალბათ, ფიქრობდა, რა ეთქვა, რა უკეთესი იყო ჩემთვის.
  - არც მე მახსენდება, შვილო, მაგრამ მან ეს ისედაც იცოდა, დამიჯერე.
  - ხო, ალბათ! - ვუთხარი მე და გამიხარდა, რომ არ მომატყუა.
- 
- ლევანი კმაყოფილი არ დარჩა ჩემი გადაწყვეტილებით. ის ჩემი საქმროა. საკუთარი ბიზნესი აქვს და სულ დაკავებულია. არასოდეს რჩება დრო იმისთვის, რომ ჩემთან ერთად სადმე წამოვიდეს.
  - ნინო, იცი, მგონი, სისულელეა შენი სახლიდან წამოსვლა.
  - შეიძლება, ლევან, მაგრამ ახლა ასე მირჩევნია, დაპნეული ვარ, იმდენი რაღაც მოხდა ჩემს ცხოვრებაში...
  - რაზე ამბობ? - დალლილი ხმით მეკითხება ის და მე ვერც კი ვპრაზდები, ბიძაჩემის ამბავი რომ არ ახსოვს, უბრალოდ მეცოდება.
  - არაფერი, ლევან, არაფერი.
  - ნინო ვიღაც უცხო ხალხთან ცხოვრება, მაშინ, როცა საკუთარი ოჯახი გყავს, დიდი უგუნურებაა.
  - შენ რა იცი, ლევან? შენ იმ ხალხს არ იცნობ და ასეთი დასკვნების გამოტანა ნაადრევია.
  - დამიჯერე, ნინო, ვიცი, რასაც ვამბობ...
  - სულ ასე იცის, ისეთი ტონით ლაპარაკობს, რომ სურვილიც არ გაქვს შეეკამათო.
  - ლევან, გამოდი ერთხელ და ყველას გაგაცნობ! - ვეუბნები მე.

- არ ვიცი, როგორ მოვახერხებ.
- მე ვერ წამოვალ იქიდან.
- კარგი. - უცებ მეუბნება ის, თითქოს მისთვის სულ ერთია. იქნებ ასეც არის, იქნებ იმდენად მენდობა, რომ არაფერი აღარ აშინებს.
- ლევან, ხომ გიყვარვარ? - რატომძაც ახლა მინდა ეს მითხრას ან მაგრად, მაგრად ჩამეხუტოს, ის კი მეუბნება: - კაი რა, ნუ იცი ხოლმე ეს სისულეები.
- მე აღარაფერს ვეუბნები.
- არ ვიცი რატომ, მაგრამ მაინც ძალიან მიყვარს.
- რა გჭირს, შენ? - მეკითხება იოანე სახლში დაბრუნებულს. - რაღაც ვერ ხარ ხასიათზე ხომ?
- ჰო... - ვცდილობ გავიღიმო. - ცუდია, როცა ადამიანთან ხარ და მაინც მარტო გრძნობ თავს.
- ოოო, ეგ სიყვარულია! - ჩაფიქრებული ხმით ამბობს თორნიკე. - ოოო, ჯულიეტა...
- არ დაიწყო რა ეხლა!.. - გაბრაზებული ხმით უუბნება ნატალი. - შენი თავი არ მაქვს.
- შენ სულ ასე ცუდად რატომ ხარ?
- იმიტომ რომ მძიმე ცხოვრება მქონდა!
- უბლვერს ნატალი.
- თუ არ გინდა, რომ ბედნიერი იყო, არც არასოდეს იქნები! - საუბარში ერთვება უტა.
- მოვინდომო? მინდა, რომ ვიყო, გულით მინდა, მაგრამ სურვილი არ კმარა.
- დამიჯერე, ეს არც ისე ძნელია.
- მე სახლი მინდა, ოჯახი მინდა და ის მინდა, რომ აღარასოდეს ვიმუშავო. აი, ეს იქნება ბედნიერება.
- რა ბანალურია! - ნალვლიანად თქვაუტამ.
- შეიძლება ბანალურია, მაგრამ რეალობა ეგაა.
- უტამ აღარაფერი უპასუხა.
- ასეა თუ ისე... - საუბარში ჩაერთო თორნიკე. - შენ მალე ამ ყველაფერს მიიღებ, ცოლად გაჰყვები გიორგის და ბედნიერიც იქნები.

ამ სიტყვებზე უტა უფრო დანალვლია-ნდა, ნატალიმ თავი დახარა და მე მომეჩ-ვენა, რომ პირველად დაფიქრდა რაღაც ისეთზე, რაზეც აქამდე არასოდეს უფიქ-რია.

— ჰო, ალბათ... — თქვა მან ბოლოს.

— ისე, ყველას საკუთარი წარმოდგენა აქვს ბედნიერებაზე... — ოთახში გაიარ-გა-მოიარა თორონიკემ. — მე მაგალითად, მინ-და ფილმში ვითამაშო, წარმატებული მსა-ხიობი გავხდე, მსოფლიო მოვიარო და ამ დროს ვიცი, ბედნიერი ვიქნები.

— ესეც ძალიან სულელური წარმოდგე-ნაა ბედნიერებაზე! — ისევ გამოთქვა საკუ-თარი აზრი უტამ.

— ოხ, ჭკუის კოლოფო, მაშინ მოგვახსე-ნე შენი არაბანლური და არასულელური აზრი ამ ყველაფერზე.

— ჩემთვის ბედნიერება ის წამია, რო-მელზეც ინატრებ, რომ საუკუნები გაგ-როელდეს! — თქვა უტამ.

— არ გინდა ეს ფილოსოფოსიბა, ჩვენ რეალურ ცხოვრებაზე ვსაუბრობთ! — შეე-კამათა ნატალი, მაგრამ ტონი ცოტა უფრო შერბილებული ჰქონდა, ვიდრე ყოველთვის.

— მეც ცხოვრებაზე ვამბობ, გვინია ცხოვრება წამზე მეტია? გაიხედავ და აღარ ხარ... აღარ არსებობ!

— ეგ კი მართალია, ჩვენ ყოველ დღე ვკარგავთ წამებს და წუთებს, რომელსაც უკან ველარ დავაბრუნებთ და შესაბამისად ვკარგავთ ათასგვარ შესაძლებლობებს, ვკარგავთ გრძნობებს და ვცარიელდებით!

— როგორც იქნა ხმა ამოილო იოანემ. — ბედნიერება ყოველ დღეშია, ოჯახშია, იმ ადამიანების გვერდით ყოფნამია, ვინც გიყვარს; ბავშვებშია, რომელიც შენ გგვა-ნან, იმ ყველაფერშია, რასაც ყოველ დღე ეხები, შეგრძნებებში და ბოლოს და ბოლოს სიცოცხლე უკვე არის ბედნიერება.

— აი, მეც დახახლოებით მაგას ვამბობ. — დაეთანხმა უტა. — შენ რას ფიქრობ, ნინ?

— მე? არ ვიცი, იცით, მგონი არასო-დეს მიფიქრია ამაზე. ბედნიერება მგონი ის მდგომარეობაა, როცა მშენდად ხარ, სუ-ლის სიმშვიდეა... კი, კი, ეგ მგონია, თუ შე-

იძლება ასე ერთ სიტყვაში გამოხატო.

ყველა გავჩუმდით, ალბათ, ყველა თა-ვის წილ ბედნიერებაზე ფიქრობდა.

მე მახსენდებოდა დედა და ის სიმშვიდე, როცა კალთაში თავს ვუდებდი და ის მიყ-ვებოდა ზღაპრებს კეთილ ფერიებზე, ასეთ სიმშვიდეს ველარასადროს ვიპოვი ვერსად.

უცებ შემეშინდა და ძალიან მაგრად დავხუჭე თვალები.

ვიღაც მხარზე შემეხო.

— ძალიან გეშინია? — იოანე იყო. ყველა გასულიყო თახიდან, მის გარდა.

— როგორ მიხვდი?

— როცა გეშინია, თვალებს ძალიან მაგ-რად ხუჭავ. — გაიღიმა მან.

— ხო, მასე ვიცი, მაგრამ არ მეგონა, ამას ასე შესამჩნევად თუ ვაკეთებდი.

იოანე ჩემთან ახლოს დაჯდა.

— როცა მოწყენილი ხარ, სხვანაირად იღიმი, ვიდრე საერთოდ. როცა ფიქრობ, თმის ბოლოებს ხელით იწვალებ, როცა გაბ-რაზებული ხარ, ცრემლები გაქვს თვალებზე, მაგრამ არასოდეს ტირი, როცა არ იცი, როგორ მოიქცე, დაპნეული ხარ და ხელიდან ყველაფერი გეშვება... — აქ გაჩერდა და ისევ გაიცინა. მეც გამეცინა. — ერთმა ასეთმა შემთხვევამ ჩემი საყვარელი ფინჯანი იმ-სხვერპლა; როცა გძინავს, რა საყვარლად გიდევს ხოლმე იცი, ლოყის ქვეშ ხელი? აი, ის კი არ ვიცი, როგორი ხარ, როცა მას ხედავ, ვინც გიყვარს, ეგ, სამწახურად, არასოდეს მეცოდინება.

— კარგი ბიჭი ხარ, შენ, იოანე! — ვუთხა-რი მე და ვგრძნობდი, რომ მადლიერი ვი-ყავი მისი.

— არ შეგეშინდეს, ნინ, არასოდეს არაფ-რის არ შეგეშინდეს!

— ვერაფერში გავერკიე, იცი? რაღაც სულის სიმშვიდე დავკარგე, ადამიანები მყ-ავს გვერდით და მაინც მარტო ვარ, ვერ გამიგია, რა მინდა, თითქოს დავკარგე რა-ღაც და ველარ მიპოვია და არც ვიცი საით წავიდე.

დიდხანს ვისხედით მე და იოანე და მე ვხვდებოდი, რომ ის არასოდეს წავიდოდა ჩემგან, მე რომ ამის უფლება მიმეცა.

●

მეგობრულად ვცხოვრობდით უცხოები უცხო სახლში. ნელ-ნელა მიბრუნდებოდა სიხარულის განცდის უნარი, ვგრძნობდი სულერთი აღარ იყო ყველაფერი. ვსწავ-ლობდი ტკივილის მოთმენას, მასთან ერ-თად ცხოვრებას. სიცარიელეს ახალი შეგ-რძნებები მივსებდა.

ნატალიმ თავისი საქმრო გამაცნო. ჩვე-ულებრივი ბიჭი იყო, წყნარი, თავდაჭერი-ლი. მალე დაქორნინებას აპირებდნენ. ყვე-ლამ ვიცოდით, რომ ნატალის არ უყვარდა, იმიტომ თხოვდებოდა, რომ ნორმალური ოჯახი ჰქონოდა. მე არ მესმოდა მისი, მაგ-რამ არც მის ცხოვრებაში ჩარევა შემეძ-ლო. უტა სულ ნალვლიანი იყო, ბავშვთა სახლს ხშირად აკითხავდა და მერე ძალი-ან ბედნიერი ბრუნდებოდა იქიდან. თორ-ნიკემ თავის მეგობრებთან ერთად რაღაც პროექტი დაწერა, ხუთ წუთიანი ფილმის და კონკურსის შედეგებს ელოდა, სხვა ვე-ლარაფერზე ფიქრობდა, სულ გამარჯვება ელანდებოდა და უცხო ქალაქები, უსაზ-ღვრო პოპულარობასთან ერთად, იოანე კი მშვიდად ცხოვრობდა, არაფერზე წუხ-და თითქოს, ყველა ვუყვარდით, ყველაზე ზრუნავდა.

ძალიან ბევრს დროს ვატარებდი მას-თან, ერთად დავდიოდით თეატრში, ვსეირ-ნობდით სალამონბით და ერთად ვკითხუ-ლობდით საინტერესო ადგილებს მისთვის საყვარელი ნაწარმოებებიდან.

ლევანთან უფრო და უფრო მიჭირდა ურ-თიერთობის აწყობა, სულ ვჩხუბობდით, მაგ-რამ მე ამ ყველაფერს ჩემს უცხო ხალხთან ცხოვრებას ვუკავშირებდი. მას არ მოსწონ-და ეს ამბავი და ამაზე ხშირად გვიკამათია, მაგრამ ბოლოს ის მაინც მითმობდა, ერ-თმანეთის დაკარგვა არ გვინდოდა, ღირდა კი იმის შენარჩუნება, რაც უკვე დანგრევის პირას იყო? ალბათ, ღირდა, რადგან ჩვენ ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა.

●

რაღაც ძალიან უცნაურად აეწყო ყვე-ლაფერი. ნატალიმ და გიორგიმ დაქორნი-

ნება მოულოდნელად გადაწყვიტეს. ასეთი უტა ჩვენ არ გვახსოვდა.

— ცხოვრებაში ყველაზე დიდ სისულე-ლეს ჩაიდენ აქედან თუ ნახვალ!

— არ მგონია, ეს სისულელე იყოს, უტა!

— ნატალი, შენ არც კი გიყვარს, როგორ აპირებ მასთან ცხოვრებას?

— სიყვარული მერე მოდის.

— მართლა ასეთი სულელი ხარ შენ?

ამ სიტყვებზე ნატალი გაბრაზდა.

— რას გეტყვი, იცი? შენი აზრები შენ-თვის შეინახე, რა სიყვარულზე მელაპა-რაები და რა ოჯახზე, თვითონ საკუთარ მშობლებსაც კი ვერ გაუგე, რამდენი ხა-ნია მამაშენი არ გინახვს, მერე რის გამო, შეგეძლო მშვენივრად გეცხოვრა, ფული გაქვთ და სხვა რაღა გინდოდა.

— ჩემთვის ჩემი ძმა უფრო მნიშვნელო-ვანია, ვიდრე ფული.

— მერე აქედან რას შველი?

— შენ ვერ გაიგებ, შენ ვერასოდეს გა-იგებ...

— რა თქმა უნდა, არც კი ვცდილობ მა-გას, არ მაინტერესებს და იმიტომ.

უტა ცოტა ხანს ჩუმად იდგა, მერე კი თავის ოთახში გავიდა.

ყველა ცუდად ვიყავით, ნატალიც კი თავჩაღუნული იჯდა, თითქოს სადღაც სხვაგან იყო, ვინ იცის, რაზე ფიქრობდა.

უტა ცოტა ხანში დაპრუნდა, დიდი ჩან-თით ხელში.

— ამ სახლიდან მივდივარ, აქ გაჩერება არ შემიძლია, არ მინდა ვნახო, როგორ მიპ-ყავს სხვას ის ადამიანი, რომელიც სიცოც-ხლეზე მეტად მიყვარს.

არავის გვეგონა, რომ ასე დამთავრდე-ბოდა ეს ამბავი. ჩვენს სიტყვებს აზრი არ ჰქონდა, ერთადერთ ნატალის შეეძლო მის-თვის დარჩენა ეთხოვა და უტა დარჩებოდა, მაგრამ ნატალის არ უთხოვია.

მდუმარედ გავაცილეთ.

— მომენატრებით ბავშვებო! — ყველას გადაგვეხვია.

— არ დაიკარგო, შეგვეხმიანე! — თორნი-კეც კი რაღაც სერიოზული იყო.

უტა წავიდა. ნატალი არ გამოსულა მის

გასაცილებლად, მაგრამ მე რომ შევედი მის ოთახში, ის ტიროდა.

— ასე ჯობდა, მისთვის ასე ჯობდა... — იმეორებდა ის.

მე გულში ჩავიკარი, მისი დამშვიდება მინდოდა.

— აბა, ვინ მიიღებდა ჩემნაირ გოგოს, რომელი ნორმალური ოჯახი, მითუმეტეს მისი მშობლები?!

— ნატალი, თუ გინდა მასთან ყოფნა, ეს უნდა გააკეთო, ერთად ყველაფერს შეძლებდით.

— არა, არის რაღაცები, რასაც ვერასოდეს შეცვლი! — მიპასუხა მან და მე არ ვიცოდი ეს ჭეშმარიტება იყო, თუ არა.

ოთხინი დავრჩით.

●

ნატალი რამდენიმე დღეში წავიდა სახლიდან. ყველა ვიყავით მის გვერდით. ბიჭებს წამოსვლა არ უნდოდათ, უტას ამბის შემდეგ ნატალის მიმართ ცუდად განეწყვნენ, მაგრამ მაინც ყველა ვიყავით მის გვერდით. ვერ ვიტყვი, რომ ბედნიერი ჩანდა, სულ გაფაციცებული იყურებოდა, თითქოს რაღაცას ელოდა, მაგრამ ჯვრისნერა დამთავრდა და არაფერი მომხდარა, ყველაფერმა ისე ჩაიარა, როგორც დაგეგმილი იყო. ჩვენი სახლიდან გავაცილეთ ნატალი და უკან დაბრუნებულს მოგვეწვენა, რომ რაღაც დაგვაკლდა.

სამწი დავრჩით.

●

ნატალის მალევე მიჰყვა თორნიკეც. მისმა პროექტმა გაიმარჯვა და გადამლებ ჯგუფთან ერთად ინგლისში მიემგზავრებოდა ერთი თვით.

— როცა იმას მიაღწევ რაც გინდა, ისეთ ბედნიერებას ვეღარ განიცდი, როგორიც მანამდე გეგონა, — ამბობდა თორნიკე. — უცნაურია არა, ბავშვები?

— კი, მასეა, — უთხრა იოანემ. — სანამ რაღაცისთვის იბრძვი, სიცოცხლეს აზრი აქვს, მიუწვდომელი ყოველთვის ამძაფრებს გრძნობებს და შეგრძნებს, ხოლო,

როცა ოცნება უკვე ახდება, ისეთი მიუწვდომელიც აღარ ჩანს.

— ოცნება იმიტომაა ოცნება, რომ შეიძლება არ ახდეს! — თქვა თორნიკემ. დაბნეული ჩანდა, — რაღაც უკმაყოფილების შეგრძნება მაქვს, იცით? რაღაც მაკლია თითქოს.

— შეიძლება, ემოციების ბრალია, მეგობარო, — შევეცადე გამემხნევებია. — ხვალ უკეთესად შეიგრძნობ ამ გამარჯვების გემოს.

ამას კი ვეუბნებოდი, მაგრამ მეც იოანეს ვეთანხმებოდი გულში, მიუწვდომელი როცა უკვე ხელისგულზე გაქვს, ფასს კარგავს და უკვე სხვა რაღაც გინდა, რაღაც სხვა შეიძლება უფრო უნიშვნელო, მაგრამ ისეთი, რისთვისაც ხელის გატოკება მოგონევს და ასეა მთელი ცხოვრება. მოძრაობის გარეშე არაფერია, რაღაც უნდა გინდოდეს, რაღაც რისთვისაც ყველაფერს დათმობ.

დილით ადრე გაემგზავრა თორნიკე — დაბნეული და გაოცებული. აერპორტიდან მე და იოანე დავბრუნდით, სახლი უსაშველოდ დიდი და ცარიელი ჩანდა.

— მე და შენ დავრჩით! — თქვა მან.

— ჰო! — ვუპასუხე მე.

ორნი დავრჩით.

●

ამ დღიდან ლევანთან ჩემი ურთიერთობა ძალიან დაიძაბა. რა გასაკვირია, მარტოს უნდა მეცხოვრა ვიღაც უცხო ბიჭთან ერთად, — ასე ფიქრობდა ლევანი, თორები იოანე ჩემთვის დიდი ხანია უცხო არ იყო.

— ამაზე ფიქრი ჭკუიდან მშლის, ხვდები? გადავწყვიტე — მაგ სახლიდან დღესვე წამოხვალ! — ლევანს მტკიცე ხმა ჰქონდა და თან მე მიყვარდა, ძალიან, — ეს საკითხი აღარ განიხილება, სულ მარტო მასთან ცხოვრება, უკვე მეტისმეტია!

— დღესვე ვერ წამოვალ, — ვუთხარი მშვიდად. — ხვალ იყოს.

— კარგი, ხვალ იყოს!

იოანე ეზოში დამხვდა — ჩაფიქრებული, რაღაცნაირად ძალიან თბილი და სევდიანი.

— მეც ასე მოვიქცეოდი მის ადგილას, —

მითხრა მან, როცა წასვლის შესახებ ვუთ-ხარი. – მე მესმის მისი, კარგად მესმის, თან მინდა გითხრა, რომ უსაფუძვლოდ არ ეჭვიანობს.

მე საუბრის გაგრძელების შემეშინდა და სწრაფად შევედი სახლში.

ნივთების ჩალაგება დავიწყე.

– მოგეხმარები, – შემოვიდა იოანე. – და ნუ გამირპისარ, არაფერს გეტყვი.

ჩუმად და ნელა ვალაგებდით ყველა-ფერს.

– დღეს არ დავიძინოთ გინდა? მითხრა მან. – ნარიყალაზე ავიდეთ. იქ ერთი ამო-ჩემებული ადგილი მაქვს, შენ ვერავინ გხე-დავს, სამაგიეროდ შენ ხედავ ყველას და ყველაფერს, ავიდეთ?

– ავიდეთ, იოანე! – გავულიმე მე. – მა-ინც ვერ დავიძინებ, ასე მგონია.

უკვე ბნელოდა, ნარიყალაზე რომ ავე-დით. მართლაც საოცარი ადგილი იყო, მი-ნაზე დავჯერი, იოანეც ჩემ გვერდით დაჯ-და, ძალიან ახლოს.

– აქ ხშირად ამოვდივარ ხოლმე, ოლონდ მარტო, – მითხრა მან. – ჩემი ადგილია და ყველასთვის არ მემეტება. – მან გაიღიმა, ბნელოდა და არ დამინახავს, უბრალოდ ვიგრძენი ეს ღიმილი, რალაცნაირი ტკივი-ლისფერი.

– მე რა პატივი მერგო, ხედავ? – ხუმ-რობა ვცადე მე, თუმცა იოანე არ ამყვა.

– ნი, იცი, რაღაც მინდა რომ გითხრა. ასე მგონია, აუცილებლად უნდა გითხრა, თუნდაც არაფერი შეიცვალოს მანც.

– არ მითხრა რა, გთხოვ, იოანე, თუ არ გინდა, რომ ცუდად ვიყო, არაფერი მით-ხრა.

– რატომ?

– იმიტომ რომ არის რაღაცები, რაც ისე დარჩება, როგორც ჩემს წარმოდგენაშია, სიტყვებით ყველაფერს ნუ გავაფუჭებთ.

– ჰო, დამავიწყდა... – ისევ გაიღიმა მან. – შენ ხომ სიტყვებით გრძნობების გამო-ხატვა სისულელედ მიგაჩნია?

– აღარაფერი შეიცვლება! – ვუთხარი მე და მომეჩვენა, რომ ვატყუებდი.

ორივე გავჩუმდით.

სიბნელეში მან ჩემი ხელი მოძებნა და ასე ვისხედით.

მე ვუყურებდი ცას და ვიყავი მშვიდად. მეჩვენებოდა, რომ მქონდა ფრთები... ალარაფრის მეშინოდა.

დილით წამოვედი სახლიდან, არ დავ-მშვიდობებივართ ერთმანეთს, მან უბრა-ლოდ გამიღიმა, მე გაღიმებაც ვერ შევ-ძელი. მთელი გზა ვფიქრობდი. ვხედავდი თითქოს, როგორ იჯდა იოანე ეზოში მარ-ტო.

ის ერთი დარჩა.

•

მე და ლევანი მალევე დავქორწინდით. ბედნიერიც ვიყავი. საქართველოდან წავე-დით და ჩემი მეგობრების შესახებ ვეღა-რაფერი გავარკვეი. ხანდახან იმასაც ვფიქ-რობდი, რომ ეს უბრალოდ სიზმარში ვნა-ხე, სინამდვილეში არაფერიც არ ყოფილა ამის მსგავსი, არც სახლი N5 არსებობდა და არც ის ბავშვები.

ორი წელი გავიდა.

მე უკან დავბრუნდი.

ლევანი დარჩა.

ერთად აღარ ვიყავით.

•

არც ისე ცუდად ვიყავი, როგორც უნ-და ვყოფილყავი. ალბათ, გამოცდილებაშ და ტკივილმა თავისი გავლენა მოახდინა ჩემზე. ახალ ცხოვრებას ვიწყებდი, მარტო, ლევანის გარეშე. დედიკოსთან დავბრუნდი, კიდევ კარგი ის მანც მყავდა, სახლში დავ-ბრუნდი, სადაც ყოველთვის მელოდა ვიღა-ცის გული.

ერთი თვე სახლიდან არ გამოვსულვარ.

ერთ დღეს კი გავიღვიძე და მივხდი, ყველაფერი ნულიდან უნდა დამეწყო.

ზაფხული იყო.

ქუჩაში გავედი, ყველა და ყველაფერი უცხო მეჩვენებოდა.

დიღხანს ვიარე ფეხით, უმისამართოდ... ისე, უბრალოდ... მივდიოდი არსაით და უცებ ვიგრძენი, რომ წაცნობ აღმართს და-ვადექი. გული ამიჩქარდა.

არც კი ვიცი, აქეთ რატომ წამოვედი. ცნობისმოყვარეობამ მძლია.

სახლი ოდნავ შეცვლილი დამხვდა, ჭიშკარი გამოეცვალათ, ზარი დავრეეე, ვიღაც ბავშვმა გამომხედა.

— გამარჯობა! — გავულიმე მე. — ხომ ვერ მეტყვი, აქ ვინ ცხოვრობს?

— ჩვენი სახლია, ორი წელია რაც ვიყი-დეთ.

— მართლა? აქ ადრე მეც ვცხოვრობდი და... აქეთ ვიყავი, დამაინტერესა ახლა რა ხდებოდა.

გოგონა გაოცებული მიყურებდა.

— ის ბიჭი სად წავიდა, ხომ არ იცი? ბავშვმა მხრები აიჩინა.

მე გამოვბრუნდი. გული დამწყდა, ასე მეგონა, რაღაც მქონდა და წამართვეს.

მთელი დღე სახლში არ შევსულვარ. ფეხით დავდიოდი და ვგრძნობდი, რომ ნელ-ნელა ძალა მემატებოდა, ვგრძნობდი, უკვე მზად ვიყავი, ისევ მეპრძოლა და სიცოცხლე გამაგრძელებინა.

ტაძარში შევდი. სანთლები დავანთე.

უკვე პნელდებოდა, ნარიყალაზე რომ ავედი.

და იქ ვნახე, თავის ამოჩემებულ ადგილას, ისევ მარტო ამოსულიყო.

არაფერი უთქვამს, თითქოს არც ორი წელი გასულიყოს.

მე უბრალოდ მის გვერდით დავვჯექი.

— გამარჯობა, იოანე! — გავულიმე მე.

— კეთილი იყოს შენი დაბრუნება! — არ მიყურებდა, საღლაც სივრცეში იცქირებოდა, ასე მეგონა, გული სტკიოდა.

— ერთი თვეა, რაც დავბრუნდი და დღეს პირველად გამოვედი სახლიდან.

— რატომ დაბრუნდი, თან მარტო?

— რა იცი შენ, რომ მარტო დავბრუნდი?

— აქ არ ამოხვიდოდი, ბედნიერი რომ იყო! — მითხვა მან და, როგორც იქნა, შემომხედა. რაღაცნაირად სხვანაირი იყო.

— მართალი ხარ! — თვალი არ მომიცილებია მე. — მაგრამ არაფერს ვნანობ, დრო რომ დაბრუნდეს, ისევ ისე მოვიქცეოდი, როგორც მაშინ... — მომეჩვენა, რომ ისევ ვატყუებდი.

მას აღარაფერი უთქვამს, ცოტა ხანს ჩუმად ვიყავით.

— რატომ დამორდი? — მკითხა ბოლოს.

— მე ბავშვები მიყვარს, იოანე და მინდა, რომ ბევრი მყავდეს, მას კი არ უნდა და მე მის გამო ბავშვი დავკარგე.

— ძალიან ვწუხვარ.

ისევ სადღაც სივრცეში იყურებოდა.

— ბავშვები სად არიან, არ ეხმიანები ხოლმე? — ვკითხე მე. — ალბათ, ყველა ბედნიერია.

— ყველაფერი შეიცვალა, იცი? ყველა შეიცვალა. შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა გვიყო ცხოვრებამ. ოცნების უნარი წაგვართვა, ყველა იქ მიგვიყვანა, საიდანაც დავიწყეთ, ანუ საკუთარ თავთან.

— რაზე ამბობ?

— რაზე? უტა მამასთან დაბრუნდა, საკუთარი ბიზნესი აქვს და სამი დიდი სახლი.

— ალბათ, ბედნიერია, თავის ძმასთან ცხოვრობს.

— ძმასთან? — ირონიულად გაეცინა იოანეს... — არც გახსენებია. ცოლი მოიყვანა, ბავშვიც ჰყავთ, ძმას თითქმის ალარ აკითხავს, მხოლოდ დღესასწაულებზე.

— არ მჯერა! — გული მეტკინა მე. — უტა ყოველთვის ისეთი კეთილი და თბილი იყო.

— ჰო, იყო! — მიპასუხა იოანემ. — ახლა სხვანაირია, მის სანახავად ვიყავი და თითქმის საათი მალოდინა მოსაცდელში და მერეც რომ ვნახე, არ ვიცი, როგორ გითხრა, სურვილი აღარ მაქვს მასთან მისვლისა, დაღლილი მეჩვენა და ჩემთან საუბრის დროსაც ვხვდებოდი, რომ გონებაში ბიზნეს გეგმები და ფული უტრიალებდა.

— ნატალი?

— ნატალის ტყუპი გოგონები ჰყავს, საცარი ბავშვები არიან. ჩვეულებრივად ცხოვრობს, არც ბედნიერია და არც უბედური, რაღაცნაირი გულგრილია ყველაფრის მიმართ.

— საშინელებაა! — ვთქვი მე. — ალბათ, თორნიკე?

— თორნიკე? — ძლივს გაიღიმა იოანემ. — თორნიკე სუთნუთან ფილმში ითამაშა, სტუდენტური კონკურსი იყო და დიდი

წარმატება მოიპოვეს, შემოთაზებებიც ბევრი ჰქონდა და უცებ, ყველასგან მოულოდნელად, მონასტერში წავიდა. ერთი კვირის წინ აღკვეცეს ბერად, ახლა იაკობი ჰქვია.

გაოცებული ვიყავი.

– ნეტა რა მოხდა მასთან ასეთი, რომ ასე გადაწყვიტა?

– ადამიანები უცნაური არსებები ვართ... – მიძასუსა ითანებ. – მე მივდივარ ხოლმე მასთან, როცა ამის საშუალებაა, მონასტერს თავისი წესები აქვს და ერთა-დერთი ადამიანია, ვისთანაც ვისვენებ, მისგან დაბრუნებულს სიმშვიდე მომყვება და შეგრძნება იმისა, რომ კარგიც არსებობს ამ სამყაროში.

– მეც რომ ვნახო, შეიძლება?

– არ ვიცი, მერე გავარკვიოთ ეგ ამბავი. ისევ გავჩრუმდით.

– შენთან რა ხდება, ითანე?

– ჩემთან? არაფერი, მარტო ვარ, ისევ ისე ვცხოვრობ, როგორც აქამდე.

– შენთან არაფერი შეიცვალა?

– გარეგნულად თითქოს არაფერი, მაგრამ უარესი გავხდი, ვიდრე ვიყავი. ამას შინაგანად ვგრძნობ, რაღაც დამაკლდა, სიკეთის კეთების და სიყვარული უნარი დავკარგე თითქოს.

ასე მეგონა, გული საშინლად სტკიოდა.

უცხოებივით ვისხედით.

ითანე არ მიყურებდა.

ვგრძნობდი, მისი ხელი ჩემს ხელს ეძებდა სიბნელეში, მაგრამ ბოლო წამს გადაიფიქრა.

მე ვუყურებდი ცას და მენატრებოდა სიმშვიდე.

მეჩვენებოდა, რომ მქონდა ფრთები...

და ავდგებოდი ახლა, შევერწყმებოდი ზეცას.

ისეთი მძაფრი იყო ეს შეგრძნება, რომ ძირს ჩამოვარდნის შემეშინდა და ძალინ, ძალიან მაგრად დავხუჭე თვალები.

## ლაზარე

მარტოსული იყო ლაზარე და ამ მარტო-

ობას დასტიროდა მუდამ...

– რა გატირებს, ლაზარე, შე ღვთის გლახა?

ლაზარეს უამრავი რამ ატირებდა....

ის, რომ აღარ უყვარდათ, სილამაზით ტკბიბა აღარ შეეძლოთ და ერთმანეთისაც აღარ სჯეროდათ ადამიანებს... და კიდევ ის, რომ ყველას დახმარება არ შეეძლო.

– ქვეყანა ვის გაუსწორებია, რომ შენ გაასწორო, ლაზარე, შე საცოდავო...

თავისას ცდილობდა ლაზარე მაინც... სხვას ტკივილს ურჩენდა და თვითონ სტკიოდა, სხვას ანუგეშებდა და თვითონ სასონარკვეთილი დადიოდა, სხვას აძლევდა ყველაფერს და თვითონ არაფერი ებადა, ყველასი იყო ლაზარე და თვითონ არავინ ჰყავდა, სხვას აცინებდა და თვითონ ტიროდა...

– რა გატირებს, ლაზარე, შე ღვთის გლახა?

არავინ იცოდა, რამდენი წლისა იყო ლაზარე, ზოგი ბავშვად სთვლიდა, ზოგი – კაცად, ზოგი კი – მოხუცად. ერთხანს იდავეს სოფელში ამის გამო და მერე დაივიწყეს, საზრუნავი ისედაც უამრავი ჰქონდათ.

თავისი არქონით ბედნიერი იყო ლაზარე.

„– რაი მივაგო უფალსა ყოველთათვის, რომელი მომაგო მე?“

ერთ ღარიბულ ქოხში ცხოვრობდა ლაზარე, მერე მოვიდა ვიღაც მდიდარი კაცი და, მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ სჭირდებოდა ეს ქოხი, მაინც გამოაძევა იქიდან. საყვედურიც არ უთქვამს ლაზარეს... სოფელიც არ გამოესარჩილა დიდად. კი ეცოდებოდათ ლაზარე, მაგრამ მდიდარი კაცის უფრო მეტად ეშინოდათ, თანაც საზრუნავი ისედაც უამრავი ჰქონდათ და კიდევ ერთს ვერ დაიმატებდნენ. სულაც არ სწყენია ლაზარეს მათი გულგრილობა, ისევ ძველებურად უყვარდა ისინი. სოფელიც იფერებდა ამ სიყვარულს, ვითომ ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

– წყალი ამომატანინე, ლაზარე, ღმერთი დაგლოცავს.

– ბოსტანი მაქვს მისახედი, ლაზარე და

უნდა წამესმარო როგორმე, დაგიფასებს უფალი.

— გასაქცევი ვარ, ლაზარე და ამ ბავშვებს მიმიხედე ცოტა ხანს, მაცხოვარი გადმოგხედავს მოწყალე თვალით.

არც უყვარდათ და არც ეჯავრებოდათ სოფლელებს ლაზარე... ლაზარეს კი მზე და მთვარე ამოსდიოდა მათზე. როცა ძალიან უჭირდა სოფელს, სწორედ მაშინ გამოჩნდებოდა ლაზარე და მოიყოლებდა უჩვეულო ნათელს, კარდაკარ ჩამოარიგებდა იმედსა და სიკეთეს. ამასაც შეეჩივნენ სოფლელები, უჩვეულოს ვეღარაფერს ხედავდნენ ამაში.

მარტოსული იყო ლაზარე და ამ მარტო-ობას დასტიროდა მუდამ.

— რა გატირებს, ლაზარე, შე ღვთის გლახა?

ლაზარეს სხვისი წუხილი ატირებდა, თორემ თვითონ რა ჰქონდა სადარდებელი, უფალს უყვარდა იგი...

— ბეჭებზე რა ჭრილობები გაქვს, ლაზარე?

— ბოროტებამ წამაგლიჯა ცაში ასაფრენი ფრთები.

ხეები უყვარდა ლაზარეს, კიდევ მზე და პატარა ჩიტები.

ადამიანების უმადურობით უფრო ძლიერდებოდა ლაზარე.

ერთ დღეს მდინარეში იხრჩიბოდა მდიდარი კაცი, სოფელში არავის უყვარდა იგი,

თავის გაწირვას არავინ აპირებდა. ღრია-ლებდა მდინარე და თავისკენ იწვევდა მსხვერპლს.

ცოცხალმკვდარი ამოათრია წყლიდან მდიდარი კაცი ლაზარემ. ძლიეს იდგა ფეხზე თვითონაც. მიწაზე დაემსო და ასე იწვა დიდხანს, ვერავინ გაბედა ახლოს მისვლა. ცრემლებად იღვრებოდა მდიდარი კაცი.

— არავინ ჰყავს და მაგიტომაც გაწირა თავი, თან სულელია ცოტა, — ჩაიბუზღუნა სოფელმა და თავი დახარა.

სცდებოდა სოფელი, უფალი ჰყავდა ლაზარეს. სოფლელები თვალებში ვეღარ უყურებდნენ ერთმანეთს. სოფელს იმიტომ არ უყვარდა ლაზარე, რომ ეშინოდა მისი სიკეთისა, რომლის ფონზეც უფრო მკვეთრად ჩანდა მათი ბოროტება.

— ახლა რალა გატირებს, ლაზარე?

— ჭრილობები მტკივა... ძალიან მტკივა...

— ფრთები ამოსდის ლაზარეს, — შიშით თქვა და უკან დაიხია სოფელმა.

გამოქვაბულში დასახლდა ლაზარე. იწვა და ელოდა. ელოდა დღეები, თვეები, წლები და საუკუნეებიც კი... ელოდა და სტკიოდა. ეს ტკივილი აძლევდა იმედს. გრძნობდა მოწევნულ იყო უამი, როცა ეტყოდნენ:

„აღდეგ, ლაზარე და გამოვედ გარეთ“.

თვით სიკეთე იყო ლაზარე, ციდან ჩამოსული სოფლად.

„სოფელმა კი ვერ იცნო იგი“.

## ვახტანგ გურული



### ევროპული პროგრესი და სამზუხარო ქართული სინამდვილე (ეროვნული და პარტიული იღია ჭავჭავაძის თვალთანადვილობი)

XIX საუკუნის შუა ხანებსა და მეორე ნახევარში ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო მზარდ გავლენას იძენდა ახალი ფენომენი – პოლიტიკური პარტია. პოლიტიკური პარტია გარკვეული სოციალური ფენის (ფენების) ინტერესების გამომხატველი იყო. პარტია თავისი არსით, ძირითადად, სამი სახისა იყო: მემარჯვენე, ცენტრისტული და მემარცხენე-ექსტრემისტული. პირველი ორი საპარლამენტო ცხოვრებას სრულიად ბუნებრივად, სერიოზული ექსცესების გარეშე შეერწყა და ამდენად პოლიტიკურ სისტემას საფრთხეს აღარ უქმნიდა. რაც შეეხება მემარცხენე-ექსტრემისტულ პარტიებს, ისინი რევოლუციური იდეების განხორციელებას ცდილობდნენ, მაგრამ ბურუჟუაზიული სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა იმდენად ძლიერი იყო, რომ პარტიები ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს სერიოზულ საფრთხეს

ვერ უქმნიდნენ. რუსეთსა და საერთოელოში სულ სხვა ვითარება იყო: პოლიტიკური პარტიების აღმოცენება XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან დაიწყო. რუსეთში ჯერ კიდევ შეუზღუდავი მონარქია არსებობდა, საპარლამენტო ცხოვრება ჩანასახის მდგომარეობაშიც არ იყო. ასე რომ, ყველა ტიპის პარტია (მემარჯვენე, ცენტრისტული და მემარცხენე-ექსტრემისტული) „ქუჩაში იდგა“ და პოლიტიკურ ასპარეზზე თავისი ადგილის დამკვიდრებას ცდილობდა. ასეთი ვითარება სოციალურ ფონს სერიოზულად ძაბავდა და სახელმწიფოს საფრთხეს უქმნიდა.

ამ პერიოდისათვის XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან იღია ჭავჭავაძის წინამდლოლობით დაწყებული დიდი ეროვნული მოძრაობა, სულ მცირე, სამ მიმდინარეობად იყო დაშლილი: გაზეთ „ივერიის“ მიმდინარეობა (იღია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრები) საერთო-ქართული ეროვნუ-

ლი მოძრაობის იდეების ერთგული იყო და ეროვნული მოძრაობის ერთიანობის შენარჩუნებას ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ; გაზეთ „კვალის“ მიმდინარეობა (გიორგი წერეთელი და მისი თანამოაზრები) „ივერიის“ მიმდინარეობასთან თანამშრომლობას გამორიცხავდა და ქართულ სინამდვილეში ახალი იდეოლოგიის – ნაციონალ-სოციალიზმის დანერგვას ცდილობდა; უურნალ „მოამბის“ მიმდინარეობა (ნიკო ნიკოლაძე და მისი თანამოაზრები) ბურუუაზიულ-დემოკრატიული იდეებით იყვნენ გატაცებული და საქართველოს მომა-



ვალს ბურუუაზიული წყობილების დამკვიდრებაში ხედავდნენ. ყოველივე ეს ილიას ძალზე აფიქრებდა. იგი კარგად ხედავდა, რომ დაშლის პროცესი ამით არ დამთავრდებოდა. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას ევროპის ქვეყნების გამოცდილება და, რაც მთავარია, ქართულ სინამდვილეში შექმნილი ვითარება იძლეოდა.

პოლიტიკური პარტიების აღმოცენება არავითარ საშიშროებას არ უქმნიდა იმ ერებს, რომელთაც დამოუკიდებელი

სახელმწიფოებრიობა და შესაბამისი პოლიტიკური კულტურა გააჩნდათ. საქართველოში სულ სხვა ვითარება იყო. რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ქართველ ერს სოციალური გათიშულობა, სოციალურ ფენათა დაპირისპირება დიდ საფრთხეს უქმნიდა. წოდებათა შერიგების, კლასთა თანამშრომლობის გარეშე ერის ერთი მიზნისათვის – დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის დარაზმა წარმოუდგენებლი იყო. ამჯერად კი სოციალური დაპირისპირებიდან მომდინარე საფრთხესთან ერთად ქართველ ერს პარტიული გათიშულობის, პარტიული დაპირისპირების საფრთხე დაემუქრა.

ილია ქართველი ერის პარტიული ნიშნით გათიშვის საშიშროებით ძლიერ იყო შემფოთებული. 1895 წელს ილიამ საზღვარგარეთ მყოფ ნოე უორდანიას შეუკვეთა წერილების სერია გერმანიაში პოლიტიკური პარტიების აღმოცენებისა და მოღვაწეობის შესახებ. ჩანს, ილიას სურდა, ღრმად და საფუძვლიანად გაეაზრებინა პოლიტიკური პარტიების ადგილი ერის (სახელმწიფოს) ცხოვრებაში. ნოე უორდანიამ შეკვეთა შეასრულა. „ივერიაში“ გერმანიის პოლიტიკური პარტიების შესახებ მისი წერილების ბეჭდვა დაიწყო. ილიამ მაღლე წერილების ბეჭდვა შეწყვიტა. სავარაუდოა, რომ ამის მიზეზი ნოე უორდანიას მიერ სოციალურ პრობლემატიკაზე ყურადღების ზედმეტად გამახვილება იყო. ნოე უორდანიამ ან ვერ აჩვენა (რაც ნაკლებად სავარაუდოა), ან არ აჩვენა (რაც უფრო სავარაუდოა), რა იყო პოლიტიკურ პარტიათა მოღვაწეობაში საერთო-ეროვნული, საერთო-სახელმწიფოებრივი.

ილიას XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა სანებშიც, გაცილებით უფრო ადრეც და მომდევნო წლებშიც ურყევად სწამდა: პოლიტიკური პარტიების აღმოცენება სოციალური დაპირისპირების ახალი ეტაპის დასაწყისს ნიშნავ-

და. პარტიათა წარმოქმნა გაცილებით უფრო საშიში იყო, ვიდრე სოციალური დაპირისპირება, რადგან ამა თუ იმ სოციალური ფენის ინტერესების დაცვის უკან ვინწრო პარტიული, კლანური, უფრო მეტიც სექტანტური, ინტერესები იმაღებოდა. პოლიტიკური პარტიების აღმოცენება საერთო-ეროვნული, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების უგულებელყოფას თავისთვად ნიშნავდა. ილია იმასაც კარგად ხედავდა, რომ დგებოდა დრო, როდესაც პოლიტიკური პარტია პოლიტიკური ცხოვრების აუცილებელ ფენომენად იქცეოდა. ეს ილიამ ნოე ჟორდანიას წერილებამ-დეც იცოდა, ამ წერილების გამოქვეყნების შემდეგ კი საბოლოოდ დარწმუნდა: საქართველო ამ სენიდან თავს ვერ დაიცავდა.

პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის – „მესამე დასის“ შექმნა (1892-1893 წწ.) და გიორგი წერეთლის მიერ გაზეთ „კვალში“ (დაარსდა 1893 წ.) სოციალისტური იდეების პროპაგანდა ქართველი ერის პოლიტიკურ პარტიებად გათიშვის დასაწყისის მაუწყებელი იყო. „მესამე დასის“ და გაზეთ „კვალის“ სოციალისტურ გატაცებებს ილიამ მხოლოდ 1896 წელს უპასუხა „ჯიბრაელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილით: „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუ“. წერილი სამი ლექციის სახით არის წარმოდგენილი, ვითომ, ავტორი აუდიტორიის წინაშე ლექციით გამოდის. ამ დროისათვის პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასი“ რამდენიმე წლის შექმნილი იყო. საზოგადოებისათვის „მესამე დასი“ პროგრამა და ამ ორგანიზაციის ლიდერის, ნოე ჟორდანიას, ასევე სხვა სოციალ-დემოკრატიების (სილიბისტრი ჯიბლაძის, ბეტრე გელეიშვილის) საპროგრამო ხასიათის პუბლიკაციები კარგად იყო ცნობილი. „მესამე-დასელთა“ საზოგადოებრივ ასპარეზზე დამკვიდრებას გიორგი წერეთელი აშ-

კარად უწყობდა ხელს, გაზეთ „კვალში“ სოციალისტური ხასიათის მასალას სისტემატურად ბეჭდავდა. ილიას სტატია სწორედ გიორგი წერეთლის, გაზეთ „კვალისა“ და „მესამე დასის“ წინააღმდეგ იყო მიმართული. პრაქტიკულად, ილია ქართულ სინამდვილეში სოციალისტური (სოციალ-დემოკრატიული) იდეოლოგიის დამკვიდრებას ებრძოდა. XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებისათვის ცხადი იყო, რომ ქართულ ეროვნულ მოძრობას ყველაზე დიდ საფრთხეს სწორედ სოციალისტური იდეოლოგია უქმნიდა. „ჩვენი ეხლანდელი „სიბრძნე-სიცრუ“ პირველი პუბლიციისტური წერილი იყო, რომელშიც ილიამ პოლიტიკური პარტიების აღმოცენებისაგან მომდინარე დიდ ეროვნულ საფრთხეზე პირდაპირ მიანიშნა. ამ დროიდან ილია სოციალ-დემოკრატიებს ღიად დაუპირისპირდა. ამავე დროს ილიამ ეროვნული მოძრაობის ცნობილ მოღვაწეს, გიორგი წერეთელს სოციალ-დემოკრატიების მფარველობასა და წახალისებაში საჯაროდ დასდო ბრალი, ხოლო „კვალი“ უშვერსიტყვაობით განთქმულ გაზეთად მონათლა. აშკარაა, რომ ილიამ გიორგი წერეთელს სოციალისტური იდეებით გატაცება, სოციალ-დემოკრატიების („მესამე დასის“) მფარველობა ვერ აპატია, ხოლო „კვალის“ – სოციალისტური იდეების პოპულარიზაცია, „ივერიასთან“ დაპირისპირება, ქართულ სინამდვილეში „ივერიის“ ადგილის დაკავების მცდელობა, თუმც უმთავრესი ისაა, რომ მკითხველს დაანახოს მთავარი, პოლიტიკურ პარტიათა აღმოცენებიდან მომდინარე დიდი ეროვნული საფრთხე: ”იქნება გეგონოთ, ამით მინდოდეს თავი მოვაწონოთ გ. წერეთელს, რომ მესამე დასში შესასვლელად თავისის ბეჭნიერის ხელით კარი გამიღოს. სულაც არა! მე უფრო შორს მინდა გადავაბოტო. თუ ღმერთი შემეწევა და მე ჩემით მოგაწონეთ თავი, მე მეოთხე დასს შევადგენ და მეთაურად გავუხდები. ოთხი სამზე ერთით წინ არის და მეც მინდა, თუ ვიქნები, წინ ვიყო. ბ-ნ

გ. წერეთლის დიდი ღვაწლი მით არის დაუკინარი, რომ ამისთანა ადვილი გზა გვიჩვენა წინაურობისა: საქმე ეხლა თვლაშია, მეოთხეს მეხუთე მოჰყვება, მეხუთეს – მეექვსე და წავა ესე, მინამ ადამიანს სათვალავი შემოაკლდება. ქართული პროგრესი ეს არის და ევროპისა კი რა მოგახსენოთ“.

ილიამ ისიც შენიშნა, რომ პოლიტიკური პარტიის, პოლიტიკური მიმდინარეობის ლიდერობა, რომელიმე პარტიული იდეოლოგის მიზანდასახული პროპაგანდა ამბიციურობის დიდ დოზასაც შეიცავდა. ილიას აზრით, სწორედ ამბიციურობა ამოძრავებდა გიორგი წერეთელს: „ვიღაცამ წამოროშა, რომ თავის-თავის ქება დამპალ კიტრადაც არა ჰლირსო. სტყუის, თქვენმა მზემ! მაშ რამ ააცოცა ჩვენი ბრძენი ბ-ნი გ. წერეთელი და დაასკუპა მუმია-სავით „მესამე დასის“ თავზე?“

ილიას ეჭვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ პარტიული ინტერესების ერთგულებიდან სამშობლოს ღალატამდე ერთი ნაბიჯი იყო. ილიამ „მესამე დასასა“ და მის ნათლიას, გიორგი წერეთელს სწორედ სამშობლოს მოღალატის ბედი უწინასწარმეტყველა. თბილისის სათვადაზნაურო სკოლის ირგვლივ ატექილი დავის დასასრულს გიორგი წერეთლის თანამოაზრეთა ძალისხმევით მიღებული ანტიქართული დადგენილების კრიტიკისას, ილია ალნიშნავდა: „ასეა თუ ისე, ბ-ნმა გ. წერეთელმა სიხარულით მაშინვე დეპეშა გაუგზავნა საიქიოს ნეტარხსენებულ კატკოვს და მიულოცა, რომ, თუმც მოჰყვდი, შენის ანდერძით ან ისევ ჰსაქმობ მკვდარიო. ჩვენ, ქართველები, ძლივს მიგვდით შენს სიბრძნე-სიცრუესო. გიხაროდენ, მიხეიილ ნიკიფოროვიჩ, შენ მანდ, ვითარცა მიხარიან აქ მე, გიორგი ექვთიმეს-ძესაო. არ ვიცით-კი ეს, სასახელო დეპეშა მარტო თავისის სახელით გაუგზავნა ჩვენმა ჩვენმა ღვთით ბედნიერად ბრძანებულმა გ. წერეთელმა, თუ მესამე და-

სის სახელითაც“.

პარტიობის სენი სულ უფრო სერიოზულად ღრღნიდა ქართველი ერის სხეულს, პარტიული ინტერესები ნთქავდა ეროვნულ იდეალებს.

ღვთისაგან დაკისრებული მისი-ის აღსრულებას რომ იწყებდა, ილიამ კარგად იცოდა, რომ მონამის გზით უნდა ევლო. ვისთვისაც უნდა წამებულიყო, „პირველ ქვას“ სწორედ ის ესროდა, ის უარყოფდა. უარმყოფელთაგან შეურაცხყოფილი ილია ირონიული ღიმილით შეცყურებდა ცოდვით დაცემულთა ნამოქმედარს, ხსნის გზას სთავაზობდა და როცა სამაგიეროდ კვლავ შეურაცხყოფილენ, ისევ ირონიულად მიმართავდა: „მე, ბატონებო, ასეც მჩვარში ნუ გამხვევთ, მე ბევრი რამ კარგი მჭირს“. ყურად არავინ ილო. ილიას უარმყოფლების გააფთრებას საზღვარი არ ჰქონდა. ცხადია, ილია ყველას ვერ უპასუხებდა. ერთი შემთხვევის გამო კი ოთხ მათგანს (გიორგი წერეთელს, მიხეიილ მაჩაბელს, ივანე მაჩაბელსა და ილია ხონელს) მისთვის ჩვეული იუმორით ასე უპასუხა: „ეხლა რაკი გამომეცნაურეთ, მე აღარაფრის შიში მაქვს. უსათუოდ ჩემთან ერთად იტყვით, რომ მე, ესე იგი თქვენს ყურმოჭრილს მოსამსახურეს, ყოველი ის სიკეთე მჭირს, რაც საჭიროა მეოთხე დასის მეთაურობისათვის. ხუმრობაა, ერთ კაცს წილად ჰქონდებოდეს უშვერსიტყვაობა გ. წერეთლისა, ყბედსიტყვაობა თ. მ. მაჩაბლისა, ფულურსიტყვაობა თ. ი. მაჩაბლისა! მართალია, ზოგიერთი სწავლული და მეცნიერი ამტკიცებს, რომ ეს სამივე ერთად დომასავით რომ აურიო, კარგად დაზილო და ერთს კეცზედ გამოაცხო, ის გამოვაო, რასაც რუსები „ნულს“ ეძახიან, ფრანგები – „ზეროს“ და ქართველები – ილია ხონელს“.

ილიას პირველობას ვერ იტანდნენ, მისი პოპულარობა შურდათ. ილიამ სიტყვა „არაკის“ წარმომავლობა გან-

მარტა, რის შემდეგაც, თავისი „აღმოჩენის“ დაცვის მიზნით, მკითხველს ასე მიმართა: „აქაც გთხოვთ, მემონმენით, თორემ ამასაც ხელიდამ გამომგლეჯს ჩვენი გ. წერეთელი, ეგ სიტყვა პირველად მე ამოვხსენიო და დავილუბე ხომ კაკალი კაცი. მესამე დასი ხომ დაუჯერებს და დაუჯერებს და ერთ ადლზე კიდევ მაღლა აასკუპებს თავისს მეთაურს“. მეორეგან ილიამ მკითხველს „სიპრძე-სიცრუის“ არსი განუმარტა და იქვე დასძინა: „გთხოვთ დაიხსომოთ, რომ ამ საგანს პირველად მე მივეკარე, ეს საგანი პირველად მე აღმოვაჩინე, თორემ ბოლოს, როცა მე ამით სახელს ვიშოვი, ბ-ნი გ. წერეთელი წამომეცილება, სახელს პირველობისას ის დაიჩემებს და სადაოდ გამიხდის საქმეს. ესე-თია მისი საქებარი ზნე-ჩვეულება“.

1900 წელს ილია ზოგადი საუბრიდან კონკრეტული ადამიანების მხილებაზე გადავიდა, უფრო ზუსტად, ამ წელს იგი პოლემიკაში ახალგაზრდა თაობის ყველაზე ცნობილმა წარმომადგენელმა ნოე უორდანიამ გამოიწვია. 1900 წელს წინახანებში გამოქვეყნებული წერილების სერია ნოე უორდანიამ ცალკე წიგნად გამოსცა სათაურით „ქართული პრესა (გუშინ და დღეს)“. ავტორმა სამიზნედ ილიას „ივერია“, მისი იდეური მიმართულება აირჩია და „ივერია“ ბნელეთის მოციქულად გამოაცხადა. ეს, ცხადია, მხოლოდ „ივერიის“ ღვაწლის უარყოფა არ იყო, ეს იყო სამოციანელთა (თერგდალეულთა) ღვაწლის უარყოფა, ილიას გზის გმობა. ილიამ გამოწვევა მიიღო. ნოე უორდანიას საპასუხოდ დაწერილი ოთხი წერილი ილიამ ასე დაასათაურა: „უმეცრების ფართი-ფურთი“, „ახალი უმეცრობანი ბ-ნი ნოე უორდანიასი“, „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცრისა“, „ისევ და ისევ ბ-ნ ნოე უორდანიას უმეცრობანი და მისი წაჯეგ-უკუჯეგობანი“. წერილები ილიამ 1900 წელსვე „ივერიაში“ „ახალმოსულის“ ფსევდო-

ნიმით დაბეჭდა. ილია წერილში „უმეცრობის ფართი-ფურთი“ ნოე უორდანიას თვისებათაგან გამოჰყოფს ისეთ უარყოფით თვისებებს, როგორიცაა: ქედმაღლობა, ზედმეტი თავდაჯერებულობა, ტრაბაზი, თვალთმაქცობა. აი, რამდენიმე ადგილი ილიას წერილებიდან: „ბ-ნი ნოე უორდანია თავზე ბუზისაც არ ისვამს და დიდის ბუჟით და ნალარით იქადის: რაცა ვარ, მე ვარო. დე იძახოს, ამით არავის არც არაფერი დააკლდება, არც მოემატება და ჩვენც ამაზე არ გამოვეკიდებით თავმოწონებულს პუბლიცისტსა, მით უფრო, რომ რუსული ანდაზისა არ იყოს – დე ბალდებმა იცელებონ, თავი შეიქციონ, ოღონდ-კი ნუ იტირებენ.“ ზემოხსენებული თვისებები ილიას ყველა სოციალისტის თვისებად მიაჩნდა, თუმცა მათ შორის საგანგებოდ გამოჰყოფდა ნოე უორდანიას: „ამგვარ უვიცთა და უმეცართა შორის ერთი მეტად თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ჩვენში ბ-მა ნოე უორდანიამ. მან სწორედ ამისთანა კაცად გამოიჩინა თავი, თუმცა-კი თავი დიდ ბრძენად და მეცნიერად მოაქვს და რაღაც უზომო დიადობით განგებ გაბრუებულა თავისი-თავის ქებითა. იმას რომ ჰკითხოთ, იგი მოვლინებულია, რომ წუთისოფლის ბორბალს ღერძი გამოუცვალოს და თავისის ბრძანებისა და ნებისაებრ ატრიალოს ცა და ქვეყანა.“ ილიას აზრით, დიდ იდეებს გამოდევნებული ნოე უორდანია, თავს სასაცილო მდგომარეობაში იგდებდა: „ქვეყნის აშენებას გვიქადის ბ-ნი ნოე უორდანია და მის ნაირები. საპა ორბელიანის ზღაპრისა არ იყოს, თითონ მამალსავით ხეზე შემჯდარა და იძახის: მე აქ ვიყივლებ და თქვენ ძირს იყეფთ და სოფელი აშენდებაო. ამ იმედით ბრძანდებოდეს ბ-ნი ნოე უორდანია და მისი კამპანია, და როცა ამ გზით იმან ქვეყანა ააშენოს, მე წილს ნულარ დამიდებენ, არ დავემდურები“. ილიამ ნოე უორდანიასა და მის თანამოაზრებს ასეთი განაჩენი გამო-

უტანა: „ბაქიაობა, კვეხნა, თავის-თავის ქება და განდიდება უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ზემო სართულში ყველაფერი თავის ადგილას არ არის დალაგებული. თავისის-თავის მაქებარი შორს მანძილს ვერ გაივლის, მალე ჩაკეცინებენ მუხლსა, როცა დაუფიქრდებიან და შეატყობენ, რომ შიგ არა ყრია-რა. ამის დრო, როცა იქნება, მოვა, და იგი ბალლები, რომელთ წინაშე დღეს ბ-ნი უორდანია უმეცრობისა და უვიცობის მალაქს ტაშისცემით გადადის, გაიზრდებიან, ისწავლიან, ცოდნით შეივსებიან და გამოარკვევენ, რა არარაობის მადანია ეს ჩვენი ახალი პუბლიცისტი ყოველისფრით, ნიჭი გნებავთ, ცოდნა, თუ ჭკუა“.

ერთი შეხედვით უცნაურია: რატომ არაფერს ამბობს ილია სოციალიზმის ბუნების შესახებ, მაშინ, როცა ქართველ სოციალისტებს მიწასთან ასწორებს. ამას შეიძლება ერთადერთი ახსნა ჰქონდეს: ილიამ კარგად იცოდა, თუ რა დიდ ძალას წარმოადგენდნენ სოციალისტები ევროპასა და რუსეთში, ამ მოძრაობასთან ღიად დაპირისპირება საშიში იყო. ილია არა მარტო არ აკრიტიკებს სოციალიზმს, არამედ არც კი ახსენებს მას, მკითხველს არ განუმარტას სოციალიზმის ბუნებას. ილიას პუბლიცისტურ წერილს, „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ ღრმად თუ ჩავუკვირდებით, აშკარა გახდება, რომ სოციალიზმის ნაცვლად ილია ხმარობს „სიბრძნე-სიცრუეს“. შემთხვევითი არ არის, რომ ილიას „სიბრძნე-სიცრუეს“ მნიშვნელობა წერილის დასაწყისში არ განუმარტავს. მას შემდეგ, რაც გიორგი წერეთლის, გაზეთ „კვალისა“ და „მესამე დასის“ საფუძვლიან კრიტიკას მორჩა, ილია, თითქოს უადგილოდ, ასე მიმართავს მკითხველს: „ეხლა დროა შევუდგეთ ჩემის ლექციის საგანს. სმენა და გაგონება!..“ როგორც ვხედავთ, ილია საგანგებოდ ამზადებს აუდიტორიას და მხოლოდ ამის შემდეგ აცხა-

დებს: „საგანი ჩემის ლექციებისა არის ეხლანდელი ჩვენი სიბრძნე-სიცრუე“. სიბრძნე-სიცრუეს თემა, მისი არსი და დანიშნულება ქართველი მკითხველი-სათვის შესანიშნავად იყო ცნობილი, მაგრამ ილია „სიბრძნე-სიცრუეს“ სულ-ხან-საბა ორბელიანისეული გაგებით არ იყენებს. ასე რომ ნდომოდა, წერილის სათაურში არ იქნებოდა სიტყვები „ჩვენი“ და „ეხლანდელი“. ცხადია, ილია უკვე სათაურიდანვე ამცნობს მკითხველს, რომ საუბარი იქნებოდა არა „სიბრძნე-სიცრუეს“ ტრადიციულ გაგებაზე, არამედ სხვა „სიბრძნე-სიცრუეზე“ – „ეხლანდელ“ (XIX საუკუნის 90-იანი წლების) „სიბრძნე-სიცრუეზე“. ილია იმთავითვე გრძნობდა, რომ წერილის სათაურს შეიძლებოდა მკითხველი დაებნია, რადგან ქართველ მკითხველს „ძველი“ „სიბრძნე-სიცრუეს“ არსი და დანიშნულება კარგად ესმოდა, „ახლისა“ კი – არა. ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ილია წერს: „იქნება ამ სათაურმა გაგაოცათ. მე იმდენი თქვენი გაოცება არ მინდა, რამდენიც ის, რომ ამ უთავბოლო დრო-ჟამს, როცა ჩვენში დავთრები აირია, როცა ძალლს, უკაცრავად არ ვიყო – პატრონი ვერ უცვნია და პატრონს ძალლი, შესაფერი სახელი რამ დაერქვას. მე ვამტკიცებ, რომ ეხლანდელი დრო დროა სიბრძნე-სიცრუესა, მე ვამბობ ჩვენი, ესე იგი ქართველების, დროია-მეთქი ასეთი. სხვებთან მე საქმე არა მაქვს. ყველა ერს ეხლანდელს დროში იმდენი თავისი საკუთარი თავში საცემი აქვს, რომ ძნელია სხვისთვის მოიცალოს ვინმემ. მაინც-და-მაინც, დეე სხვამ თავისი იცოდეს, ჩვენ ჩვენი უნდა შევიტყოთ“. „ეხლანდელი“, „სიბრძნე-სიცრუეს“ განმარტების შემდეგ ილია მისთვის დამახასიათებელი იუმორით მოულოდნელად ისევ გიორგი წერეთელს ახსენებს: „გთხოვთ დაიხსომოთ, რომ ამ საგანს (ე. ი. „ეხლანდელ „სიბრძნე-სიცრუეს“ – ვ.გ.) პირველად მე მივეკარე, ეს სა-

განი პირველად მე აღმოვაჩინე, თორემ ბოლოს, როცა მე ამით სახელს ვიშმოვი, ბ-ნი გ. წერეთელი წამომეცილება, სახელს პირველობისას ის დაიჩინებს და სადაოდ გამიხდის საქმეს. ასეთია მისი საქებარი ზეუ-ჩვეულება“.

ილიას წერილის ეს ადგილი ბევრი რაიმეთია საინტერესო. ილია აღნიშნავს: საქართველოში „დავთრები აირია“ და „უთავბოლო დრო-ჟამი“ დადგა. რამ არია „დავთრები“ საქართველოში? რატომ დადგა „უთავბოლო დრო-ჟამი?“ ამ დროისათვის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში და მთლიანად ქართულ საზოგადოებაში, მის ყველა ფენაში „დავთრები“ სოციალისტური იდეოლოგიის გავრცელებამ და ქართველი სოციალ-დემოკრატების იდეური და ორგანიზაციული გაერთიანების – „მესამე დასის“ შექმნამ არია. ნოე ჟორდანიამ, სილიბისტრო ჯიბლაძემ და პეტრე გელეიშვილმა 1893-1896 წლებში გამოქვეყნებულ წერილებში ეჭვევეშ დააყენეს ქართული ეროვნული მოძრაობის მონაპოვარი, ხოლო მისი ხვალინ-დელი დღე უპერსპექტივოდ მიიჩნიეს. ამასთან ერთად, დაინტყო ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის როლის დაკრინება, თავადაზნაურული ინტელიგენციის აპურად აგდება. ქართველი ერის წინამძლოლად პროლეტარიატი (მუშათა კლასი) გამოცხადდა. დაინტყო კარგად ორგანიზებული პროპაგანდა, რომლის მიზანი იყო სოციალური დაპირისპირების გაღრმავება და სოციალური აფეთქების გამოწვევა. სწორედ ამ მოვლენას უწოდებს ილია „დავთრების არევას“, ხოლო თვით დროს – „უთავბოლო დრო-ჟამს“.

ზემოთ მოტანილი მასალა და მისი ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ „ეხლანდელ სიბრძნე-სიცრუეს“ ილია სწორედ სოციალიზმს უწოდებს, ახალი დროის სიბრძნე-სიცრუედ სოციალიზმს მიიჩნევს.

ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ

მეტყველებს ილიას წერილის კიდევ ერთი ადგილი, სადაც იგი უკვე აშკარად უპირისპირებს ერთმანეთს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუეს“ და „ეხლანდელ სიბრძნე-სიცრუეს“. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუე“ ილიას ასე აქვს წარმოდგენილი: „საბა ორბელიანის სიცრუე-მეთქი სულ სხვაა. საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, არაკია, იგავია. იგავი, არაკი, ზღაპარი ამისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭკუო და საზნეო ჭეშმარიტებას ზედმინევნით გვიხატავს ხორცმესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვინუნებს, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად“. „ეხლანდელ სიბრძნე-სიცრუეს“ ილია ასე ახასიათებს: „მე ვფიქრობ, რომ საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს-კი გამცნებო. ზღაპარი მოგონილი ამბავია, არა-მართალი, მაშასადამე, სიცრუეა. ამ მხრით წიგნი საბა ორბელიანისა სიცრუეა. ის სიცრუე-კი არა, რომელიც სწამლავს და ჰქონდა ადამიანს და სიცრუის მთემელს უფრო სიხრის და აუნმინდურებს, ვიდრე სხვას. ის სიცრუე-კი არა, რომელსაც აულია ურცხვად თავი და ქურდულად იკბინება გესლიან მორიელივით და რომელიც ასე საზიზღარია და სამართლიანად დევნული ყოველ პატიოსან კაცისაგან. ის სიცრუე-კი არა, რომელსაც ბუდე გაუკეთებია ჩვენს სასიქადულო „მესამე დასის“ უურნალში, ბ-ნი გ. წერეთლის თავმოსაწონებელ კვალში, და რომელშიაც იგივე ბ-ნი გ. წერეთელი კრუხადა ზის და სჩეკს ტყუილების წინილებს და ყოველ-კვირა გამოჰყავს იარმუკაზე გასასყიდად“.

„მესამე დასი“ და „კვალი“ სოციალიზმის იდეების ერთგული მიმდევრები და აქტიური პროპაგანდისტები იყვნენ, მესამედასელები – თავგადაკლული სოციალისტები (სოციალ-დემოკრატები). თუ ილია პირველ ქართულ

სოციალ-დემოკრატიულ (სოციალისტურ) ორგანიზაციას – „მესამე დასა“ – ისეთ ორგანიზაციად მიიჩნევს, სადაც „ეხლანდელ სიბრძნე-სიცრუეს“ დაუსადგურებია, მაშინ უდავო უნდა იყოს: სოციალიზმი – ეს არის ახალი დროის, ანუ „ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“, რომელიც მხოლოდ ერის გახლეჩასა და ურთიერთდაპირისპირებას შეუწყობს ხელს.

აქ იმის გახსენებაც უპრიანია, თუ რა იგულისხმა ილიამ „ხიდჩატეხილობაში“, რა არის მისი „ოთარაანთ ქვრივის“ ერთი უმთავრესი საკითხთაგანი. ილიას აზრით, წოდებათა მორიგება, ანუ სოციალური თანხმობა, ეროვნული ორგანიზმის გამთლიანების აუცილებელი პირობაა, სოციალისტური იდეების ქადაგება კი არამც თუ მოსპობს წყალგამყოფს, არამცთუ შეარიგებს სხვადასხვა ნაპირზე მყოფ ქართველობას, არამედ ერის გახლეჩას შეუწყობს ხელს, რაც მოხდა კიდევაც სინამდვილეში. სოციალისტურმა იდეოლოგიამ, პროლეტარიატის დიქტატურის კლასობრივი ეგოიზმით აღსავსე დოქტრინის წყალობით, არა მარტო კოლონიურ პირობებში მყოფი ერის გათიშვა და ურთიერთდაპირისპირება გამოიწვია, არამედ საბედისწერო როლი ითამაშა 1921 წელს დამოუკიდებლობის ხელმეორედ დაკარგვაში. თავისუფლების იმ სამწლიან პერიოდშიც ვერ მოხდა ერის გამთლიანება. სიმართლეს თუ გვინდა თვალი გავუსწოროთ, უნდა ვთქვათ, ჩვენი მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა, მოტყუებულმა ბოლშევიკური პარტიის პროპაგანდით, 1921 წლის თებერვალში, ქვეყნის ფაქტობრივი ოკუპაცია ხელისუფლების უბრალო ცვლილებად მიიღო.

არჩილ ჯორჯაძემ, რომელიც ახალი – სოციალ-ფედერალისტური – პარტიის დამარსებელი შეიქნა, კარგად იგრძნო დროის მოთხოვნა – პოლიტიკური პარტიის არსებობის აუცილებლობა.

მიუხედავად ამისა, მისი „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორია არსებითად არ განსხვავდება ილია ჭავჭავაძის მიერ ჯერ კიდევ 80-იან წლებში ნაქადაგევი სოციალური და წოდებრივი გათიშულობის მოსპობის, „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენის ილიასეული კონცეფციისაგან.

მეტად საინტერესოა, თუ რა ეპითეტებით ახასიათებს ილია სოციალიზმს. ილიას აზრით, სოციალიზმი „სწამლავს და ჰქმავს ადამიანს“; „ქურდულად იკბინება გესლიან მორიელისავით“; „საზიზღარია და სამართლიანად დევნული ყოველ პატიოსან კაცისაგან“; „სიცრუის მთქმელს (სოციალისტს – ვ.გ.) უფრო სთხრის და აუწმინდურებს“.

სოციალიზმს ასეთი მომაკვდინებელი დახასიათება ქართულ სინამდვილეში მხოლოდ ილიამ მისცა. ცხადია, სოციალ-დემოკრატებმა შესანიშნავად გაიგეს, თუ რა მნიშვნელობით ხმარობდა ილია „ეხლანდელ სიბრძნე-სიცრუეს“. სოციალიზმის გაბიაბრუებას კი ისინი არავის აპატიებდნენ. არ აპატიეს ილიასაც! განსაკუთრებით გაღიზიანებული იყო გიორგი წერეთელი. წერილში „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ ილია გიორგი წერეთლის შემოქმედებას ასე აფასებს: „კიდევ სხვა მაგალითს მოვიყვანდი ამისთანა მადლიან შემოქმედობისას, ზეგარდმო-შთაგონებისას, თუნდა „რუხი მგელს“ გ. წერეთლისას, მაგრამ ვწუხვარ, რომ არავის წაგიკითხავთ და თაგვებს დარჩათ შესაჭმელად: თაგვებმა უფრო იციან ამისთანა სანუკვარის ყადრი... აი, ახლაც გვპირდება გ. წერეთელი, ოლონდ „კვალზე“ ხელი მომიწერეთო და ჩემს ახალ ნაწერს „გულქანს“ მუქთად მოგართმევთო. მოდით და ამისთანა საჩუქარს ზურგი შეაქციეთ. თაგვებს ეხლავე სუნი აულიათ, კბილებს თურმე ჰლესენ და სიხარულით იძახიან: რა გვეშველებოდა, რომ ბ-ნი გ. წერეთელი არა გვწყალობდე-

სო“. ილია ჭავჭავაძის წერილს გიორგი წერეთელი გამოეხმაურა. 1897 წლის აპრილში გაზეთ „კვალში“ მისი „ლია წერილი თ. ილია ჭავჭავაძეს“ დაიბეჭდა. აშკარაა, რომ გიორგი წერეთელი იმდენად სოციალიზმისა და სოციალისტების განქიქებამ კი არ გააღიზიანა, არამედ მისი შემოქმედების ილიასეულმა შეფასებამ. ლია წერილში უაღრესად გაღიზიანებული გიორგი წერეთელი აღნიშნავდა: „მას აქეთ, რაც თქვენ საკუთარი ქართული ორგანო (იგულისხმება გაზეთი „ივერია“ – ვ. გ.) დააარსეთ, ვისაც კი გაუბედნია თქვენთან აზროვნებაში კამათი, ყველას ბლომად მოხვედრია თქვენ და თქვენ ამალათაგან მიერ შემზადებული ტალახი. ამ თქვენ მიერ გამონატყორცნილ ტალახს და ბეზღობას არ გადარჩენია არც ერთი ჩვენი ქართველი მოღვაწეთაგანი, რომელთაც ბედნიერება არ ჰქონებიან ზოგიერთი თქვენი მოქმედება მწერლობაში არ გაეკიცხათ და შესაფერად არ დაეფასებინათ“.

გიორგი წერეთელი სოციალიზმის იდეამ გაიტაცა, მესამე დასის შექმნასაც კი მიესალმა, მაგრამ პოლიტიკური პარტიის იდეის მეხოტბე მაინც არ გამხდარა. ილია ჭავჭავაძის წერილიდან „ჩვენი ეხლანდელი სიპრძნე-სიცრუე“ გიორგი წერეთელი უპირატესად მისი შემოქმედების განქიქებამ გააღიზიანა, ვიდრე ილიას მიერ პოლიტიკური პარტიების აღმოცენების პროცესის მკვეთრად უარყოფითმა შეფასებამ. სამაგიეროდ, პოლიტიკური პარტიის მეხოტბის როლი ნოე უორდანიამ იკისრა. 1898 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „პარტიობა“ ნოე უორდანია არაპირდაპირ ეპასუხებოდა ილია ჭავჭავაძეს, თუმც კარგად ხვდებოდა, რომ ავტორი წერილისა – „ჩვენი ეხლანდელი სიპრძნე-სიცრუე“ – პოლიტიკური პარტიების გაჩენას ქართველი ერისათვის დიდ საფრთხედ აღიქვამდა, რაც ნოე უორდანიას არასწორად მიაჩნდა. სტა-

ტია სწორედ ამ პრობლემას ეძლვნება. ავტორი პირველი სტრიქონიდანვე ცხადად აყალიბებდა თავის პოზიციას: „პარტია, დასი – აი, რა აფრთხობს და აშინებს ჩვენს საზოგადოებას! პარტია, დასი – აი, რა ახარებს და ამოძრავებს ჩვენს საზოგადოებას! რა მოჩვენებაა ეს? საიდან წარმოდგება ეს ორნაირი შეხედულება? ნუ თუ ეს დასაჯერებელია? დიახ, ეს დასაჯერებელი გახლავს, ეს სრულ სინამდვილეს შეიცავს, ეს მოვლენა ნათლად აღბეჭდავს ჩვენი საზოგადოების მდგომარეობას, მის სულის კვეთებას და მისწრაფებას. მას აშინებს ისეთი პარტიობა, რომელიც რაიმე აზროვნების, იდეის და მიმართულების მატარებელია“. ნოე უორდანია მიიჩნევდა, რომ ქართველი საზოგადოების (ცხადია, პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძეს გულისხმობდა – ვ. გ.) უარყოფითი დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიისადმი ჩამორჩენილობის დამადასტურებელი იყო: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დღეს არსათ ისე არ იდევნება ახალი აზრი, როგორც ამ ჩვენ საზოგადოებაში. და რომ მას უფლება ქონდეს, თითოეულ ასეთ მოაზროვნეს ისეთივე კოცონზე გაგზავნიდა, როგორითაც, ოდესმე რომის ღვთის-მეტყველნი მონინააღმდეგეთ ანადგურებდნენ ხოლმე. გასაშტერებელი მიუკარებლობა, გონებრივი თვითმშეცვლობა, თავის-თავის გაკერპება და სხვისი მძულვარება, – აი, ნიშნობლივი თვისება ქართველ საზოგადოებისა. ეს, ასე ვთქვათ, ერთნაირი ჯაჭვია, რომლის თითოეულ რგოლს თითო ასეთი პირი შეადგენს და ასე გარს შემორტყმული აქვს მთელ ხალხს, მთელ ერს. ჩვენი საზოგადო აზროვნების აღორძინება და განვითარება ამ ჯაჭვის თანდა-თან დამსხვრევას მოითხოვს“. ავტორის აზრით, პოლიტიკური პარტია ახალი აზრის, ახალი მიმართულების მატარებელია, რაც აშინებდა ქართველ საზოგადოებას. შექმნილ ვითარება-

ში პოლიტიკური პარტიის როლი ნოე უორდანიას ასე ესახება: „პარტია, რომელიც იცავს ერის მოწინავე ნაწილის ინტერესებს, იცავს იმავე დროს უკანჩამორჩენილთა ინტერესებს, მარა არა როგორც ძველი ურთიერთობისა და აზროვნების მატარებელს, არამედ როგორც ამის უარის მყოფელს და ახლის შემთვისებელს. მხოლოდ ეს პარტიაა დღეს ჩვენში ერთათ ერთი პროგრესული, ყველა დანარჩენი კონსერვატიულ-რეაქციონულია“. ცხადია, ამ პარტიაში ნოე უორდანია ქართველ სოციალ-დემოკრატებს – მესამედასელებს – გულისხმობს.

ასე გააკეთა ნოე უორდანიამ არჩევანი ეროვნულ და პარტიულ მოღვაწეს შორის. მიუხედავად ამისა, მისი ნაწერებიდან აშკარა ხდება, რომ იგი ამ არჩევანის შემდეგაც დროდადრო მერყეობს ეროვნულსა და პარტიულს შორის.

ნოე უორდანიამ დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. დროდადრო ძლიერი მერყეობის მიუხედავად, მან სწორად შეაფასა იმჟამად მიმდინარე მსოფლიო ომის პირობებში რუსეთსა და საქართველოში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება და სახელმწიფო-ეპრივი დამოუკიდებლობის ალდგენას დაუჭირა მხარი. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) და მათი აღიარებული წინამდობის საბოტაჟის შემთხვევაში დამოუკიდებლობა ვერ გამოცხადდებოდა. ამასთან ერთად, ობიექტურობა მოითხოვს განვაცხადოთ, 1918 წლის 26 მაისის აქტმაც კი ნოე უორდანიაში ვერ ჩაკლა პარტიელის სულისკვეთება. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ მალე, 1918 წლის 2 ივნისს, ნოე უორდანიამ და ირაკლი წერეთელმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტისა (იმსანად საქართველოს სოციალ-დემოკრატი-

ული პარტია არ არსებობდა, რუსი და ქართველი სოციალ-დემოკრატები ერთ პარტიაში შედიოდნენ – ვ. გ.) და საქართველოს ეროვნული საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით წერილი გაუგზავნეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს. წერილში გადმოცემულია მოვლენათა განვითარება ამიერკავკასიაში 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციიდან 1918 წლის მაისამდე. წერილში ორი მეტად სამარცხვინო დასკვნაა გაკეთებული: 1. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო იძულებითი ნაბიჯი, რადგან რუსეთმა ამიერკავკასია მიატოვა (გულისხმობდა რუსეთის ჯარის გასვლას 1918 წლის იანვარში), საქართველოს კი ოსმალეთის აგრესისაგან თავის დაცვა არ შეეძლო; 2. ქართველი სოციალ-დემოკრატები იმედს არ კარგავდნენ, რომ რუსეთის დემოკრატია ძალას მოიკრებდა და რუსეთის ერთიანობაც აღდგებოდა. წერილში ვკითხულობთ: „ჩვენ მზად ვიყავით ნებისმიერი მსხვერპლი გაგველ რუსეთის ერთიანობის აღსადგენად“. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე, 1918 წლის 9 მაისს, გამოცხადდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, შეიქმნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა. ნოე უორდანია და ირაკლი წერეთელი თავს იმართლებდნენ, რომ ამ აქტით სოციალ-დემოკრატები რუსეთის დემოკრატიასთან კავშირის გაწყვეტას არ აპირებდნენ: „ამ ნაბიჯით ჩვენ თქვენთან კავშირის განყვეტას არ ვესწრაფოთ. ჩვენ მხოლოდ ის მდგომარეობა გავაფორმეთ, რომელიც, ჩვენი წების სანინაალმდეგოდ, ჩვენი ძალისხმევის მიუხედავად შეიქმნა“. კვლავ უცვლელი რჩებოდა მსოფლიო რევოლუციის ყბადაღებული იდეა. ნოე უორდანია და ირაკლი წერეთელი რუს თანაპარტიოლებს ამხნევებდნენ: „ჩვენ მტკიცედ

გვწამს ჩვენი მიზანი – სოციალური მიღწეული იქნება მხოლოდ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის გაერთიანებით, ჩვენ მსოფლიო დემოკრატიის ბრძოლაზე ვამყარებთ იმედს“.

მართალია, ნოე ჟორდანია და ირაკლი წერეთელი ბოლშევიზმსა და საბჭოთა ხელისუფლებასთან რაიმე კომპრომისზე წასვლას არ აპირებდნენ, მაგრამ ეს სულაც არ ამართლებს მათ ლოიალურ დამოკიდებულებას რუსი მენშევიკი სოციალ-დემოკრატების მიმართ, მით უმეტეს, ყოვლად მიუღებელი იყო თავისმართლების ის ტონი, რომელიც ნოე ჟორდანიასა და ირაკლი წერეთლის წერილში აშკარად იგრძნობოდა. მიუღებელი იყო იმიტომ, რომ რუსეთის ყველა პოლიტიკური პარტია, მათ შორის რუსეთის სოციალ-დემოკრატი მენშევიკები, ისეთივე ველიკოდერუქავული იდეებით იყვნენ შეპყრობილნი, როგორც ბოლშევიკები. ყველა მათგანისათ-



ვის საქართველოს დამოუკიდებლობა  
მიუღებელი იყო. ნოე ჟორდანიასა და  
ირაკლი წერეთლის წერილში ეროვნუ-  
ლი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აშ-  
კარად დაჩრდიოდა პარტიულობა.

ეროვნული ინტერესებზე მაღლა პა-  
რიული ინტერესის დაყენება თავისთა-  
ვად ითხოვდა საქართველოს ისტორიის  
გაყალბებას, ანუ განვლილი ეპოქების  
პარტიულ პრიზმაში გატარებას. ეს  
ქართველი სოციალ-დემოკრატიის ლი-  
დური ბმა მრავალგზის დაადასტურის.

ერთ მაგალითს მოვიყვან. 1897 წელს  
სოციალ-დემოკრატებმა ილიას 60 წლის  
იუბილე ჩაუშალეს. უშედეგოდ დამთავ-  
რდა ქართველი საზოგადოების ერთი  
ნაწილის ცდა, ილიას იუბილე დაგვია-  
ნებით – 1898 წელს, ალენიშვნათ. 1898  
წელს ცნობილმა მოღვაწემ მიხეილ ნა-  
სიძემ ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი  
ბროშურის – „ილია ჭავჭავაძე, ბიოგ-  
რაფიული და კრიტიკული ეტიუდი“ –  
გამოცემა მოახერხა. ილიას გარშემო  
შექმნილ არაჯანსაღ ატმოსფეროზე  
ისიც მიუთითებს, რომ ბროშურა ფსევ-  
დონიმით გამოვიდა: „მე გახლავარ“.  
მართალია, 1897 წელს ილიას იუბი-  
ლე ჩაიშალა, მაგრამ ხმები დადიოდა,

მო)”. ილიას მრავალმხრივი მოღვაწეობის განვიქების, ილიასა და მის თანამოაზრეთა აპუჩად აგდების, მიხეილ ნასიძის ბროშურის უპირობოდ დაწუნების შემდეგ ფილიპე მახარაძე დაასკვნის: „დროა, ზღაპრებს დავანებოთ თავი, ლათაიები უკუვაგდოთ და მართალი სიტყვა ვუთხრათ საზოგადოებას ჩვენი ნარსულის შესახებ. აგერ მეოცე საუკუნე კარზე მოგვადგა და ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რას აკეთებდენ ჩვენი მამები ამ ოჯი თუ ორმოწი წლის წინეთ”.

ამ მცირე ნაწყვეტში დიდად მზაკვრული აზრია ჩადებული. ფილიპე მახარაძე აცხადებს, რომ საზოგადოებამ არ იცის, თუ რა ხდებოდა საქართველოში „ოცი თუ ორმოცი წლის წინეთ“, ცხადია, იგულისხმება, რომ არ იცოდა საქართველოს ისტორია XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან 90-იანი წლების მიწურულამდე. ეს კი ის პერიოდია, როდესაც ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით დიდ წარმატებებს მიაღწია. იმ პერიოდში ბრძოლა ქართველობისა და საქართველოს გადასარჩენად წარმატებით მიმდინარეობდა. მიხეილ ნასიძე სწორედ XIX საუკუნის 60-90-იან წლებში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ილია ჭავჭავაძის როლს წარმოაჩენდა. ფილიპე მახარაძე კი საქართველოს ისტორიიდან ილიას სახელის ამოშლას მიესწრაფოდა.

1900 წლის იანვარში გიორგი წერეთელი გარდაიცვალა. მისი სიცოცხლის განმავლობაში „კვალი“, მართალია, „ივერისათან“ მკვეთრად იყო დაპირისპირებული, მაგრამ პოლემიკა ასე თუ ისე მიღებული ნორმის ფარგლებში მიმდინარეობდა. გიორგი წერეთლის გარდაცვალების შემდეგ „კვალის“ იდეურ ხელმძღვანელად ნოე უორდანია ითვლებოდა, თუმცა მალე „კვალი“ მანაც დატოვა. გაზეთის იდეური ხელმძღვანელი გიორგი წერეთლის ვაჟი ირაკლი წერეთელი გახდა, რომელმაც „კვალში“ რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა „ყვირილების“ ფსევდონიმით. 1903 წელს „კვალის“ რამდენიმე ნომერში გაგრძელდა ირაკლი წერეთლის წერილის „მამულიშვილობა, ეროვნება თუ ხალხის სამსახური“. ილია ჭავჭავაძეს და მის თანამოაზრებს ირაკლი წერეთელმა ასეთი განაჩენი გამოუტანა: „დღევანდელი „მამულიშვილობა“ იხედება უკან, და არა წინ, მის იდეალი მკვდარია და წარსულს ეკუთვნის.

მომავალში მას სიკვდილის გარდა არა ელის რა“.

ცხადია, ირაკლი წერეთლის სიტყვებსა და ქვემოთ აღნერილ ამბავს შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობდა, მაგრამ ამ ორი მოვლენის დამთხვევა მაინც საყურადღებოა. 1903 წელს უკვე ჯანმრთელობაშერყეული ილია ჭავჭავაძე თბილისში, ნაძალადევში, მუშათა ბიბლიოთეკის („იაფი ბიბლიოთეკის“) გახსნაზე მიიწვიეს. ვისი ინიციატივით მიიწვიეს ილია ამ ღონისძიებაზე, დადგენილი არ არის. ბიბლიოთეკის გახსნა მშვიდად ჩატარდა და ის-ის იყო ილია შინ დასაბრუნებლად ემზადებოდა, რომ დარბაზში ილიას ერთ-ერთი თანმხლები პირი შემოიჭრა და აღელვებულმა განაცხადა: ბიბლიოთეკის წინ თავმოყრილი, ხისა და რკინის ჯოხებით შეიარაღებული მუშები ილია ჭავჭავაძის ჩასაქოლად ემზადებოდნენ. მუშებს ორგანიზებას სოციალ-დემოკრატი კალისტრატე გოგუა უწევდა. თანმხლებმა პირებმა ეტლი შენობის უკანა გასასვლელთან მიიყვანეს და ილია ხიფათს ასე გაარიდეს. რკინიგზის უანდარმერის სამმართველოში ამ ფაქტთან დაკავშირებით საქმე აღიძრა, მაგრამ იმის გამო, რომ დაზარალებული არავინ იყო, ძიება მაღევე შეწყდა. კალისტრატე გოგუა არც კი დაუკითხავთ, თუმცა უანდარმერიამ კარგად იცოდა, რომ ორგანიზატორი სწორედ ის იყო.

1904 წლის იანვრიდან „კვალის“ გამოცემა შეწყდა. არ შეწყვეტილა ილია ჭავჭავაძის ნაზრევისა და ნალვანის განქიქება, პირიქით, 1905-1907 წლებში ილიას აგრესიული კრიტიკით უკვე რამდენიმე გაზეთი და უურნალი იყო დაკავებული. 1905 წლის დამდეგიდან დაწყებულმა დიდმა სოციალურმა დაპირისპირებამ რეალობად აქცია ის, რისი საფრთხეც ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ 1896 წელს დაინახა. საერთო-ეროვნული იდეოლოგია პარტიულმა, სინამდვილეში კი კლანურმა და

სექტანტურმა იდეოლოგიებმა ჩაანაცვლეს. უპარტიო, ეროვნული ძალა არსად ჩანდა. ერთი შეხედვით, გაუგებარი რამ მოხდა: ქართველი თავადაზნაურობაც კი სოციალისტური ორიენტაციის პარტიებში მიმოიფანტა. სოციალისტების წინააღმდეგ ხმის ამაღლებას ვერავინ ბედავდა. ყველა დადუმდა და მდუმარედ ელოდა ხვალინდელ დღეს, რომელიც, ცხადია, სიკეთის მომტანი ვერ იქნებოდა. ერთი ასეთი დღე 1907 წლის 30 აგვისტოს გათენდა. ილია ჭავჭავაძე მოკლეს. მოკლეს ის, ვინც, ყველაფრის მიუხედავად, ვერ ეგუებოდა, რაც საქართველოში ხდებოდა და საუკუნის სენის („ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუის“) წინააღმდეგ საბრძოლველად უკანასკნელ ფიზიკურ და სულიერ ძალას იკრეფდა.

P.S.

წინამდებარე სტატია ილია ჭავჭავაძის დაბადების 185-ე წლისთავს ეძღვნება. შევეცადე წარმომეჩინა ილიას თვალთახედვა, მისი დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიის მიმართ ჩვენი ქვეყნის რეალობის გათვალისწინებით. ამასთანავე, სხვა მიზანსაც არ დავმალავ, რასაც, ვფიქრობ, ადვილად მიმიხვდა მკითხველი – სამწუხარო რეალობა არ იცვლება. ხშირად ჩვენში სახელმწიფოებრივი ინტერესი ვიწრო პარტიულ, კლანურ ინტერესს ეწირება.



## ნინო სადლობელაშვილი

### პოეტური ინტერაქცია სიკვდილის შემდეგ (ნუგზარ ზაზანაშვილის ხსოვნას)

ხანდახან  
ცრემლის ლუპის გარეშე  
არაფერი ჩანს  
ნუგზარ ზაზანაშვილი

შარშან, ზაფხულის მიწურულს,  
ალექსანდრეს ბალში შევხვდით. კულ-  
ტურის სამინისტროს პროექტ „ცოცხა-  
ლი წიგნების“ ფარგლებში, მასთან ინ-  
ტერვიუ უნდა ჩაგვეწერა. ყოველთვის  
სიხარულს მანიქებდა ამ ადამიანთან  
ურთიერთობა და ახლაც ბედნიერი,  
ინტერესით სავსე მივედი „გადასაღებ  
მოედანზე“. ჰაერში წვიმის ნოტიო სუ-  
ნი იდგა და ფერიც გაცრეცილი ჰქონდა  
დღეს, მაგრამ თითქოს ზუსტად ასე-  
თი გარემო იყო – ზედმინევნით ზუსტი  
ფონი მისი პორტრეტის კონტურები-  
სათვის. ის თავად იყო ასეთი: მშვიდი,  
რბილი ტონალობებით, სიზუსტემდე  
სადა და გასაგები მოტივებით, ამ სი-  
ზუსტის მიღმა დამუხტული სიღრმის  
ენერგიით, რომელსაც წვიმასავით გად-  
მოგდებდა, აუცილებლად განგმსჭვა-

ლავდა, გაგულენთდა დაუვინყარად.

თურმე ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა  
იყო. დავიწყებით კი, მისი დავიწყება  
შეუძლებელია – ის ნუგზარ ზაზანაშვი-  
ლი იყო, ყველაზე ეკოლოგიური პოეტი  
(როგორც თავადაც ხუმრობდა ხოლმე),  
ერთ-ერთი ყველაზე ნამდვილი, ღრმა  
და ულალატო ადამიანი, ვინც საერთოდ  
შემსვედრია ამ ცხოვრებაში.

ნუგზარ ზაზანაშვილი პროფესიით  
ეკოლოგი გახლდათ და დიდი წვლილიც  
მიუძღვის ბიოპოლიტიკის განვითარე-  
ბის საქმეში. მისი უშუალო მონაწილეო-  
ბით განხორციელდა არაერთი მნიშვენ-  
ლოვანი პროექტი, მათ შორის დაცული  
ტერიტორიების განვითარების მიმარ-  
თულებით. მისი სამეცნიერო ინტერე-  
სი კავკასიის ბიომრავალფეროვნების  
კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება,

ლანდშაფტი, ბიოგეოგრაფია, მცენარეულობის ეკოლოგია და კარტოგრაფია იყო.

არ ვიცი, ეკოლოგია და ბუნების მი-  
მართ ინტერესი გახდა პოეზიის პირ-  
ველწყარო თუ პირიქით, პოეზია, რო-  
გორც არსებითი კოდი, დაბადებიდან  
იყო მასში და ბუნებრივად აირეკლა  
პროფესიული არჩევანიც; თუმცა ფაქ-  
ტია, ეს ორი ვნება (და არა ინტერე-  
სი) იდეალურად დაემთხვა ერთმანეთს  
და განაპირობა კიდეც ის პორტრეტი,  
რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით და  
რომელიც 64 წლის მანძილზე, სამყაროს  
ინტერიერსა თუ ექსტერიერში, დაუღა-  
ლავად იხატებოდა.


მინდა, რამდენი-  
მე სიტყვა მის პო-  
ეზიაზე ვთქვა. ეს  
კი, ისევ მისი პრო-  
ფესიონალიზმიდან  
გამომდინარე, მის  
„ბუნებისმცოდნე-  
ობასაც“ გულის-  
ხმობს. ნუგზარ ზა-  
ზანაშვილი ფიქრის  
პოეტია, ის მუდმი-  
ვად ჩართულია და-  
ძაბულ ხედვის/აღ-  
ქმის რეფლექსიაში,  
ყველაზე უმნიშვნე-  
ლო დეტალებსაც  
ინტერესით აკვირ-  
დება, ამ პროცესს  
კი გაურანდავად,  
დაუმუშავებლად  
უზიარებს მკით-

ხველს, უფრო სწორად რომ ვთქვათ  
– იმდენად გულწრფელი და გაუყალ-  
ბებელია მისი ფიქრის დინამიკაც და  
მკითხველის/პოეზიის მიმართ დამოკი-  
დებულებაც, რომ უნებლიერ გიჩნდე-  
ბა განცდა, თითქოს ავტორთან ერთად  
ესწრები ლექსის წერის პროცესს, შენ  
თვალწინ იპადება ფურცლის სიცარიე-  
ლიდან ფრაზები, სტროფები... ცხადია,

სინამდვილეში პასუხისმგებლობით,  
რუდუნებით ნამუშევარ პოეზიასთან  
გვაქვს საქმე და არა მართლა „სახელ-  
დახელოდ“ შექმნილ ტექსტებთან.

ეს გულწრფელობა, უშუალობა ყვე-  
ლაზე მკაფიო ნიშანია, რაც ამ ლექსებს  
გამოარჩევს. ისინი მყისიერად მოხელ-  
თებული შთაბეჭდილებებია, მზერის  
გადანაცვლებისას დაჭერილი კადრის,  
შეგრძნების ანაბეჭდები. ამას თავად  
ასე ხსნის:

ნამდვილი პოეზია  
„სალფეთქის“ ფურცლებზე  
და „პაპიროსის“ კოლოფებზე  
ინერება.



ეს მოცემულობა მუდმივად გზაში  
მყოფი ადამიანის რეფლექსიასაც გუ-  
ლისხმობს, უდროობის (დროის არყოფ-  
ნის) თუ პირიქით – დროში გაჭიმული  
მარტობის შედეგია. გზის და მგზავრის  
მეტაფორა ნუგზარ ზაზანაშვილის პო-  
ეზიის მთავარი მეტაფორაა. მასში უამ-  
რავი შრეა – ფიზიკურიც და მეტაფიზი-  
კურიც, წარმავალიც და მარადიულიც.

მკითხველი ეცნობა პოეტს, რომელიც ბევრს მოგზაურობს (ზოგჯერ სამსახურებრივი იძულებითაც უწევს, მოწყდეს სიმყუდროვეს), ქმნის ნანახი ქვეყნებისა და ქალაქების, ტბების, ტყეების და მდინარეების მოზაიკას (შვეიცარია, იტალია, თურქეთი, ბანგკოკი და სხვა), ქმნის პლანეტას, რომელიც მისი აღქმის რაკურსში მოექცა... მუდმივი მგზავრის რეკვიზიტია ჩემოდანი, რომელიც ასევე ხშირად ჩნდება ნუგზარ ზაზანაშვილის ლექსებში; „ჩემოდანი სულ ჩალაგებული უნდა გქონდეს“ – ამბობს ერთგან და ჩუმი სევდით მუხტავს მგზავრობის/ მოგზაურობის მეტაფორას.

მგზავრობის დე-კორაციაა თვით-მფრინავი, ფრენა კი მდგომარეობა, რომელიც ასევე მეტაფიზიკურ აზრში მწიფდება. არაერთი ლექსია დაწერილი აეროპორტის მოსაცდელში, შთაბეჭდილებებთან ერთად მათში იმ სიცარიელის დაძლევის მცდელობაცაა, მოლოდინის დროს რომ ჩამოდგება ხოლმე. პოეტის დაკვირვების რაკურსში მოქცეული ადამიანები და მოვლენები ახალი საზრისების პირველწყაროდ იქცევიან. („ორი წლის ბავშვი აეროპორტის მოსაცდელ/დარბაზში დაბიჯებს /თავისთვის; არც ის /იცის სად იყო, არც ის – სად იქნება ხვალ...“) („ყველა აეროპორტის დიზაინი/ნათელ ფერებშია გადაწყვეტილი:/ლია ნაცრისფერი, /ლია ნარიჯისფერი, /ლია ყვითელი, /ლია მწვანე.../რათა?/რათა და/რათა მგზავრს/ერთი წუთითაც კი არ შეეპაროს

ეჭვი/რომ მგზავრი ცოცხალია/და რომ მგზავრი ცოცხალი დარჩება/მგზავრობის შემდეგაც/და საერთოდ –/რომ მგზავრი უკვდავია!“)

მგზავრობისას დაუფლებული შინაგანი ტემპორიტმი სიცოცხლის/ცხოვრების დინამიკაა, რომელიც თანდათან აღძრავს მგზავრში დასასრულის, „ფინალური დაშვების (გნებავთ – აფრენის)“ აზრს, აჩვევს და აახლოებს მასთან. ამ დასასრულს სიკვდილი ჰქვია. ნუგზარ ზაზანაშვილის პოეზიაში კი გამუდმებით ისმის ეს ხმა – ფინალურ დაშვება/ აფრენამდე დაჭიმული, მუდმივად იგრძნობა სიკვდილის აზრთან შეჩერების,

მასთან გაშინაურების და შეთამაშების მცდელობაც. დღეს, როცა ის უკვე სხვა სამყაროს ბინადარია, კიდევ უფრო მტკიცნეულად და წინასწარმეტყველურადაც გვეჩენება მისი ლექსები, მისი სევდიანი სწრაფვა გარდაუვალისკენ, უფრო სწორად – მის წინაშე თამამად, გაბედულად პოზიციონირება, მგზავრის ყველა უფლებით და საშუალებით. („მიყვარს პოსტელი და პანსიონი, /მიყვარს

ბუნგალო/მიყვარს კარავი –/მგზავრობა მომწონს/და სულ ახალ გასვლებს მოველი!“). საგულისხმოა, რომ ბოლო კრებულსაც საბედისწერო სახელი დაარქვა: „ნავა, ნავა, ნავა“ (გამომცემლობა „ინტელექტი“), მხოლოდ რამდენიმე თვე იცოცხლა ამ კრებულის გამოცემიდან. თითქოს ცნობიერების კურსორით საპოლოოდ გაასწორა საკუთარი გზის მიმართულება და ამ კრებულით მთელ

სამყაროს დაემშვიდობა...

თუმცა, ყველაზე მთავარი ისაა, რომ ნუგზარ ზაზანაშვილის ლირიკულ გმირს, გნებავთ პროტოტიპს ან ავტოტიპს, ამ ძნელ აზრთან და დინამიკას-თან შესაჭიდებლად უმთავრესი იარაღი ხელთ უპყრია – ეს იუმორია. საოცარი სილადე, სიმსუბუქე, რითაც მისი პოეზია ისე სუნთქავს, როგორც ნედლი წვიმით გაგრილებული მინდორი. ეს იუმორი ყველა პასაუში, ყველა ნიუანსში იგრძნობა – სიკვდილთან, სიბერეს-თან, დროსთან მიმართებაში.

იუმორითაა აღემული ორი საუკუნის მიჯნაზე გადახლართული დრო – ძველის ნოსტალგია, ახლის მიმღებლობა, ტექნოკრატია და სულიერება („საუკუნიდან საუკუნეში“, „NON STOP“, „ბოდიპილდინგი“, „სათაფლიაში“ და ა.შ.) იუმორი გარდაცვლის ტკივილის ცრემლს სიყვარულის მახარობლად, იმ სიყვარულის, რომლის გამოც ეს სამყარო პოეტისთვის გაუნელებელი შთაბეჭდილება და მუდმივი მონატრებაა.

სიყვარულის ახსნაა მისი მხრიდან, თბილისზე დაწერილი ლექსებიც. იმ თბილისზე, რომელიც ნელ-ნელა იკარგება (თუ უკვე დაიკარგა) რკინის ფასადქვეშ, გახუნებული ურთიერთობების, მეორადი სიყვარულის მიღმა... ნუგზარ ზაზანაშვილი მთელი არსებით, მენტალობით, ცნობიერებით თბილისელია – მასში ჭეშმარიტად ქალაქური ხსოვნა და გამოცდილებაა, მასში ის ტრადიციაა ცოცხალი, რომელიც თბილისზე ყველაზე სახიერად მეტყველებს.

მიყვარს ძველი აგურის, შეულესავი, ორსართულიანი სახლები, თანდათან რომ აკლდებიან თბილისის ქუჩებს.

მიყვარს დაბერებული აკაციები, თანდათან რომ აკლდებიან თბილისის ქუჩებს. მიყვარს იაფფასიანი დუქნები – ასი გრამით, ლუდით, ქაბაბით, ცნობილი ლოთებით – თანდათან რომ აკლდებიან თბილისის ქუჩებს...

ალექსანდრეს ბალში ინტერვიუს ჩანერისასაც თბილისზე ისაუბრა. ბუნებრივია – მისი პორტრეტი ამ ქალაქის გარეშე წარმოუდგენელია, სწორედ თბილისია მისი თვალმოუწყვეტი ვარაყი, ოქროს რკალი, რომელშიც პოეტის სახე მთელი თავისი სრულყოფილებით მოჩანს.

ნუგზარ ზაზანაშვილის ზოგიერთი ლექსის თავისებურება ინტერაქციულობაში გამოიხატება. ის თითქოს ბოლომდე არ ამთავრებს ტექსტს, მრავალწერტილით ან შორისდებულით, ან კავშირის ნაწილაკით „ამუხრუჭებს“ ფიქრს და პაუზის წამით ინაცვლებს მკითხველის აღქმაში, სადაც ეს ტექსტი უნდა გაგრძელდეს. („როცა ელოდები ქუჩაში/შორიდან თვალს მოკრავ/შენკენ მომავალს და/გული აღარ შეგიფრთხიალდება/დამფრთალი შურთხივით/მაშასადამე/მაშასადამე/მაშასადამე/მაშასადამე“)...

მგონია, რომ ეს თავისებურება, ერთგვარი სტილისტური დეტალი, მის საბოლოო სულიერ აქტადაც შეგვიძლია განვაზოგადოთ – პოეზია მან ჩვენი აღქმის კართან, სიკვდილის შორისდებულით დაამუხრუჭა, ჩვენში (მკითხველში) გააჩინა ფიქრი, რომელიც მის ფიქრს გააგრძელებს...

ეს დიალოგი კი უწყვეტია, მუდმივია, ყოველ ჯერზე გაცოცხლდება, როცა კი მკითხველი ნუგზარ ზაზანაშვილის ნიგნებს გადაშლის...



## ნინო დარბაისელი- სტრონი

### პაოლო იაშვილის „დარიანული“ ნაშარაგმევი

„საფრანგეთიდან მოიტანა მან ოცნებანი,  
სონეტის რკალი, ტრიოლეტი და ასონანსი“  
(კოლაუ ნადირაძე „ექსპრომტი პაოლო იაშვილს“)

დარიანული ციკლის ლექსების ავტორობის დასადგენად, ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივმართოთ ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებს, რადგანაც პრობლემა სწორედ ლიტმცოდნეობითია და მისი გადატანა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში, რაც 2013 წლიდან იწყება და დღემდე გრძელდება, არ არის გამართლებული. ბუნებრივია, როცა ლექსთან გვაქვს საქმე, მთავარი სიტყვა ლექსმცოდნებამ უნდა თქვას, თუმც ლექსი, როგორც ლიტერატურული ქმნილება და მისი სხვადასხვა ასპექტი, ცხადია, შეიძლება გამოიკვლიოს ლიტმცოდნეობისა თუ საზოგადოდ ჰუმანტარულ მეცნიერებათა სხვა დარგებმაც.

მინდა, წინასწარ მოვუბოდიშო კოლეგა ლექსმცოდნებს, იმის გამო, რომ საკითხით დაინტერესებული მრავალ-

რიცხოვანი აუდიტორიის გათვალისწინებით, მომიწევს ჩვენი სფეროს სპეციფიკურ საკითხთა, რამდენადაც შესაძლებელია, გამარტივებულად, ადვილგასაგებად განმარტება, დარგობრივ ტერმინთაგან მაქსიმალური განტვირთვა, მეორე მხრივ კი, ბოდიშს ვუხდითართო მკითხველ საზოგადოებას იმის გამო, რომ პრობლემის უფრო მარტივად გადმოცემა ჩემს შესაძლებლობებს აღემატება.

დარიანული ციკლის პაოლო იაშვილისეული, არასრული ხელნაწერი უბის წიგნაკი ინახება მის მემკვიდრეებთან, სხვაფრივ დიდად განებივრებული არა ვართ მისი პირადი არქივით, განსხვავებით, მაგალითად, მისივე თანამედროვე გალაკტიონისაგან, რომლის საარქივო მასალების გამოცემამაც ოცდახუთი ტომი შეადგინა. რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე აღვნიშნავ, რომ ქართული

ლიტერატურის მთელ მემკვიდრეობაში ასეთი დიდი არქივი არავისგან დაგვრჩენია. რაც შეეხება პაოლო იაშვილს, საკუთარ მოგონებებში ელენე ბაქრაძეც აღნიშნავს, თავის ხელნაწერებს იგი უდიერად ეპყრობოდა და პირდაპირ ურნაში მოისროდა ხოლმეო. ვისურვებდი, ერთი მცირე, პირადი მიძღვნის გარდა („ელენე დარიანს“), ელენე ბაქრაძის არქივში აღმოჩენილიყო კიდევ რაიმე ხელნაწერი პაოლო იაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსისა, მაგრამ, სამწუხაროდ, დანარჩენი პაოლოს მიერ უკვე გამოქვეყნებული ლექსების ბაქრაძისეული ხელნაწერი ვარიანტებია(!). აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, აღვნიშნავ მხოლოდ, ბოლო დროს საკმაოდ გახმაურდა ფაქტი, რომ ელენე ბაქრაძეს საკუთარი ხელით ჰქონდა გადაწერილი არა მხოლოდ პაოლო იაშვილის, არამედ სხვადასხვა თაობის ქართველ და უცხოელ ავტორთა ქმნილებანი, რაც გასულ წელს მისი საარქივო მასალების გამომცემელთა მიერ შეცდომით მიეწერა მას, როგორც ავტორს.

ამჟამად ჩემი კვლევის საგანია თოთხმეტი ლექსისაგან შემდგარი „დარიანული ციკლის“ ერთ-ერთი ბოლო ლექსი სათაურით – „დარიანული“, რომელიც „ელენე დარიანის“ ფსევდონიმითაა გამოქვეყნებული, სიმბოლისტურ ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში“ (1923 წ. N10). არსებობს ამავე ლექსის ელენე ბაქრაძისეული ხელნაწერი ვარიანტი, დაცული გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში, ელენე ბაქრაძის არქივში. ტექსტს ახლავს მისივე გვიანდელი ლექსად მინაწერიც. იგი გამოქვეყნებულია გიორგი ჯავახიშვილის წიგნში „ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე“ – თბ, 2002, 95-96 (მე ამ გამოცემით ვსარგებლობ).

გარკვევა იმისა, ამ ორი ტექსტიდან რომელია პირველადი და რომელი მეორადი, თავის მხრივ, დაგვეხმარება დარიანული ციკლის ავტორის ვინაობის

დადგენაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გ. ჯავახიშვილის მსგავსად, პრობლემის 2013 წლიდან განმასაზოგადოებელნი ლექსს ელენე ბაქრაძეს მიაკუთვნებენ.

ლექსმცოდნეობითი დაკვირვება ელენე ბაქრაძის ხელნაწერზე იმ მხრივაც საინტერესოა, რომ იგი, როგორც გ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, ორ ქრონოლოგიურ ეტაპს აერთიანებს: პირველია საკუთრივ ლექსის – „დარიანული“ – ბაქრაძისეული ვერსია, ხოლო მას მოსდევს უკვე გვიანდელი მინაწერი მისივე ლექსი-მიმართვა, ოლონდ მასში გამოყენებული ზმნის არასწორი ფორმის გამო შინაარსი ბუნდოვანია, ძნელია დაადგინო ვის მიმართავს – ლექსის ავტორს, თანაავტორს, თუ ავტორობასთან დაუკავშირებელ პირს? – მაგრამ ამაზე მოგვიანებით.

## ●

დავინწყოთ უურნალში გამოქვეყნებული ტექსტით. მანამდე კი მინდა აღვნიშნო, რომ „დარიანულის“ ტექსტი ინტერნეტში ფართოდ არის გავრცელებული და, როგორც წესი, არასწორი ფორმით ქვეყნდება. „მეოცნებე ნიამორებში“ ტექსტი დატეხილია, თითო სტრიქონზე თითო სიტყვაა, (იშვიათ შემთხვევაში ორი). ნებისმიერი გამოცემა თუ ინტერნეტპორტალი ვალდებულია, დაიცვას ავტორის ნება, ანუ ლექსის – „დარიანული“ – იმგვარი დანერილობა, როგორიცაა ცისფერყანწელთა გამოცემაში.

## დარიანული

დაიტანჯა

მაჯა

მარჯნის

მძიმე

ჯაჭვის

ტარებით

ბევრი ცრემლი

დამეხარჯა

ერთ ლამის  
ნეტარებით  
დაიტანჯა  
მაჯა  
მარჯნის  
მძიმე ჯაჭვის  
ტარებით  
მე ლოყაზე  
დამრჩა  
ფარჩა  
ცხელ პირის  
მოკარებით  
დაიტანჯა  
მაჯა  
მარჯნის  
მძიმე ჯაჭვის  
ტარებით  
ჩემს დამტანჯველს  
ლმერთი  
დასჯის  
ქაჯათ  
გადაგვარებით.

### ელენე დარიანი



ჯერ სათაურის შესახებ. ლექსის სათაური – „დარიანული“ მარტივად შეიძლებოდა გაგვეგო, როგორც სადაურობითი ზედსართავი სახელი, რომელიც, მიუგებდა კითხვაზე – „სადაური?“ მაგალითად: მუხრანული, თელავური, დარიანული და ასე შემდეგ, ანუ გვეფიქრა, რომ ეს ნიშნავს კიდევ ერთ ლექსს დარიანული ციკლიდან, მაგრამ, ვფიქრობ, იგი ამ ლექსის უანრის განმსაზღვრელად უნდა მივიჩნიოთ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

„დარიანულის“ შემთხვევაში ისეთ-სავე განსაზღვრებასთან გვაქვს საქმე, როგორც ცეკვის ან სიმღერის უანრობრიობის აღნიშვნისას. ცეკვასა და სიმღერას რაგვარობის, ხასიათის, უანრობრიობის განსასაზღვრად დაესმის კითხვა – „როგორი?“ მაგალითად: მხედრული, მაყრული, ნაფური, ფერხული, მოგუდული და ასე შემდეგ. ასე რომ,

სათაური – „დარიანული“ – ისეთივე სახეობაა ლექსისა, როგორიც, ვთქვათ, „ჩახრუხაული“ ან „ბისტიკაური“ თუ „მუხრანული“. ეს არის ის პრინციპული ნოვაცია, რაც ცისფერყანწელთა ლიდერმა მოიტანა ქართული პოეზიაში. ლექსის უანრობრივი/სახეობრივი მახსიათებლის გარკვევას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის მისი კომპოზიციური ფრეიმის – ჩარჩოს მოსახელთებლად.

ამასთანავე, ეს პატარა ლექსი რეფრენული აგებულებისაა. წაუკითხავადაც თვალსაჩინოა, რომ ტექსტის ზუსტად ნახევარს სამჯერ გამეორებული რეფრენი წარმოადგენს („დაიტანჯა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით“), რეფრენი კი ცნობილია, რომ თავდაპირველი ფუნქციით სიმღერას უკავშირდება. სასიმღერო აგებულებისაა „დარიანულის“ ლექსის რიტმიკა და ბგერწერა. ვფიქრობ, ეს ფორმობრივი ნიშნები, რომელზეც მოგვიანებით ცალკე კიდევ ვისაუბრებ, საკმარისია ჩემი ნათქვამის ნათელსაყოფად.

რაკი რეფრენი ვახსენე, მისი კომპოზიციური ფუნქციის შესახებაც აქვე ვთქვათ ორი სიტყვა: ზოგადად, მიჩნეულია, რომ რეფრენი (ლირიკისთვის, სასიმღერო ტექსტისთვის – მისამღერი) პოეზიამ „სახსოვრად“ დაიტოვა ხელოვნების უხსოვარი, სინკრეტული პერიოდიდან და ლექსში იგი ეგრეთ წოდებული სასიმღერო, ციკლური, წრიული კომპოზიციის საშუალებაა. განსახილველი ლექსი კი სწორედ ასეთი აგებულებისაა. იგი შედგება თავრეფრენისაგან – ლექსის თავში, დასაწყისში მოთავსებული რეფრენისაგან (დაიტანჯა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით), რომელიც ლექსში კიდევ ორჯერ მეორდება და მონორითმულად, ანუ ერთ რითმაზე არის მასთან შეწყობილი მთელი ლექსი. დაქტილური, სამმარცვლიანი სარითმო სიტყვა „ტარებით“, რომელთანაც შეწყობილია სხვა

რითმები, „აიძულებს“ ოთხმარცვლიან სიტყვას „ნეტარებით“ – რომელიც, თავის მხრივ, ამ ლექსშიც და ზოგადადაც კარგი, ზუსტი რითმაა, რამენაირად მოირგოს დიდი ცეზურა; სამაგიეროდ, გამოიწვიოს პოეტური ლიცენცია „ერთ ლამის“ და სიტყვიდან „ნეტარებით“ ნე-მარცვალი შეუერთოს წინა მუხლს ასე – „ერთლამისნე“. ამის გამოკვეთას და დამახსოვრებას მნიშვნელობა აქვს, რადგან მოგვიანებით მოგვიხდება ამ საკითხთან მობრუნება, ელენე ბაქრაძის ხელნაწერზე საუბრისას.

აქვე აღვნიშნავ, რომ რაკი რეფრენი რაღაც დიდი ან მცირე ფრაზის თუ ბლოკის გამეორებაა, პოეტური ტექსტის სხვადასხვა ნაწილში, კომპოზიციურად სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ადგილებში, იგი ამის შესაბამისად სხვადასხვაგვარი ძალმოსილებით იტვირთება.

„დარიანულში“ ის კლასიკური შემთხვევა გვაქვს, თუ სამჯერ გამეორებით, როგორ იწვევს იგი გრადაციას. ნათქვამს რომ კონკრეტიკა შევძინო და გაგება გავაადვილო, ვიტყვი, რომ რეფრენული გრადაციის ყველაზე თვალნათლივი ნიმუშია თანამედროვე ქართული პოეზიდან ბესიკ ხარანაულის ლექსი – „სად არიან შვილები“.

სხვა საკითხებზე ყურადღების გამახვილებამდე, მინდა, უბრალოდ დავიმახსოვროთ, რომ სიტყვაში „დ – არ – იანული“, დაფიქსირებულია მარცვალი „არ“. სხვაფრივ, სიტყვა ძირითადად სონორულ-ასონანსური, ანუ მღერადი აგებულებისაა, როგორც თავად ფსევდონიმი „ელენე დარიანი“...

თუმცა, ვიდრე ლექსის რიტმიკასა და ბერნერას შევეხებოდე, ჯერ ვიზუალურად დაგუკვირდეთ მის გამოსახულებას. ქართულ ლექსმცოდნეობაში ჩემამდეც არის აღნიშნული და მერე გამეორებულიცაა, რომ ამ ლექსის გრაფიკული გამოსახულება გაწყვეტილ სამაჯურს შეესაბამება, მე ისლა დამ-

რჩენია, რომ გავიზიარო შორენა ქურთიშვილისა და თამარ ბარბაქაძის მიერ კარგა ხნის წინ გამოთქმული ეს აზრი და ჩემი მხრით დავუმატო, რომ ეს არის პირველი შემთხვევა ქართული ლექსის ისტორიაში, როდესაც გრაფიკას გამომსახველობითი როლი მიენიჭა. გაივლის დიდი დრო მას შემდეგ და გვექნება გრაფიკული პოეზის შესანიშნავი ნიმუშები, ვახტანგ ჯავახაძის მიერ 70-იან წლებში შექმნილი; გაჩნდება წერილებიც გრაფიკული პოეზის შესახებ, გასული საუკუნის ოთხმოცოთხმოცდათიან წლებში ახალთაობელთა ერთი ნაკადი – თემო ჯავახიშვილი, დავით ჩიხლაძე და სხვები კვლავ აქტიურად დაინტერესდებიან გრაფიკული პოეზით. სამწუხაროდ, უფრო გვიანდელ ნიმუშებზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან საზღვარგარეთ მყოფს ისე იოლად აღარ მიმიწვდება ხელი ლიტერატურულ გამოცემებზე. პირველი კი ნამდვილად პაოლო იაშვილის „დარიანულია“, სადაც გრაფიკის გამომსახველობითობა მხატვრული ფუნქციითაა გამოყენებული.

ვიზუალური დაკვირვების დონეზე ასევე ცხადია ის, რომ ლექსში ერთადერთი პუნქტუაციური ნიშანია გამოყენებული – წერტილი ბოლოში. შესაძლოა, აქ ვინმე მომედავოს და მითხრას, პუნქტუაციის ნიშნების არქონა უფრო ადრინდელი საუკუნეების პოეტურ ტექსტებსაც კი ახასიათებსო. საქმე ის გახლავთ, რომ ეს გარეგნულად თითქმის მსგავსი, თუმც არსობრივად აბსოლუტურად განსხვავებული, მოვლენებია – პუნქტუაციურ ნიშნებზე უარის თქმა, ანუ უნიშნობა, „დარიანულის“ შემთხვევაში არის ნიშანი.

ეს გარემოება პაოლო იაშვილის „დარიანულს“ აქცევს პირველ ქართულ ლექსად, რომელშიც პუნქტუაციაზე უარის თქმა გამოყენებულია ტროპული, ასე ვთქვათ, გამომსახველობითი ფუნქციით.

საინტერესოა, რატომ აუქმებს ავტორი პუნქტუაციას?

ვფიქრობ, პასუხი ერთდროულად ლექსის ორ პლანშია საძიებელი: პირველი მიზეზი – ეს არის სასიმღერო, რეფრენული, წრიული კომპოზიცია, რომელიც, ასე ვთქვათ, ჯერ გაუწყვეტელი სამაჯურივით წრეზე ტრიალებს, „მაჯას სტანჯავს“, ვიდრე განყდება, მეორე არის გრაფიკა. ყველაზე ვრცელი – აქ ხუთმარცვლიანი სტრიქონი გვაქვს. ცნობილია, რომ სტრიქონებად არა მხოლოდ ლექსითი, არამედ ნებისმიერი ტექსტის დატეხვა – პაუზებით გაჯერებულ ტექსტს გვაძლევს, ქმნის თავისებურ რიტმს. ამავე დროს იგი ანელებს ტექსტის აღქმის ტემპს. რა ფუნქცია აქვს სასვენიშვილის? ისიც ხომ არსებითად შესვენებაა, პაუზაა. აქ კი სტრიქონებად, ცალკეულ სიტყვებად დატეხილ, პაუზებით ისედაც გაჯერებულ ტექსტში სასვენი ნიშანი უკვე ზედმეტია. გამოიწვევდა უფუნქციო დუბლირებას, რაც მაღალი პოეტური ოსტატობის მაჩვენებელი ვერ იქნებოდა.

ისევ ვიზუალური დაკვირვების დონეზე დავვრჩეთ.

უკვე აღვნიშნე, რომ ლექსი სულ სამჯერ განმეორებადი ექვსისიტყვიანი თავრეფრენისა და მასთან გარითმული სამი ტაქტისგან შედგება... ვიდრე გაკვირვებით შემნიშნავდეთ, აქვე თავად დავაზუსტებ: ტაქტების სამუშაო მიზნით აღდგენის საშუალებას მაძლევს რეფრენის ბოლოს დაფიქსირებული რითმა ტარებით/ნე-ტარებით/ მო-კარებით/გადა-გვარებით. ეს ლექსმცოდნეობაში ძველი, აპრობირებული პრაქტიკაა.

მერე რომ არ გამომრჩეს, აქვე აღსანიშნავია ერთი მომენტი: განსახილველი ლექსის რითმები, ერთის გარდა – ტარებით//ნე-ტარებით – განსაკუთრებულობით არ გამოირჩევა... არ გამოირჩევა კი არა, იმ მოთხოვნების პირობებში, რასაც სიმბოლისტები უყე-

ნებდნენ რითმას, სუსტია. ყველა სარითმო ერთეული არის მეტყველების ერთი და იგივე ნაწილი ერთსა და იმავე გრამატიკულ პოზიციაში, მარტივად, ყველა მათგანი მიუგებს ერთ კითხვაზე „რით?“ და მათი რიგის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება. რა ას-სნა უნდა მოეძებნოს ამ გარემოებას, გარდა იმისა, რომ ქართულ პოეზიაში არაერთი ნოვაციის შემომტან ავტორს სწორედაც რომ, ჩანაფიქრი აქვს ასეთი. რა ჩანაფიქრი? ამ ლექსის პოეტური მეტყველება აგებულია არატრადიციულ რითმულობაზე, არამედ განსხვავებულ ბეგერნერულ პრინციპზე და სარითმო ადგილას დაფიქსირებული თანამჟღერი და ამავე დროს თანაბარი გრამატიკული პოზიციის სიტყვები – (გარდა ამ ერთისა – ტარებით//ნე-ტარებით), მაინც პირობით რითმებად უნდა მივიჩნიოთ.

ბეგერნერულ ორგანიზაციაზე, მევიტყოდი, ამ ლექსის კამერულ ორკესტრირებაზე, ქვემოთ საგანგებოდ კიდევ ვიმსჯელებ, აქ კი აღვნიშნავ, რომ რითმა ძალზე გვიანდელი შენაძენია ევროპული ლექსისათვის, იგი საუკუნეთა მანძილზე ალიტერციული იყო. „დარიანული“ თავისი ალიტერაციებით, ასონანსებით, სონორებითა და მთელი ბეგერნერული პლანით, შეიძლება გავიაზროთ, როგორც ევროპული ლექსის ქართულად რეკონსტრუირებული მინი მოდელი.

„დარიანული“ არის ქართულ პოეზიაში პირველი ყველაზე მოკლესტრიქონებიანი ლექსი. ცალკეულ ლექსებში მოკლე სტრიქონები აქა-იქ ბევრგან შეგვხვდება, მაგრამ აქ ჩვენ საუბარი გვაქვს, მოკლესტრიქონიანობაზე, როგორც ტექსტის მაორგანიზებელ ერთ-ერთ ძირითად პრინციპზე.



ლექსი იწყება სიტყვით – „დაიტანჯა“. ლექსის კომპოზიციის ელემენტა-

რული კურსიდან ცნობილია, რომ მისი ნაწილებიდან დასაწყისი (ვგულისხმობ ტრადიციული, კლასიკური, კონვენციური ლექსის დასაწყის) ძალზე მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში მოცემულია ის ძირითადი რიტმული იმპულსი, რომლის რეალიზაციაც შემდგომ მოხდება ლექსში, ეს – რიტმიკის დონეზე; გარდა ამისა, არა მხოლოდ სათაურით, არამედ დასაწყისი პირველი სიტყვით ფიქსირდება ლექსი ათასგვარ საძიებო სისტემაში. ისიც წამიკითხავს, რომ მთარგმნელთა ერთი ნაწილი ცდილობს, შეინარჩუნოს ორიგინალის პირველი სიტყვა, რათა შემდგომ თარგმანის ენაზე ადვილი მოსაძიებელი იყოს იგი. ვცდილობ, არ გავცდე ლექსმცოდნების საზღვრებს, თორემ ვიტყოდი, რომ ეს არის, თუ მუსიკას შევადარებთ, პირველი ბგერა, რომელსაც, თუ არასწორად აიღებ, მერე ვეღარ გადაარჩენ მთელ ნამდერს.

დარიანულში პირველი სიტყვა – „დაიტანჯა“ არის კამერტონი, რომელზეც აწყობილია ამ პატარა ლექსის მთელი ორკესტრი:

ჯ-(ჯანი) ბგერაზე დაყრდნობილი ალიტერაცია აქედან განიფინება მთელ ტექსტში;

მასშია მოცემული ა- ანი ხმოვანზე აწყობილი ასონანსური რეგისტრი – აა, რომელიც დაიწყო სათაურში „არ - მარცვლით, რომელიც ამავე დროს შეიძლება არ-ნაწილაკად იქნეს გააზრებული და რომელიც შემდგომ სიტყვაში გაგრძელდება, გამყარდება ასევე ორი ა-ანით „დაიტანჯა მაჯა“ და შეიწყობს მთელს ასონანსურ სისტემას, აწყობილს ანზე.

აქვეა მოცემული მეორადი მარიტმიზებელ-მაალიტირებელი დტ- სამეულის ორი წევრი დ-დონი და ტ-ტარი (დ-აი-ტ-ანჯა).

მოცემულია ასევე სონორებიდან (მნრლ) ერთი – 6.

წარმოუდგენელია, ერთმა სიტყვამ

ბგერწერულად მეტი სიმძიმე ზიდოს პოეტურ ტექსტში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს სიტყვა წარმოადგენს „დარიანულის“ მთელი ბგერწერული ბადის გასაღებს, ხოლო ასონანსური სისტემა ამ ბადისა უჭირავს სათაურში „დ-არ-იანული“ – დაფიქსირებულ „არ“ მარცვალს, რომელიც შემდგომ თერთმეტჯერ(!!!) მეორდება ამ მცირე ზომის ტექსტში და განვენილია მასში თავიდან ბოლომდე... მაქსიმალურად რომ არ ვცდილობდე, თავი შევიკავო ინტერპრეტაციული ჩარევის საცდური-საგან, ვიტყოდი, რომ ამას აუცილებლად სემანტიკური მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს. ამ ნეგაციის, უარყოფის გზით რაღაცისგან, გამტანჯავისგან გათავისუფლებას უნდა ესწრაფვოდეს ლექსის ლირიკული სუბიექტი.

იქნებ ვინმემ ტექსტს ახლიდან თვალი გადაავლოს და შემნიშნოს, რომ, გარდა ალიტერაციისა, დტ- სამეულისა, ა- ასონანსისა და სონორებისა, ამ ტექსტში სხვა ასო-ბგერებიც მრავლადაა... აუცილებლად იქნება! სხვანაირად, უპრალოდ, წარმოუდგენელია, მაგრამ საკითხი ასე დგას, აქვთ კი მათ ტექსტის ბგერწერულად მაორგანიზებული ფუნქცია? საიდან ვგებულობთ, რას აქვს და რას არა?

ამას ვგებულობთ არა მხოლოდ უბრალო სტატისტიკით, გამოყენების სიხშირით, არამედ, აქცენტირების ქვეშ მოქცევითაც. ლექსის ტექსტში ზოგადად აქცენტირების და მათ შორის ბგერის აქცენტირების მრავალი ხერხია, მათგან ყველაზე აპრობირებულია: აქცენტირებადი ნიშნის დაფიქსირება სათაურში, რეფრენში, ტექსტის დასაწყისში, რითმაში, დასასრული სტრიქონის ბოლო სიტყვაში, ცენტრალურ სინტაგმაში და ასე შემდეგ ანუ იმ პოზიციებში, რომელსაც ჩვენ ძირითადად მივაპყარით ყურადღება.

●  
ბგერწერამდე, ალბათ, უმჯობესი იყო, ჯერ რიტმიკაზე გვესაუბრა, თუმცა ამ ლექსში ყველაფერი ისე ორგანულად გადადი-გადმოდის ერთმანეთში, რომ განუწყვეტლივ გვიხდება საკითხთან დაბრუნება ყოველი ახალი საფეხურის ავლის შემდეგ. ახლაც ვატყობ, ასე მოვგინებს. არსებობს ქართული ლექსმცოდნების სამაგიდო წიგნი – აკაკი განერელის „ქართული კლასიკური ლექსი“ – გამოცემული სამოცდაათი წლის წინათ. მასში აღწერილია ის საზომები, რომელიც გამოვლენილი იქნა ავტორის მიერ ქართულ პოეზიაში. მისი სიტყვებით, თხუთმეტმარცვლოვანი საზომი ქართულ პოეზიაში უიშვიათესია, ლექსი „დარიანული“ კი სწორედ თხუთმეტმარცვლოვანია.

თუ მიგიქცევიათ ყურადღება, რომ „დარიანი ელენე“ და „იაშვილი პაოლო“ მარცვლობრივად ერთნაირია? ეს რიტმი შედგენილი ჩანს ასე:

დარიანი/ დარიანი/ დარიანი / ელენე  
რაც იგივეა:  
იაშვილი/იაშვილი/იაშვილი/პაოლო  
„დაიტანჯა მაჯა მარჯნის მძიმე  
ჯაჭვის ტარებით“

4/4/4/3

რატომ ჩნდება დიდი ცეზურა სამარცვლიანი სიტყვის წინ? სამმარცვლიანი სიტყვა – „ტარებით“ – სარითმოა და ეს აფიქსირებს, მიჯნავს მას ოთხმარცვლიანი მუხლებისაგან, დანარჩენი არარეფრენული ტაპები კი ძლიერს, განმეორებადს – რეფრენულს ემორჩილებიან და ამის გამო ჩნდება ორი პოეტური ლიცენცია ტექსტში (ცხელ პირის და ერთ ლამის).

ახალი საზომის შემოტანა-დამკვიდრება ჩვეულებრივ ასე ხდება. პირველად იგი უჩვეულოდ აღიქმება, სიახლით სუნთქავს, იქნებ ყურს კიდეც ეხამუშებოდეს, მაგრამ თუ თავად ნაწარმოები კარგია, დასამახსოვრებელი, რიტმული ინერცია გადამდებია და ხში-

რად თემას ან რაიმე ფორმობრივ ნიშანს თან გაიყოლებს.

ჩვენ შემთხვევაში უფრო ფორმობრივ ნიშანზე მოგვიხდება საუბარი. დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ სათაური „დარიანული“ ნიშნავს, რომ ეს არის რეფრენიანი სიმღერა, რეფრენი – გამეორების სახეა. რაკი ვამბობ, რომ რაღაც ფორმობრივი გაიყოლა, რეფრენი და ალიტერაცია ამ ლექსის მაინც ორი ყველაზე მკაფიო გარე ნიშანია, რეფრენული ტაები – შეიძლება მოკლე, უბრალო გამეორებით ჩანაცვლებულიყო. ამას ცალკე ლექსმცოდნებითი კვლევა სჭირდება და ჩვენი ამჟამინდელი ინტერესის საგანს, კაცმა რომ თქვას, ბევრს არც არაფერს მატებს, უფრო სხვა კუთხით დგება საკითხი. მე უბრალოდ, მეხსიერებაში შემორჩენილ ფრაგმენტებს შეგახსენებთ თვალსაჩინოების-თვის, თუ როგორ ვარიაციებად ტრანსფორმირდა შემდგომში ეს რიტმული მოცემულობა. მანამდე კი აღვნიშნავ მხოლოდ, რომ „დარიანულის“ ფორმის დაუფლება მოვიანებით ლექსის არა-ერთმა საუკეთესო ქართველმა ოსტატმა სცადა, მაგრამ მიღებული შედეგი ნამდვილად არ მიეკუთვნება მათივე საუკეთესო ლექსების რიგს. პირადად ჩემს მეხსიერებას კი ესენი შემორჩენია:

„ვარსკვლავებს ედარებოდი, ვარსკვლავების სადარი,

ადექ, მკერდზე დაიკიდე გმირო ოქროს ვარსკვლავი“ (ი. ნონეშვილი)

„საქართველო იყო მათი საფიცარი სახელი“ (ლადო ასათიანი)

„გულანძარო, გულანშარო, სამეფოო ვაჭართა“ (შოთა ჩანტლაძე)

„ვინ იცნობდით, ვინ იცნობდით, ვინ იცნობდით ირინეს?!“ (ჯანსულ ჩარკვიანი)

არც ისაა გამორიცხული, რომ ჩემს მეხსიერებას სიმრავლიდან სწორედ ისეთი მაგალითები ჰქონდეს სელექციობული, სადაც გამეორებებია.

ვიდრე მეორე ტექსტზე, ელენე ბაქ-

რაძის ხელნაწერზე გადავიდოდეთ, მინდა ამ პირველზე საუბარი ე. ბაქრაძის ხელნაწერში დაფიქსირებული მინაწერით დავამთავრო.

იგი ამბობს (ასე ვეღარ დავწერ, რადგან – ნ.დ.) აზრთა წმინდა სამფლობელომ დამიკეტა კარებით და ახსენებს სიტყვას „ნაქარაგმები“...

და ეს მიემართება ეროტიკული შინაარსის ლექსს „დარიანული“!

ხომ არის, ცოტა არ იყოს, უცნაური, ლოყაზე ცხელი ფარჩის, ანუ ვნებიანი ნაკოცნის ნაკვალევისა და ნეტარებაში გატარებული ერთი ლამის ეროტიკულ კონტექსტში ადამიანს უცებ „აზრთა სამფლობელო“ გაგახსენდეს?

ეს მაფიქრებინებს, რომ ელენე ბაქრაძეს რაღაც უნდა სმენოდა ამ ლექსის აგებულების შესახებ, იქნებ ის, რომ ფორმობრივად იგი კონსტრუირებული იყო რაღაც ინტენციის მიხედვით, კერძოდ, როგორით – ამდენი კი არ უწყოდა. ხოლო ეროტიკულ ფასადს მიღმა აქ, როგორც შევეცადე მეჩვენებინა, რთულად განსახორციელებელი და წარმატებით განხორციელებული ჩანაფიქრი იყო მიმალული. ტყუილად, როდი მიაჩნდათ პაოლო მის თანამედროვებს „ლექსის ფალავნად“ (ნინო თარიშვილი), „სონეტის რკალის, ასონანსებისა და ტრიოლეტების“ შემომტანად (კოლაუნადირაძე) და ა.შ. სიტყვა „ნაქარაგმებიც“ შესაძლოა, ამას მიგვანიშნებდეს, თუმცა აქ ვწყვეტ რეფლექსიას და ვრჩები ლექსმცოდნეობის საზღვრებში.



ახლა ვნახოთ, რა ხდება ელენე ბაქრაძის ხელნაწერში.

ჯერ ისე მოვიქცეთ, როგორც პირველ შემთხვევაში, ანუ ვიზუალურად, ტექსტში „შეუსვლელად“, გარედან დავთვალიეროთ იგი:

„დამელალა მაჯა მარჯნის მძიმე

ჯაჭვის ტარებით//  
მე ლოყაზე დამრჩა ფარჩა ცხელ  
პირის მოკარებით;//  
დამელალა მაჯა მარჯნის მძიმე  
ჯაჭვის ტარებით  
ცრემლი ბლობად დამელვარა ერთი  
ლამის ნეტარებით;//  
დამელალა მაჯა მარჯნის მძიმე  
ჯაჭვის ტარებით//  
ჩემს დამტანჯველს ლმერთი დასჯის  
ქაჯად გადაგვარებით.

P.S.

ვიცი გული დაგელალა ამდენი  
შედარებით  
(ნუ მომიწყენ, კვლავ მიიღე უშნოდ  
ნაქარაგმები)  
ჩემი გრძნობით უწინდებურს ვეღარ  
შევედარები  
აზრის წმინდა სამფლობელომ  
მომიხურა კარები“.

1. როგორც ვხედავთ, ელენე ბაქრაძეს ლექსისთვის ექვსტაებედის ფორმა მიუცია ანუ „განწყვეტილი სამაჯურის“ გრაფიკული ეფექტი გაუუქმებია, ამასთანავე გაუუქმებია სტრიქონის ბოლოს პაუზები, რომელთაც გრაფიკის გამოყენებით, რიტმულად მაორგანიზებელი ფუნქცია დააკისრა პაოლო იაშვილმა. (ამით „გაჩვეულებრივდა“ ლექსის ორიგინალური ტემპო-რიტმი).

2. ალაგ-ალაგ დაუსვამს სასვენი ნიშნები, შედეგად მივიღეთ პუნქტუაცია, რომელიც აღარც ლექსის გამომსახველობის ჩანაფიქრს მისდევს და აღარც პუნქტუაციის წესებს – უბრალოდ, არასწორია.

3. გადაუადგილებია მზა ტაებები/სტრიქონები (ურთიერთშეუნაცვლებია მეორე და მეოთხე).

4. ლექსის პირველივე სიტყვა, რიტმული და ბგერწერული ლერძი, კამერტონი – „დაიტანჯა“ – შეუცვლია ნეიტრალური სიტყვით „დამელალა“, რომელიც რეფრენში მოხვედრის გამო,

სამგზის მეორდება და ბლოკავს „დამეტანჯა“-ს ალიტერაციაზე აწყობილ ლექსს. გადაადგილებული მეოთხე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე:

„ბევრი ცრემლი დამეხარჯა ერთ ლამის ნეტარებით“, მაგრამ ე. ბაქრაძესთან იკითხება ასე: ცრემლი ბლომად დამეღვარა ერთი ლამის ნეტარებით“.

5. იქ, სადაც პაოლო იაშვილს დაქტილური რითმის გამო, პოეტური ლიცენცია ჰქონდა დაშვებული, ე. ბაქრაძეს ეს ლიცენცია მოუშლია, თითო ხმოვანი ჩაუმატებია, ანუ „გრამატიკულად გაუსწორებია წინადადება“ და შედეგად, ნაცვლად „დარიანულის“ სრულიად ორიგინალური რიტმისა, მიულია რუსთველური მაღალი შაირი – რვა საუკუნის მანძილზე ყველაზე გატრივიალურებული რიტმული წყობა. შევადაროთ:

ცრემლი ბევრი დამეღვარა ერთი ლამის ნეტარებით 4/4/4/4/

ჰე მეფეო, გავიპარვი, ძებნად ჩემდა საძებრისაც,

თუმცა ეს პრიციპიც ვერ დაუცავს ბოლომდე, ერთხელაც გაიმეორა და ფინალში ისევ დარიანულ საზომს 4/4/4/3 - ს დაბრუნებია.

ხოლო ამ საზომს რომ ნამდვილად ვერ გაუგო ვერაფერი, ჩანს მისივე მინანერიდან, რომელშიც უცდია, „დარიანულის“ რიტმულ ინერციას მიჰყოლოდა, გარითმვის „წესი“, ანუ ის, რაც „დარიანულში“ ნომინალურად არის შენარჩუნებული, კი გაუმეორებია, გარეგნულად თითქოს იმიტირებულია, მაგრამ თვალნათლივია, რომ სხვაფრივ წარმოდგენა არა აქვს „დარიანულის“ რიტმულ, ალიტერაციულ, სონორულ, ასონანსური რთული, უღერადი კომ-

პოზიციის შესახებ, რაზეც ზემოთ ვისაუბრე და რაც, მსუბუქად რომ ვთქვა... მისი ბრალი არ არის.

ყველაფერი ეს ადასტურებს, რომ საერთოდ ვერ აუღო აღღო სალექსო ფორმას, ვერ ჩასწვდა „დარიანულის“ ავტორის ფორმობრივ ჩანაფიქრს.

თუმცა კიდევ ერთს აღვნიშნავ. ნუ მომიწყენო, ამბობს იგი. ვცდილობ და ვერ გამიგია, როგორ უნდა გავიაზრო ეს ზმა: სამპირიანად: მომიწყენ შენ მე მას – ვის? ვისზეა ლაპარაკი?

ხოლო თუ ორპირიანია, ასე: მომიწყენ (შენ მე) ანუ გამხდი მოსაწყენად, გამოდის, რომ მინანერი ისეთ დროსაა დამატებული, როცა ისინი კვლავ ერთად არიან? აქ ალბათ სიტყვა ლიტერატურის ისტორიკოსებმა ან იქნებ ტექსტოლოგებმა თქვან!

ჩემი საბოლოო დასკვნა კი ასეთია:

პაოლო იაშვილის „დარიანული“ არის პირველადი ტექსტი, ხოლო ელენე ბაქრაძის ხელნაწერი წარმოადგენს მეორადს. ანუ ავტორი ლექსისა „დარიანული“ არის პაოლო იაშვილი, ხოლო ელენე ბაქრაძე მოცემულ შემთხვევაში არის გადამკეთებელი, რომელიც ვერ ჩასწვდა ტექსტს, როგორც ორგანულ მთლიანობას და სიტყვა „დაიტანჯა“, კამერტონი, ასე ვთქვათ, საყრდენი კედელი გამოაცალა ლექსის არქიტექტონიკას.

ისიც არ იცის, რატომ ჰქვია ლექსს „დარიანული“. არ იცის, რომ ეს მნიშვნელოვანი წინადაღისა და ამით ავტორი ლექსის სახეობაზე მიანიშნებს.

ასეთია ჩემს ხელთ არსებულ ტექსტთა ლექსმცოდნეობით-შედარებითი ანალიზის შედეგი.

## გური დავითლიძე



### ქართველი ჰემინგუეი (ორიოდე სიტყვა გურამ რჩეულიშვილზე)

საქართველოში ერნესტ ჰემინგუეის შემოქმედებისადმი ინტერესი მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში გამოიკვეთა. აკაკი განწერელია პირველი ადამიანი აღმოჩნდა, რომელმაც ამერიკელი მწერლის შემოქმედების ქართულ სალიტერატურო სამყაროში შემოტანა განიზრახა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კი (ვგულისხმობ 50-იან წლებს) ქართულ ჟურნალ-გაზეთებში უფრო დიდი სიხშირით ჩნდებოდა ერნესტ ჰემინგუეის სახელი და გვარი და რამდენჯერმე გამოიცა კიდეც მისი ნაწარმოებები.

ჰემინგუეის შემოქმედების ახლიდან დაბადება საქართველოში, შეიძლება ითქვას, კარგ დროს დაემთხვა, რადგან მისი ლიტერატურა, რომელიც მუდმივად თავისუფლებისკენ იყო მიდრეკილი, ერთგვარი ხსნა და შვება გამოდგა იმდრო-ინდელი ქართული საზოგადოებისათვის. კომუნიზმის წნების ქვეშ მცხოვრებ ადამიანთათვის ამერიკული ამბების გაცნობა თავისუფლების შეგრძნების ერთ-ერთი საშუალება იყო. სწორედ ეს გახდა ძირეული მიზეზი ამერიკელი ავტორის პოპულარობისა. შეიძლება ითქვას, რომ საბ-

ჭოეთში მცხოვრები ხალხისთვის ერთ-გვარ საჭიროებასაც კი წარმოადგენდა ჰემინგუეი, რათა ბოლომდე არ შეთვისებოდნენ იმ რეჟიმს – თავისუფლების გარეშე ცხოვრებას – რასაც მოძმე ერების კავშირი სთავაზობდა მათ.

ამის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ ამერიკელი მწერალი ბევრი საბჭოელი ავტორის შემოქმედებაზე მოახდენდა გავლენას. ერთ-ერთი მათგანი ქართველი გურამ რჩეულიშვილი აღმოჩნდა, რომელიც ჰემინგუეისადმი სიმპათიას არ მალავდა საკუთარ მოთხოვნებსა თუ დღიურებში.

ერნესტ ჰემინგუეისა და გურამ რჩეულიშვილის ისტორიული კონტექსტი რა-დიკალურად განსხვავებულობაში აღმოჩნდა, თუმცა ამ განსხვავებულობაში მაინც არის შესაძლებელი იმ ნიუანსების დანახვა, რომლებიც ამ ორი მწერლის ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებას იძლევა.

ერნესტ ჰემინგუეის მსოფლიო მასშტაბის ომების ეპოქაში მოუწია ცხოვრება. მან საკუთარი თვალით იხილა პირველი და მეორე მსოფლიო ომი, რომლებ-

მაც მის შემოქმედებაზე მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს. „A Farewell to Arms“ მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რომანია, სადაც ყველაზე კარგადაა დახატული მწერლის დამოკიდებულება ცხოვრებისადმი და ზოგადად ომისადმი, რადგან ხსენებულ ნაწარმოებში თავისუფლების ძლიერი სურვილი მუდავნდება.

გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება კი განსხვავებულ სამყაროში წარიმართა. იმის მიუხედავად, რომ იგი მოესწრო მეორე მსოფლიო ომს, მის შემოქმედებაში ეს ყოველივე არ ასახულა, რადგან ომის მიმდინარეობისას პატარა ასაკის იყო და, ბუნებრივია, ვერ მოახერხებდა ომის აღქმასა და გააზრებას, თუმცა ქართველი მწერლის შემოქმედება მაინც მუდმივი თავისუფლებისკენაა მიმართული, რაც, სწორედაც რომ საბჭოთა კავშირის სისტემიდან გაქცევის ძლიერი სურვილით იყო გამოწვეული.

თავისუფლება – სწორედ ეს აკავშირებს ამერიკელ და ქართველ მწერალს ერთმანეთთან. ორივე მათგანის შემოქმედებაში მუდმივად ვხედავთ თავისუფლებით შეპყრობილ პროტაგონისტებს, რომლებიც, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ იმ მოცემულობას, რომელიც მათ წინ კედლადაა აღმართული, გვერდი აუარონ და საბოლოოდ გაექცნენ.

ერნესტ ჰემინგუეის პერსონაჟებში ერთმანეთს ერწყმის ადამიანთა პირადი და კულტურული ტრაქმა, რომელიც იმდროინდელი საზოგადოების ერთგვარი მძიმე ჯვარი აღმოჩნდა, რომლის მიზეზიც სწორედ ომი გახდა. გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება კი „ბორკილებდადებული პატიმრის ხელების გახსნის მცდელობას წააგავს“. იმდროინდელი მკაცრი ცენზურის გამო მის ნაწარმოებებში ყველაფერი პირდაპირ არ არის ნათქვემი, თუმცა პერსონაჟებზე დაკვირვება და მათი გაანალიზება გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მუდმივად გაქცევის მცდელობაში არიან და ამის მთავარი მიზეზი

ერთგვარი ციხე – საბჭოთა კავშირია.

კაცობრიობის ისტორიაში ადამიანი რისთვისაც ყველაზე ხშირად იბრძვის, თავისუფლებაა. სწორედ თავისუფლები-საკენ სწრაფვის დროს არსებული წინა-ლობები ხდება მიზეზი ინდივიდთა შინაგანი ფორიაქისა. ეს ყველაფერი ლიტერატურამაც თავისებურად მოირგო და გაითავისა.

ერნესტ ჰემინგუეისა და გურამ რჩეულიშვილის მიერ შექმნილი პერსონაჟები, მუდმივად თავისუფლებისკენ, საკუთარი თავის შეცნობისაკენ მიისწრაფიან. ამის მთავარი მიზეზი სწორედ ის რეალობაა, რომელიც მათთვის, განსხვავებული მსოფლებელის მქონე ადამიანებისათვის მიუღებელია.

ომიდან გაქცევა, ნადირობა, განსხვავებული ადგილების ძიება, დაუღალავი მოგზაურობა, ალპინიზმი, ლაშქრობა, მარტოსულობა – ეს იმ თემათა მცირეჩამონათვალია, რომლებიც ორივე მწერლის შემოქმედებაში დიდ და ამასთან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

გურამ რჩეულიშვილისა და მისი თაობის ახალგაზრდებისათვის სამყაროს კარი ჩაკეტილი აღმოჩნდა. ისინი ვერ ახერხებდნენ რადიკალურად განსხვავებული სამყაროს, დასავლეთის გაცნობას, რის გამოც მათი ძირითადი პერიმეტრი, საქართველოს მთიანეთი აღმოჩნდა.

„პათარეკა ჭინჭარაული“, „სიკვდილი მთებში“, „ალავერდობა“, „ასვლა“, „მთებიდან ქალაქამდე“ – სწორედ ხსენებულ მოთხოვებებში იგრძნობა გურამ რჩეულიშვილის დამოკიდებულება თავისუფლებისადმი. მთა, როგორც ერთგვარი თავისუფლების სიმბოლო, საკუთარი თავის შეცნობის ადგილია.

ეგზისტენციალური კრიზისი, რომელიც გურამ რჩეულიშვილის პერსონაჟებს თან სდევს, არის სწორედ მიზეზი იმისა, თუ რატომაც უჩნდებათ სამყაროს შემეცნების სურვილი და ამას, ყველასა და ყველაფრისგან მოშორებით, მაღალ მთაში ახორციელებენ. ისინი ეძიებენ სა-

კუთარ თავს, თავისუფლებას, სიმშვიდეს, სიმარტოვეს, ადამიანების სიყვარულს, თავგადასავლებს და ამას საკუთარი ქვეყნის გადაკარგულ ადგილებში ახერ-ხებენ. ერნესტ ჰემინგუეისა და გურამ რჩეულიშვილის ეპოქა მეტად რთული აღმოჩნდა. სამყარო დაღლილი იყო გაუ-თავებელი ომებითა და აგრესით, რომ-ლის შედეგი ადამიანების შინაგან სამ-ყაროში დაილექა და ეგზისტენციალური კრიზისის ხანა დადგა მრავალი ქვეყნის მოსახლეობაში. ამერიკული და ქართუ-ლი ამბების ურთიერთდამოყიდებულება სწორედ იმაში გამოიხატებოდა, რომ პერსონაჟებში მძაფრად იგრძნობოდა სულიერი კრიზისი და ეს ყოველივე ომი-სა და ძალადობრივი რეჟიმებისგან დაღ-ლილი სამყაროს ილუსტირებას ახდენდა.

ერნესტ ჰემინგუეის შემოქმედება-ში, განსაკუთობით კი ნიკ ადამისი ციკ-ლის ნოველების პერსონაჟებში, ძალიან კარგად იგრძნობა კონტექსტური ფონის სისასტიკე, რომელსაც მწერალი, ლაკო-ნიურად აღწერს და მოგვითხრობს. მოგ-ზაურობა ჩრდილოეთის ტყეებში, სას-ტიკი ომი და ჯარისკაცთა დრამატული ამბებისა და ისტორიების თავმოყრა, რომელთა მიზანი – რთული, საშინელი რეალობიდან გაღწევის მცდელობა – ამ ყველაფერში გურამ რჩეულიშვილის პერ-სონაჟების მიზანიც ხმიანობს.

„ჰემინგუეის მთელი შემოქმედება ძლიერი, მიზანდასახული გმირისა და გამარჯვების ძალის უწყვეტი ძიება“ (ციალა თოფურიძე). ერნესტ ჰემინგუეი, რომელიც „დაკარგულ თაობას“ მიეკუთ-ვნებოდა, მუდმივად ცდილობდა ლიტე-რატურაში მარცხთან დაპირისპირებას და ამას ახერხებდა კიდეც, რადგან მისი პერსონაჟები, მუდმივად ძიების პროცეს-ში არიან და საკუთარი სამყაროს შეც-ვლის სურვილით არიან შეპყრობილნი.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, ერნესტ ჰემინგუეისა და გურამ რჩეულიშვილის პერსონაჟების ძიების მოტივი მუდმივ თანხვედრაშია. მძიმე, ბრუტალური ის-

ტორიული კონტექსტი, რომელიც მათ შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს, იმის საფუძველი ხდება, რომ პერსონა-ჟები იწყებენ საკუთარი თავის შეცნობი-სათვის საჭირო გზების ძიებას და ამ ყვე-ლაფერს თავისუფლებაში ხედავენ.

ერნესტ ჰემინგუეისა და გურამ რჩე-ულიშვილის ტექსტების წაკითხვის შემ-დგომ, თუ პარალელს მათ ცხოვრებისე-ულ ეპიზოდებთან გავავლებთ, არ იქნება რთული იმის შენიშვნა, თუ რა ადგილი უჭირავს ავტობიოგრაფიულ ფაქტებს მათ შემოქმედებაში. ამერიკელი მწერლის შემთხვევაში მისი ცხოვრებისეული გზა და ცხოვრება ძალიან კარგადაა ასახული ორ რომანში: „The farewell to Arms“ და „The sun Also rises – Fiesta“. პირველი რო-მანის შემთხვევაში ჰემინგუეი ცდილობს საკუთარი, პირადი ტრავმის ლიტერატუ-რად გაქცევას, რასაც საბოლოო ჯამში ახერხებს კიდეც. იგი მოგვითხრობს იმ ამბების შესახებ, რომლებიც საკუთა-რი თვალით იხილა ომში მონაწილეობის დროს. სწორედ ხსენებულ რომანში ჩანს ავტორისეული განცდისა და პერსონაჟთა მისწრაფებების გადაკვეთის ხაზი. რომა-ნის პერსონაჟებს სურთ ის, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში სურდა ერ-ნესტ ჰემინგუეის – თავისუფლება. მეო-რე რომანში კი განსხვავებულ სამყაროში, პარიზში ვითარდება სიუჟეტი და იმ თავ-გადასავლების ერთად თავმოყრა ხდება, რომლებიც მწერალს ევროპაში მოღვაწე-ობის პერიოდში გადახდენია თავს.

რაც შეეხება გურამ რჩეულიშვილს, მისი მოთხრობები საკუთარი გამოცდი-ლების გალიტერატურებაა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ჩვენს ხელთ არსე-ბული პროზაიკოსის დღიურები. მწერალი ძალიან დიდ დროს უთმობდა დღიურს და ამასთან, დიდ მნიშვნელობასაც ანიჭებ-და საკუთარი განცდებისა და თავგადა-სავლების მუდმივ რეჟიმში ჩაწერას. სა-ბოლოოდ, სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, თუ რატო-მაც არის გურამ რჩეულიშვილის პროზის

დიდი ნაწილი ავტობიოგრაფიული.

როდესაც გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებას ვეცნობით, არაა გასაკვირი ის ფაქტი, რომ მის მოთხოვნებში ერნესტ ჰემინგუეისაც ვაწყდებით. სწორედ ამერკელმა მწერალმა იქონია დიდი გავლენა ქართველ პროზაიკოსზე. გურამ რჩეულიშვილმა საკუთარი შემოქმედება ქართულ რეალობას მოარგო და მე-20 საუკუნის ქართველ მწერალთა შორის საპატიო ადგილიც დაიკავა.

როგორ ჩანს, გურამ რჩეულიშვილი მოხიბლულა „აისბერგის პრინციპით“. ეს ყველაფერი მის მოთხოვნებშიც აისახა. სტილური თანხვედრა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ქართველი მწერალი, ამერიკელი მწერლის მსგავსად, არ ამბობს ყველაფერს, რისი თქმაც სურს და მკითხველს ამით მეტ შესაძლებლობებს სთავაზობს. მსუბუქი დიალოგები და ლაკონიურობა ერნესტ ჰემინგუეის ე.წ. სავიზიტო ბარათი გახლდათ, რამაც შემდგომ გურამ რჩეულიშვილის პროზაშიც იჩინა თავი.

რაც შეეხება თემატურ ურთიერთდა-მოკიდებულებას, ორივე მწერლის შემოქმედება (ერნესტ ჰემინგუეის შემთხვევაში გამოსარჩევია ნიკ ადამსის ნოველების ციკლი) გარკვეულწილად მოკლებულია ურბანულ გარემოს და სიუჟეტები ქალაქებისგან შორს ვითარდება, მაგ: ტყეში, მთაში, მწვერვალებზე. გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებთა გეოგრაფიული არეალი ჰემინგუეისას ეხმიანება და ამით საერთო ფონი იქმნება ამერიკელ მწერალთან.

აქვე უნდა ვახსენოთ ჰემინგუეის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები „მოხუცი და ზღვა“, რომელმაც გურამ რჩეულიშვილზე ძალიან დიდი გავლე-

ნა მოახდინა. ქართველი მწერლის მოთხოვნა „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“ ამერიკელი მწერლის უკვე ნახსენები ნაწარმოების საკმაო გავლენას განიცდის, რადგანაც გეოგრაფიული არეალი, პერსონაჟები თუ პერსონაჟთა შინაგანი განცდები ერთმანეთს ერწყმის. სწორედ ეს გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ გურამ რჩეულიშვლმა ამერიკული ნაწარმოების გავლენით დაწერა საკუთარი მოთხოვნა.

„მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“ გურამ რჩეულიშვილის ერთ-ერთი გამორჩეული მოთხოვნაა, რომელიც ადამიანის შინაგანი კრიზისისა და ცხოვრების დაუნდობლობის გამომხატველია. მოთხოვნაში ამერიკელი მწერლის გავლენა საგრძნობი რომაა, იმაშიც ვლინდება, რომ, „მშვიდობით იარაღოს“ მსგავსად, რჩეულიშვილის მოთხოვნის ფინალურ ნაწილშიც ჩვილი ბავშვი იღუპება. ფაქტობრივად, „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“ ორი ტექსტის – „მშვიდობით იარაღოსა“ და „მოხუცი და ზღვის“ – გავლენით შექმნილი მოთხოვნაა, რომელსაც კრიტიკოსები უმნიშვნელოვანეს ტექსტად მიიჩნევენ ქართველი მწერლის შემოქმედებაში.

მართალია,, გურამ რჩეულიშვილმა განიცადა გავლენა ამრიკელი მწერლისა, მაგრამ მან მანც შექმნა საკუთარი სტილი, რომელიც სხვა ქართველ მწერლებს შორის მეტად გამოსარჩევი იყო. მე-20 საუკუნე ქართული ლიტერატურისათვის მართლაც „ოქროს ხანა“ აღმოჩნდა. ქართულმა ლიტერატურამ არაერთი მნიშვნელოვანი მწერალი შეიძინა, რომლებიც საკუთარი, განსხვავებული სტილით გამოირჩევიან ლიტერატურულ სარბიელზე. მათ შორისაა გურამ რჩეულიშვილიც.



## გიორგი შერვაშიძე

### ასი ათას ერთი

აბსურდული ტრაგიკომედია ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

**პორტფელიანი კაცი:** შუახნის სათვალიანი მამაკაცი, რომელსაც ხელში ტყავის გაქუცული პორტფელი უჭირავს.

**დრედებიანი ბიჭი:** ახალგაზრდა ბიჭი დრედებით, რომელსაც თავზე ყურსასმენი უკეთია და ჩაჩაჩული, ორი ზომით დიდი შარვალი აცვია.

გრძელიშვილი მედეა: ახალგაზრდა ქალი ტანზე სექსუალურად მომდგარი წითელი კაბითა და შავი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით.

**გარემოვაჭრე:** 60 წლამდე ასაკის ქალი, რომელსაც გახუნებული ტანსაცმელი ერთმანეთზე აცვია. კაბაზე – ქვედაბოლო, ქურთუკზე – უილეტი და თავზე კი კაშნე წაუკრავს.

პირველი სურათი:

მოქმედება ხდება ხიდზე. ხიდის შუანელზე დგას შლაგბაუმი. მის თავზე მონიტორია დამონტაჟებული. შლაგბაუმის წინ ოთხაციანი რიგი დგას. რიგში პირველი ძველმოდურ პიჯაკსა და შარვალში გამოწყობილი შუახნის სათვალიანი მამაკა-

ცია, რომელსაც ხელში ტყავის გაქუცული პორტფელი უჭირავს. კაცი მოუსვენრად წრიალებს და ხშირ-ხშირად დასცექერის გაცრეცილი ფეხსაცმლის ცხვირებს. მას მოსდევს ახალგაზრდა ბიჭი დრედებით, რომელსაც თავზე ყურსასმენი უკეთია და ჩაჩაჩული, ორი ზომით დიდი შარვალი აცვია. ბიჭი მუსიკის რიტმებს ჰყვება და შიგადაშიგ ცეკვავს. მესამეა ახალგაზრდა ქალი ტანზე სექსუალურად მომდგარი წითელი კაბითა და შავი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით. კაბას თეძომდე „პრარეზი“ და ღრმა დეკოლტე ამშვენებს. სულ ბოლომში 60 წლამდე ასაკის ქალი დგას. ის გარემოვაჭრეა და ხელში ორი უშველებელი „ბაზრის“, ჭრელი ჩანთა უჭირავს. აცვია ყველაფერი გახუნებული და თან ერთმანეთზე. კაბაზე – ქვედაბოლო, ქურთუკზე – უილეტი და თავზე კი კაშნე წაუკრავს.

სცენა წერტილოვნად ნათდება და ჩანს პორტფელიანი კაცი, რომელიც თავს უკან სწევს და ჩამქრალ მონიტორს ასცექერის.

პორტფელიანი კაცი: უკაცრავად... უკაცრავად...  
ჩამქრალი მონიტორი წამით ნათდება

და ისევ ქრება.

პორტფელიანი კაცი: დიდი ბოდიში... უკაცრავად... სულ ერთი წუთით, თუ შეიძლება...

ჩამქრალი მონიტორი კვლავ ნათდება და ეკრანზე ულვაშიანი კაცი ისახება, რომელსაც აღმოსავლური ყაიდის ჭრელი ხალათი აცვია და თავზე კი მუქი ფერის ჩალმა ახურავს.

მონიტორი: გისმენთ.

პორტფელიანი კაცი: დიდი ბოდიში რომ გაწუხებთ, მაგრამ ძალიან მეჩქარება და მაინტერესებს, მალე თუ გაიხსნებით?

მონიტორი: თქვენი რიგის ნომერი?!

პორტფელიანი კაცი: რა რიგის ნომერი?

მონიტორი: იმ რიგისა, რომელშიც დგახართ.

პორტფელიანი კაცი: რამე ნომერი უნდა ამეღო?

მონიტორი: დიახ. აი, მანდ, შლაგბაუმთან ღილაკს თითო მიაჭირეთ.

მონიტორზე გამოსახული ჩალმიანი კაცი თითებით ანიშნებს, ჩემ ქვემოთ დაიხედეო. პორტფელიანი კაცი მის თითებს მზერას აყოლებს და შლაგბაუმთან მიდის. გულდასმით ათვალიერებს იქაურობას და ზედ მკლავზე დამონტაჟებულ დიდ წითელ ღილაკს თითს აჭერს. ისმის წრიპინის ხმა და ღილაკის ქვეშ არსებული ჭრილიდან პატარა ფურცელი ცურდება. ფურცელზე წერია ციფრი 99998.

პორტფელიანი კაცი: უკაცრავად, პატივცემულო...

მონიტორი: გისმენთ.

პორტფელიანი კაცი: მერე?

მონიტორი: რა მერე?

პორტფელიანი კაცი: აი, ეს... ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდარვა...

პორტფელიანი კაცი ხელს მალლა სწევს და ფურცელი მონიტორთან მიაქვს.

მონიტორი: დაელოდეთ თქვენს რიგს. თქვენს ნომერსაც მალე გამოაცხადებენ.

პორტფელიანი კაცი: და მე რომ ძალიან მეჩქარება? მანქანა მყავს ხელოსანთან და-ტოვებული და დროულად თუ არ მივაკითხე, სახელოსნო დაიკეტება.

მონიტორზე გამოსახული ჩალმიანი კაცი უსიამოვნოდ იჭყანება და ულვაშებს აცმა-ცუნებს.

მონიტორი: დედა უნდა ჩააბაროთ.

პორტფელიანი კაცი: უკაცრავად?

მონიტორი: მე ნუ მებოდიშებით.

პორტფელიანი კაცი: იცით, მე, უპრალოდ, ხიდზე გადასვლა მინდა...

მონიტორი: მერე გაიარეთ.

პორტფელიანი კაცი: შლაგბაუმი დაკეტილია და როგორ გავიარო?

მონიტორი: დედა ჩაგვაბარეთ და გაივლით.

პორტფელიანი კაცი: უკაცრავად და... ეს, რამე ახალია?

მონიტორი: დიახ.

პორტფელიანი კაცი: და ის... აი, ხატზე ფეხის დადგმა აღარ არის?

მონიტორი: არა, ეგ აღარ არის. მოძველდა. ხატზე ფეხის დადგმას აღარავინ ერიდება.

პორტფელიანი კაცი: და გუშინ რომ იყო? გუშინ ხომ ხიდზე ჩვეულებრივად გადავედი? არც რიგის ნომერი დამჭირვებია და არც დედის ჩაბარება... ხატს ფეხი დავადგი, შლაგბაუმი გაიღო და მეც იქით ნაპირზე გადავედი.

მონიტორი: ეგ გუშინ იყო. გუშინდელი დღეს არ მეორდება. დღეს ახალი დღეა და წესებიც ახალია. ან დედას აბარებთ და ხიდზე გადადიხართ და ან კი...

პორტფელიანი კაცი: და რა ან კი?

მონიტორი: ხედავთ მტკვარს?

პორტფელიანი კაცი ხიდიდან იხედება, თავს იფხანს და ისევ მონიტორს შესცქერის. პორტფელიანი კაცი: დიახ.

მონიტორი: ჰოდა, მოგიწევთ იქ გაბანავება. ჰა...ჰა... ჰა...

პორტფელიანი კაცი: ეგ როგორ?

მონიტორი: როგორ და უთავოდ.

ულვაშიანი კაცი ხარხარებს და ქრება. ეკრანზე წამმზომი და სიტყვები – „მოსაფიქ-რებელი დრო“ – ისახება. წამმზომი ირთვება და ხუთი წუთის უკუთვლაც იწყება. პორტფელიანი კაცი რიგში მყოფებისკენ ბრუნდება და სათვალეს იხსნის. შუშებს ცხვირ-სახოცით წმენდს და მხრებს იჩეჩავს. სცენა ისევ წერტილოვნად ნათდება და ახლა მის უკან მდგომი დრედებიანი ბიჭიც ჩანს. დანარჩენები კვლავ გაშეშებულები დგანან ბნელში.

პორტფელიანი კაცი: გესმის, ყმაწვილო, რა მითხრა?

დრედებიან ბიჭს მისი არ ესმის. ის მუსიკას უსმენს. სხეულს მუსიკის რიტმებს აყოლებს და რაღაცას ღილინებს. პორტფელიანი კაცი ძალიან ღიზიანდება, ბიჭს ყურსასმენებს უხეშად ხსნის და უყვირის.

პორტფელიანი კაცი: გესმის, შე გამოსირებულო, რა მითხრა?

დრედებიანი ბიჭი ძალიან იძაბება და რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევს.

დრედებიანი ბიჭი: ვერ გავიგე, რა გინდა?

პორტფელიანი კაცი: რა ვერ გაიგე? იმან, ულვაშიანმა, რა თქვა, ვერ გაიგე?

დრედებიანი ბიჭი: ვერა. მუსიკას ვუსმენდი.

პორტფელიანი კაცი ხელს ჩაიქნევს, ძირს ჯდება და ბავშვივით ტირის.

დრედებიანი ბიჭი: და რაო იმან, ულვაშიანმა?

პორტფელიანი კაცი ტირილს წყვეტს, სახეს ცხვირსახოცით იწმენდს და საუბარს ზლუქუნით აგრძელებს.

პორტფელიანი კაცი: რაო და დედა ჩაგვაბარეოო... დედაოოოო... ჩაგვაბარეოო...

დრედებიანი ბიჭი: და რატომ? შენი დედა რად უნდათ?

პორტფელიანი კაცი: წარმოდგენა არა მაქვა. არ ვიციო... მაგრამ მე დედის ჩაბარება არ შემიძლია. არა, მე ამას ვერ ვიზამ... ვერასდროს... გამორიცხულია...

დრედებიანი ბიჭი: ვერ იზამ და წუ იზამ. რა პრობლემა?

პორტფელიანი კაცი გაშლეგებული წამოხტება და ბიჭს პერანგის საყელოში აფრინ-დება.

პორტფელიანი კაცი: ბრიყვი, შენ ხარ ბრიყვი...

დრედებიანი ბიჭი კაცს იშორებს და სილას აწნის. კაცი წაიქცევა და ისევ ტირილს იწყებს.

პორტფელიანი კაცი: დედას თუ არ ჩაგაბარებ, იქით ნაპირზე არ გადამიშვებენ... დედას თუ არ ჩაგაბარებ, მანქანის ხელოსანს ვერ მივუსწრებ... დედას თუ არ ჩაგაბარებ, თავს მომჭრიან და მტკვარში გადამაგდებენ...

დრედებიანი ბიჭი ჩაცუცქდება და კაცს მხარზე ხელს ადებს.

დრედებიანი ბიჭი: და ხატზე ფეხის დადგმა აღარ არისო?

პორტფელიანი კაცი: არაო. ახალი დღე და ახალი წესებიო.

დრედებიანი ბიჭი: აუფ, არადა, ხატზე ფეხის დადგმა ძალიან ადვილი იყო. დააპიჯებდი, გაივლიდი და, ვითომც არაფერი... და მე რომ დედა არა მყავს, მაშინ, ნეტავ, რა უნდა ვქნა?

პორტფელიანი კაცი: კი, ადრე ნამდვილად ადვილი იყო. ნამეტანი ადვილიც...

ამ დროს ისმის მაღვიძარას წრიპინის ხმა და მონიტორზე წულები ისახება. ეკრანი

ციმციმებს და ულვაშიანი კაცი ჩნდება. პორტფელიანი მძიმედ დგება, მონიტორს უახლოვდება, თავს უკან აგდებს და ულვაშიანს აშტერდება. ჩალმიანი ულვაშებს იპრეხს და ცბიერად იღმის.

მონიტორი: აბა, რა ქენი, რა მოიფიქრე?

პორტფელიანი კაცი: დედას რას უზამენ?

მონიტორი: ალბათ, ხორცულმბინატში ჩააბარებენ. ძეხვეულობაში...

პორტფელიანი კაცი: ბატონოოო???

მონიტორი: ვიხუმრე... ეგ არა შენი საქმე. შენი საქმეა ხატზე ფეხის დადგმა. შენი გულის ხატზე ფეხის დადგმა და საკუთარ სულში ჩაფურთხება. მოკლედ, შენ დედა უნდა დათმო და ან კი...

ულვაშიანი კაცი ხელს ხმალივით შემართავს, კისრის გასწვრივ ისვამს და ენას გვერდზე აგდებს.

პორტფელიანი კაცი: და რატომ?

ულვაშიანი კაცი: რა რატომ?

პორტფელიანი კაცი: და რატომ დედა? რატომ ეს ყველაფერი? რისთვის?

ულვაშიანი კაცი: რა თქმა უნდა, სულის წასაწყმედად... აბა, შენ რა გგონია, რომ მართლა დედაშენის ხორცის ინტერესი გვაქვს? შენ ახლა ყველაზე მეტად დედა გეძვირფასება და ეგ ქალიც სწორედ ამიტომ გვჭირდება.

პორტფელიანი კაცი: არა, მე დედას ვერ დავთმობ. მან, მან ხომ მე მთელი ცხოვრება შემომწირა. გამაჩინა, მარტომ გამზარდა, ყველაფერი დათმო, რომ ჩემთვის საუკეთესო მოეცა. არა, არ შემიძლია... იქნებ, ისევ ხატი იყოს, ჰა? არ შეიძლება?

მონიტორი: გამორიცხულია.

პორტფელიანი კაცი: და დედას ეტკინება?

მონიტორი: ალბათ. მას ხომ ახალ ღმერთს მსხვერპლად შესწირავენ?!

პორტფელიანი კაცი: მსხვერპლად შესწირავენ? ახალ ღმერთს? მგონი, მართლა მძინავს და მესიზმრება მთელი ეს კოშმარი.

ულვაშიანი კაცი წერა თითის წაგრძელებულ ფრჩისილს ყურში იყოფს და ენერგიულად იფხანს. პირს რამდენჯერმე ალებს და კეტავს. ყურიდან გამოლებულ გოგირდს ხალათზე იწმენდს.

მონიტორი: შენი დრო ამოიწურა. ველით პასუხს.

პორტფელიანი კაცი: მანქანას რომ არ მივაკითხო, არ გამოვა. ხელოსანი შვიდამდე მუშაობს, მერე წავა. ხვალ კი შაბათია და ალბათ, არ იმუშავებს. ორშაბათამდე მომინებს მოცდა. არ გამოვა. კვირას მანქანა მჭირდება, დედა უნდა გავასეირნო. კვირას დედას დაბადების დღე აქვს და შევპირდი, ლისის ტბაზე აგიყვან-მეთქი. ხომ იცით, დედა მოხუცია და გადაადგილებაც უჭირს. ეტლით დაგვყავს. დედა ახლა მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობს. იქ კარგად უვლიან. მე კი მისთვის ვერ ვიცლიდი. დედა იქ ძალიან კარგად გრძნობს თავს. თვითონაც სულ ამას მეუბნება, ჩემი დარდი არ გქონდეს, მე მშვენივრად ვარო. შენ ოღონდ საკუთარ თავს მიხედე და მალე დაოჯახდიო. მე შენ ხელს არაფერში შეგიშლიო. დედა ძალიან კარგი ქალია. მე მას ვერ დავაღალატებ. მე მას ლისზე გასეირნებას შევპირდი. ახლავე, ახლავე გააღეთ ეს წყეული შლაგბაუმი და იმედია, ცოტა თუ შემაგვიანდა, ხელოსანიც მომიცდის.

მონიტორი: ესე იგი, დედას თმობ?

პორტფელიანი კაცი: სხვა გზა არა მაქს. ხელოსანი მეტს არ მომიცდის. კვირას დედა რომ არ გავასეირნო, ძალიან ენყინება. კვირას ხომ მისი დაბადების დღეა?!

მონიტორი: კეთილი. წება შენია და დედა ჩვენია... შლაგბაუმს რომ გაცდები, მანდვე ხატი დევს და ფეხის დადგმა არ დაგავიწყდეს.

პორტფელიანი კაცი: კიდევ დიდხანს უნდა მტანჯოთ?

მონიტორი: არა, ჩვენ არა... ალბათ, უფრო შენი ნამუსი დაგტანჯავს. თუმცა ვინ იცის... აბა, შენ იცი და ხატზე ფეხის დადგმა არ დაგავიწყდეს, თორემ დაბლა არ ჩაგიშვებენ, ისევ უკან მოგინევს დაბრუნება და რიგში თავიდან ჩადგომა.

ულვაშიანი კაცი ხმამაღლა ხარხარებს და მონიტორიდან ქრება. შლაგბაუმი იწევა. პორტფელიანი კაცი დაუძლურებული და მხრებჩამოყრილი გადის მის ქვეშ. რამდენიმე ნაბიჯს დგამს, ჩერდება და რაღაცას ფეხს ადგამს. შემდეგ მეორეჯერ ადგამს. მესა-მეჯერაც... გაგულისებული პორტფელს ისვრის, იმ რაღაც უხილავზე ორივე ფეხით დეგება და ხტუნგას იწყებს. კაცი თან ხტუნგს, თან ტირის და თან ხმამაღლა ყვირის:

- დედა, მაპატიე... დედა, მაპატიე... დედაა, მაპატიეეე...

ბნელდება. პირველი სურათის დასასრული.

### მეორე სურათი:

სცენა ისევ წერტილოვნად ნათდება და ჩანს მონიტორის წინ მდგარი დრედებიანი ბიჭი. ბიჭს ხელში ჰატარა ფურცელი უკავია და მოთმინებით იცდის. მონიტორი წრიპინებს და ისახება ციფრი 99999. ჩნდება ულვაშიანი კაცი, რომელიც ახლა ქალის ხმით საუბრობს. მას ისევ ის ჩალმა ახურავს, ისევ ის ხალათი აცვია და ისევ ის ულვაში აქვს. უბრალოდ სახე და ხმა ქალის აქვს.

მონიტორი: გისმენთ.

დრედებიანი ბიჭი: გამარჯობა. იქით ნაპირზე მინდა გადასვლა. მუსიკალურ ფესტივალზე მივდივარ. მე მოცეკვავე გახლავართ და... მე დედა არა მყავს. ადრე მყავდა და ახლა აღარ მყავს. შემთხვევით თქვენს საუბარს შევესწარი, ნუ ნაწილს მაინც და... აი, იმ წინა კაცთან, აი, დედა რომ დათმო იმასთან... მოკლედ, ფესტივალზე მივდივარ და დედა არა მყავს.

მონიტორი: ნუ ღელავთ, თქვენს დედას საფრთხე არ ემუქრება.

დრედებიანი ბიჭი: დიდი მაღლობა. ცოტას მართლაც ვლელავ. მე მოცეკვავე ვარ და ამ ფესტივალზე გამოვდივარ, ვმონაწილეობ. ხვალ არის გახსნა.

მონიტორი: ქართულს ცეკვავთ? ადრე მეც ვცეკვავდი, აკადემიურ დასშიც ვიყავი...

დრედებიანი ბიჭი: არა, ქართულს არა... უფრო ჰიპ-ჰოპს. აი, თავზე ვპზრიალებ და ეგეთები.

მონიტორი: ჩიკორივით?

დრედებიანი ბიჭი: რა ჩიკორივით?

მონიტორი: აი, თავზე ვპზრიალებო რომ იძახით, ჩიკორივით ბზრიალებთ?

დრედებიანი ბიჭი: არ ვიცი. შეიძლება...

დრედებიანი ბიჭი მორცხვად ილიმის. ულვაშიანი ქალი ულვაშის ჯერ ერთ წვერს იგრეხს ზევით, შემდეგ მეორეს. მერე ისიც საპასუხოდ ილიმის.

მონიტორი: ესე იგი, იქით მხარეს გინდა გადასვლა, არა?

დრედებიანი ბიჭი: დიახ, რა ვიცი, თუ შეიძლება... თუ პრობლემა არაა...

მონიტორი: ჩემთვის არანაირი პრობლემა არაა და აი, შენთვის კი რა ვიცი, რა მოგახსენო, რით დაგაიმედო...

დრედებიანი ბიჭი: ანდა, იცით, გადავიფიქრე... შეიძლება, უკან, სახლში წავიდე?

მონიტორი: რა ქენი? გადაიფიქრე?

ულვაშიანი ქალი კისკისებს და ხელს ისე იქნევს, ვითომ, შენ რა გითხარიო.

დრედებიანი ბიჭი: დიახ, გადავიფიქრე. აღარ მინდა მუსიკალურ ფესტივალზე და მინდა სახლში.

მონიტორი: სამწუხაროდ, უკან გზა არ არსებობს. არის მხოლოდ ახლა და აქ.

დრედებიანი ბიჭი: ესე იგი, სახლში ვერ წავალ?

მონიტორი: რომელი გირჩევნია, იყო ყრუ, მუნჯი თუ პრმა?

დრედებიანი ბიჭი: ყრუ, მუნჯი თუ პრმა?

მონიტორი: დიახ, შენ რომელი გირჩევნია?

დრედებიანი ბიჭი: არც ერთი.

მონიტორი: თუ ყველა ერთად?

დრედებიანი ბიჭი კანკალებს. თვალებს უაზროდ ატრიალებს, მუშტებს კრავს და ადგილზე ნერვულად ირწევა.

დრედებიანი ბიჭი: სახლში მინდა... მე არაფერი დამიშვებია... სულ არაფერი... ძალიან გთხოვთ, ქალბატონო, დეიდა, ბიძია, თუ ვინც ხართ, გამიშვით რა, სახლში.

მონიტორი: სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარები.

დრედებიანი ბიჭი: რატომ? რატომ უნდა გავაკეთო ასეთი არანორმალური არჩევანი? რისთვის?

მონიტორი: რა თქმა უნდა, სულის წასაწყმედად. აბა, ისე, ჩვენ არც შენი მზერა გვარგია რამედ, არც შენი სმენა და, მით უმეტეს, უძვლო ენა. ჩვენ დამპყრობლები ვართ. ჩვენი საქმე დამხვდურის განადგურება, აოხრება და პირისაგან მიწისა აღგვაა. ჩვენ უნდა დაგრანჯოთ, დაგამდაბლოთ, გადაგთელოთ და გაგტეხოთ. სწორედ ის უნდა წაგართვათ, რაც ყველაზე ძვირფასი და სათუთა.

დრედებიანი ბიჭი: და ადრე რომ ასე არ იყო? ადრე ხომ ამას არ იმას გვიშრვებოდით... გვანადგურებდით, გვტანჯავდით.

მონიტორი: ეპჰე... ადრეც და ყოველთვისაც განადგურებდით. უბრალოდ, ამას თქვენ ვერ ხვდებოდით და ახლა კი სტრატეგია შევცვალეთ. თქვენ ახლა ისიც კი აღარ გახსოვთ, ხატს ფეხს რისთვის ადგამდით და თუ არ დაადგამდით, მერე რა მოხდებოდა.

დრედებიანი ბიჭი: როგორც გითხარით, მე მოცეკვავე ვარ. ჩემი ტალანტი არის ჩემი ცხოვრება. მე თუ ვერ დავინახე და ვერ მოვისმინე, ვეღარც ვიცეკვებ და აღარც აღაფერი გამომივა. გესმით, ეს ჩემთვის სიკედილის ტოლფასი იქნება.

მონიტორი: მერე შენც ენა დაგვითმე. შენი ენა. შენი დამწერლობა. შენი ასომთავრული, ნუსხური, მხედრული... შენი ანი და ჰოე დაგვითმე. შენი ბანი და განი, შენი ანბანი... შენი თვითმყოფადობაც...

დრედებიანი ბიჭი: იცით, მე ვმდერი კიდეც... ხმაც ასევე ძალიან მჭირდება... სხვანაირად მართლა არაფერი გამოვა და არ შეიძლება, რომ გამონაკლისის სახით, იქნებ, ისევ ხატზე დავაბიჯო.

მონიტორზე ულვაშიანი ქალი ქრება. მის ადგილზე ჩნდება წარწერა – „მოსაფიქრებელი დრო“ და ხუთწუთიანი წამმზომიც ირთვება. დრედებიანი ბიჭი ცოტა ხანს უაზროდ დგას. შემდეგ ჯიბეში ხელს იყოფს და მობილურ ტელეფონს იღებს. ნომერს კრეფს და ვილაცას ურეკავს.

დრედებიანი ბიჭი: ჰო, მე ვარ. ბიჭო, შენი დახმარება მჭირდება.

ვიღაც: „ვის უნდა 20 ათასში“ მონაწილეობ, გაიჭედე და ახლა „ახლობლის დახმარება“ აირჩიე?

დრედებიანი ბიჭი: არ ვხუმრობ. შენი დახმარება მართლა მჭირდება.

ვიღაც: რა ხდება?

დრედებიანი ბიჭი: შარში ვარ.

ვიღაც: მე ფულით უნდა დაგეხმარო?

დრედებიანი ბიჭი: მგონი, ფულით აქ ვერ გამოვძვრები.

ვიღაც: აბა, მაშინ რაშია საქმე?

დრედებიანი ბიჭი: დამენძრა, მეტეხის ხიდზე გავიჭედე... ან სმენა, ან ხმა და ან კი მზერა უნდა დავთმო.

ვილაც: ატრაკებ... ხატს ფეხი დაადგი და გაიარე, რა.

დრედებიანი ბიჭი: ვერა. ეგ აღარ მუშაობს. რაღაც შეუცვლიათ და ახლა ხიდზე გა-დასვლაში ძალიან ძვირს ითხოვენ. თან, მგონი, უკანაც აღარ გიშვებენ.

ვილაც: დაიკიდე რა, ნუ ნერვიულობ... ფეხებსაც ვერავინ მოგჭამს. თუ ძალიან გა-გიტრაკეს, სანაცვლოდ რამე შესთავაზე და ეგაა, რა. დამიჯერე მაგრად მუშაობს. მე სულ ეგრე ვშვრები ხოლმე. აი, ამას წინათ ძალლებმა რომ ათი აბი ექსტაზით დამი-ჭირეს, ბარიგა ჩავუშვი და ეგრევე გამომიშვეს. მიხვდი, საით მიმყავს? რამე მათვის საინტერესო შესთავაზე სანაცვლოდ და შეგეშვებიან, რა.

დრედებიანი ბიჭი: სანაცვლოდ?

ვილაც: ჰო, სანაცვლოდ. რამე ნივთი, ვალუტა, მომსახურება, რავი, რაც მაგათ გაუს-წორდებათ. ან ვაბშე წამოდი, რა. ჰო, აი, ეგრე, გამობრუნდი, ერთი თქვენი დედაც-თქო და წამოდი. ვინ რა უნდა გითხრას, ბიჭო, დადაობ?

დრედებიანი ბიჭი: მართალი ხარ... სანაცვლოდ რამე უნდა შევთავაზო. შეგიძლია, მომაკითხო?

ვილაც: შენით ვერ წამოხვალ?

დრედებიანი ბიჭი: ვერა. თან შენს ძმობას ვფიცავარ, ახლა მაგრა მჭირდები. აი, ჩემ გვერდით თუ იქნები და რაღაც ეგეთ იდეინობებს მირჩევ, ამ სიტუაციიდანაც უფრო ადვილად გამოვძვრები, რა. ბიჭო, იქით ნაპირზე უეჭველი უნდა მოვხვდე. ხომ იცი, ხვალ ფესტივალის გახსნაა და მეც გამოვდივარ. დღეს გენერალური რეპეტიცია იქნება და მთელი ამბავია... მოკლედ, უეჭველი მომაკითხე და ერთად მოვიფიქროთ რა და რო-გორ. ჩემი რიგის ნომერია 99999. გავაფრთხილებ და გამოგატარებენ.

ვილაც: კარგი, ჰო, მაქსიმუმ ორმოც წუთში მანდ ვარ.

ისმის მაღვიძარას წრიპინი და მონიტორზე ნულები ციმციმებს. ეკრანზე ულვაშია-ნი ქალი ჩნდება. დრედებიანი ბიჭი ტელეფონს ჯიბეში ინახავს და კმაყოფილი იღიმის.

მონიტორი: ვაჲ, შენ რაღაც კარგ ხასიათზე ყოფილხარ?! ეტყობა, არც ისე ძლიერ გიჭირს რომელიმე შენ უნართან განშორება, არა? აბა, რომელს შეელევი?

დრედებიანი ბიჭი: არც ერთს.

მონიტორი: ოოო... მგონი, ახლა ცოტა ზედმეტი მოგდის. კეთილი, მაშინ, აბა, ერთი ხიდიდან გადაიხედე და მითხარი, რას ხედავ?

დრედებიანი ბიჭი მოაჯირს ეყრდნობა და ხიდიდან იხედება. შემდეგ ისევ მონიტო-რისკენ ბრუნდება და იღიმის.

დრედებიანი ბიჭი: ქვებს. დაბლა დიდი თეთრი ქვებია.

მონიტორი: არადა, ადრე წყალი იყო. მერე მტკვარზე იმდენი ჰესი და კაშხალი აა-შენეს, რომ მდინარე სულ დაშრა. თუმცა ახლა ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. თავს რომ მოგაჭრიან და ხიდიდან გადაგიძახებენ, მერწმუნე, შენთვის უკვე სულ ერთი იქნება, დაბლა ქვა დაგხვდება თუ წყალი.

დრედებიანი ბიჭი: მიდით, ნუ აჩქარდებით. მე მინდა, თქვენ სანაცვლოდ სხვა რამე შემოგთავაზოთ.

მონიტორი: სანაცვლოდ?

დრედებიანი ბიჭი: დიახ, ანუ თქვენ მე იქით ნაპირზე გამიშვებთ ისე, რომ არც არაფ-რის დათმობა მომინიოს და მე კი თქვენ ამის სანაცვლოდ სხვა რამეს შემოგთავაზებთ.

მონიტორი: სხვა რამეს შემოგვთავაზებ? საინტერესოა. ეს მართლაც რაღაც ახალია. მიდი, აბა, გაგვანდე, რა გაქვს ეგზომ ძვირფასი, რომ შენი სანაცვლო შეიქნეს.

დრედებიანი ბიჭი: ჩემი მეგობარი ჩამენაცვლება.

მონიტორი: ეგ როგორ?

დრედებიანი ბიჭი: ორმოც წუთში მოვა. ჩემს ნომერს გეტყვით და შემოუშვით.

მონიტორი: მერე?

დრედებიანი ბიჭი: რაღა მერე? მე გამიშვებთ და თქვენ კი ის ჩემი მეგობარი დაგრჩებათ.

მონიტორი: და ის თანახმაა, რომ შენ ჩაგენაცვლოს?

დრედებიანი ბიჭი: სხვა რა გზა ექნება?

მონიტორი: ვააა... თავიდან აშკარად ვერ შეგაფასეთ სათანადოდ. ძალიან ჩათლახი ვიღაც ყოფილხარ.

დრედებიანი ბიჭი მორცხვად იღიმის. ულვაშიანი ქალი ქვედა ტუჩს აპრუნებს და ფიქრობს. მერე ტრანსლაციას ხმას უთიშავს, ტელეფონს იმარჯვებს და სადღაც რეკავს. მცირე საუბრის შემდეგ ხმას ისევ რთავს და რამდენჯერმე ახველებს.

მონიტორი: თანახმანი ვართ.

დრედებიანი ბიჭი: ძალიანაც კარგი. ახლა შემიძლია, გავიარო?

მონიტორი: რა თქმა უნდა. ისე, ერთსაც გყითხავ... ნამუსი არ შეგანუხებს?

დრედებიანი ბიჭი: არ ვიცი, შეიძლება...

შლაგბაუმი იწევა. ულვაშიანი ქალი ხელებს შლის და ბიჭს თავს უკრავს, მობრძანდით. დრედებიანი ბიჭიც შლაგბაუმს სცდება და ყურსასმენს იკეთებს. ამ დროს ულვაშიანი ქალი ფხიზლდება და შუბლზე ხელს იტკიცავს.

მონიტორი: ბიჭი, ბიჭი, მაიცა... სულ დამავინყდა. მანდ ხატი დევს და შემთხვევით ფეხი არ დაადგა. კიდევ კარგი გამახსენდა და გაგაფრთხილე, მოგასწარი, თორქემ ხიდიდან არ ჩაგიშვებდნენ და ისევ ახლიდან მოგიწევდა რიგში დგომა.

დრედებიანი ბიჭი: ლამის მართლაც დავაბიჯე. დიდი მადლობა. ნახვამდის.

ულვაშიანი ქალი ცბიერად იღიმის და დასამშვიდობებლად ხელს უქნევს. დრედებიანი ბიჭი უჩინარდება. ულვაშიანი ქალი პირზე ხელს ითარებს და კმაყოფილი ხითხითებს.

მონიტორი: შენ ჩათლახები აქეთ, ჩვენკენ უნდა ნახო...

ბნელდება. მეორე სურათის დასასრული.

### მესამე სურათი:

სცენა კვლავ ნაწილობრივ ნათდება. ჩანს წითელყაბიანი ქალი, რომელიც ნერვიულად მიდი-მოდის და მონიტორის მიმართულებით მუშტებს მუქარით იქნევს.

წითელყაბიანი ქალი: მე არ ვიყო გრძნეულიშვილი მედეა, თქვენ თუ კუდით ქვა არ გასროლინთ. რას მიქვია, მოითმინეთ? ადექით და თქვენ თვითონ მოითმინეთ. რაღა ჩემი რიგი რომ დადგა, მაშინ შეგექმნათ ტექნიკური პრობლემა. და, საერთოდ, რა საჭიროა, ეს რიგის ნომერი. მე ხომ ისედაც აქ ვარ, თქვენს ნინ ვდგავარ და რა მნიშვნელობა აქვს, რა ნომერი ვიქნები?

მონიტორზე გამოსახულება არეულია და ჩანს მხოლოდ წარწერა – „ტექნიკური ხარვეზი“. ფრაგმენტულად ისმის მოგუდული ხმა და სიტყვებიც რთული გასარჩევია.

მონიტორი: რიგი... რიგი... შეფერხება... შეფერხება... თქვენი ნომერი... თქვენი ნომერი... გთხოვთ, მოითმინთ, ხარვეზი მალე გამოსწორდება... სწორდება... ორდება...

წითელყაბიანი ქალი: თქვენ მართლა შიგ ხომ არა გაქვთ? ვერ გავიგე, ეს ხიდია თუ ბოსელი. იცით, როგორ მნიშვნელოვან შეხვედრაზე მაგვიანდება? არც კი იცით... წარმოდგენაც არა გაქვთ. აი, ისეთ მნიშვნელოვანზე რომ... ძალიან, ძალიან... უბრალოდ, არ შემიძლია, ახლა ყველაფერი ვთქვა. ვერ გავამსელ, ვის ვხვდები, თორქემ დედას გეფიცები, ხელში ამიყვანდით და ისე გადამიყვანდით ამ ხიდზე.

ისმის წრიპინი. შლაგბაუმიდან მომცრო ფურცელი ცურდება. მედეა მიდის და ფურცელს იღებს. დასცქერის და სახეზე კმაყოფილება აღებეჭდება.

წითელკაბიანი ქალი: აი, ნახეთ, მე მე-100000-ე ვარ. უჳ, რაღაცნაირად ძალიან გამიხარდა, ეს ციფრი რომ დავინახე... კარგის მაუწყებელი უნდა იყოს. ისე რამე პრიზი ხომ არ მერგება? მე ხომ 100000-ე ვარ?

მონიტორი ხელახლა ირთვება. ეკრანზე ჩინდება ჩალისფერი ძალი, რომელსაც თავზე ჩაღმა ახურავს, ჭრელი ხალათი აცვია და აქვს ულვაში.

მონიტორი: სიურპრიზი მე გახლავართ და აი, პრიზზე კი უნდა ჩამოვყალიბდეთ.

წითელკაბიანი ქალი: ეე... შენ რა, მართლა ლაპარაკობ? ჰა-ჰა-ჰა, რა მაგარია მოლაპარაკე ძალი?! ძალიან საყვარელი ცუგა ხარ... მგონი, შენც ლაპრადორი ხარ ხომ? პატარა რომ ვიყავი, მეც მყავდა ყავისფერი ლაპრადორი. ჩაკი ერქვა და წინდებს მიჭამდა ხოლმე.

მონიტორი: მიხარია, რომ გაგამხიარულეთ. თუ გნებავთ, შემიძლია, დავიყეფო კიდეც.

წითელკაბიანი ქალი: არაა საჭირო. შენ ის გირჩევნია, ეს შლაგბაუმი გახსნა და დროზე გამატარო, თორემ შესვედრაზე დამაგვიანდება და მერქ, ვაი, შენი ტყავის ბრალი. როგორც გითხარი, ძალიან სერიოზულ შესვედრაზე მეჩქარება, სადაც ასევე ძალიან სერიოზულ ადამიანს უნდა შევხვდე. აი, უსერიოზულეს ადამიანს...

მონიტორი: ვის უნდა შევხვდეთ?

წითელკაბიანი ქალი: ხომ გითხარი, სამწუხაროდ, ახლა ამას ვერ გეტყვი. არ შემიძლია. თუმცა ძალიან დიდი კაცია. აი, უძალიანესი... თქვენიანი რა, და თან ძალიან დიდი თანამდებობა უკავია.

გრძელიშვილი მედეა კაბაზე „პრარეზს“ წევს, თითს ნერწყით ისველებს და კოლგოტზე წასულ თვალს აყოლებს.

მონიტორი: უი, თვალი წაგსვლიათ.

წითელკაბიანი ქალი: ჯანდაბა... ეს როდისლა მომივიდა? ოოო... ისედაც დაწყვეტაზე მქონდა ნერვები და ახლა ეს მინდოდა? დროზე გააღეთ, რა ბოლოს და ბოლოს ეს დედამოტყნული შლაგბაუმი...

მონიტორი: ისე, არ გაინტერესებთ, პრიზი რა არის?

წითელკაბიანი ქალი: პრიზი მართლა არის? აუუუ, ეგრეც ვიცოდი, რომ დღეს იღბლიანი დღე მექნებოდა.

მონიტორი: რა თქმა უნდა, არის. აბა, ისე როგორ იქნება, რომ თქვენ მე-100000-ე იყოთ და პრიზი არ გერგოთ?

წითელკაბიანი ქალი: და რა პრიზია? მოგზაურობა? მანქანა? ბინა? თუ ფული?

მონიტორი: დიახ, თქვენ სწორად მიხვდით, ეს მოგზაურობაა.

წითელკაბიანი ქალი: ვაუ... რა მაგარია და სად?

მონიტორი: თქვენ მოიგეთ მოგზაურობა ჯოჯოხეთში!

წითელკაბიანი ქალი: ხუმრობ?

მონიტორი: რომ ვეუმრობდე, კუდს გავაქიცინებდი და ხედავთ ახლა სადმე ჩემს კუდს? თუმცა, ჸო, ამ ხალათის გადამკიდე, ვერც ვერაფერს დაინახავთ.

წითელკაბიანი ქალი: ეგ რა პრიზია, ჯოჯოხეთში მოგზაურობა?

მონიტორი: მერწმუნეთ, არაჩვეულებრივი პრიზია. თქვენ დღესვე გაემგზავრებით ჯოჯოხეთში.

გრძელიშვილი მედეა ანერვიულდება და სხეულის ქავილი ეწყება. ისტერიკულად იფხანს სხეულის სხვადასხვა ნაწილებს და ლამისაა კაბა შემოიხიოს.

წითელკაბიანი ქალი: მე ახლა მზგავი მოგზაურობისთვის მზად არ ვარ. თან არც შესაფერისად მაცვია და, სიმართლე გითხრა, არც სურვილი მაქვს. თანაც მე ხომ შეხ-

ვედრაზე მეჩქარება? ძალიან მნიშვნელოვან შეხვედრაზე. სულ დიდ და ძალიან გავლენიან ადამიანთან.

მონიტორი: იმ კაცს შენაირი საყვარლები ოხრად ჰყავს. ვედრო მანეთადაც... სწორედ იმან გვირჩია, რომ შენ სამოგზაუროდ ჯოჯოხეთში გაგამგზავროთ. ეტყობა, თავი მართლაც ძალიან მოაბეზრე შენი უაზრო ტლიკინით. თან, აი, ძალიან...

წითელკაბიანი ქალი: აქ რაღაც შეცდომაა. დიმიტრის მე ვუყვარვარ... დიმიტრი ძალიან გავლენიანია... მე დიმიტრის საყვარელი კი არა, შეყვარებული ვარ... კი, დიმიტრი ჩემი საქმროა... ჩემი მომავალი ქმარია... ჩემი მომავალია...

მონიტორი: მოკლედ, ან ჯოჯოხეთში მიემგზავრები, ან დამშრალი მტკვრის ფსკერზე. არჩევანი შენზეა და რაც შეეხება შენს მომავალს, გირჩევ, ნუ დაელოდები... იცოდე, შენი მომავალი ახლაა.

ულვაშიანი ძალი იწყებს ყეფას, ღრენას, წესუტუნს და ბოლოს კი – სიცილს. ულვაშიანი ძალი ადამიანივით იცინის, იგუდება. მისი სახება მალევე უჩინარდება და ეკრანზე ისევ წამმზომი და წარწერა – „მოსაფიქრებელი დრო“ – ჩნდება. გრძნეულიშვილი მედეა ფეხსაცმელს იხდის და მონიტორს ესვრის. ხმამალლა იგინება, ეკრანს აფურთხებს, ტანზე კაბას იხევს და სცენაზე საცვლების ამარა რჩება.

წითელკაბიანი ქალი: მე თქვენ ყველას ჯოჯოხეთში გაგისტუმრებთ. აპა, დამაცადეთ... მე თქვენ გიჩვენებთ სეირს... ეგ როგორ გაბედეთ, რომ დიმიტრის ჩირქი წასცხეთ. ეგ რამ გათქმევინათ, დიმიტრის შენი მოშორება უნდა და დიმიტრის ალარ უყვარხარო. თქვენ... თქვენ ყველანი გარეწრები ხართ და ამისთვის აუცილებლად დაისჯებით.

მონიტორზე წამზომი წაადრევად ჩერდება. გრძნეულიშვილ მედეას შიში იპყრობს. კაბის წარჩენებს იღებს და სხეულზე იფარებს. ეკრანზე ისევ ულვაშიანი ძალი ჩნდება, მედეას ენაგადმოგდებული უმზერს და მგელივით ყმუის.

მონიტორი: ცხოველთან თუ წოლილსარ, მედეა?

წითელკაბიანი ქალი: რას მეკითხები?

მონიტორი: გთავაზოპ...

წითელკაბიანი ქალი: რას მთავაზოპ? ცხოველთან დაწოლას?

მონიტორი: მე ნუ მიყურებ ეგეთი თვალებით, მე ძალი ვარ და საერთოდ არ მაინტერესებს ადამიანებთან სექსი. აი, პატარა, კოხტა პუდელი რომ იყო, მაშინ დავფიქრდებოდი და ისე, შენთან, ფუუუ... არ არსებობს, შანსი არაა.

წითელკაბიანი ქალი: დიმიტრის უნდა შემახვედროთ აუცილებლად. ახლავე დაურეკეთ და უთხარით, რომ აქ ვარ და ველოდები.

მონიტორი: და შენ თვითონ რატომ არ ურეკავ? გერიდება?

გრძნეულიშვილი მედეა თავს დაბლა ხრის და წამით დუმდება.

წითელკაბიანი ქალი: მე დიმიტრის ტელეფონის ნომერი არა მაქვს. ყოველთვის ის მირეკავს ხოლმე დაფარული ნომრიდან და შეხვედრას მითქვამს. ხომ გესმის, ეს ყველაფერი მისი სამსახურის ბრალია. მისი თანამდებობიდან გამომდინარე სხვანაირად ვერ იზამს, ვერ იქნება...

მონიტორი: მედეა, მერწმუნე, წადი ჯოჯოხეთში და თვალი მოავლე იქაურობას. იქნებ, კიდეც მოგეწონოს. ეს ხომ მხოლოდ მოგზაურობაა და არა საცხოვრებლად გადასვლა?! უბრალოდ, ნახე, შენი რა მიდის?! იქნებ, მოგეწონოს კიდეც. სხვა არჩევანი მაინც არა გაქცს და რაც არ უნდა იხტუნაო, ანი ვეღარაფერს შეცვლი. მე თუ მკითხავ, შენი ადგილი სწორედაც რომ ჯოჯოხეთშია, თუმცა, ამას მე არ ვწყვეტ და, შესაბამისად, ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია. ისე, იქნებ, გაგიმართლოს და უკანაც დაბრუნდე. ასეთებიც მომხდარა. მართლა...

წითელკაბიანი ქალი: ისევ მატყუებ ხომ? აპა, მხოლოდ მოგზაურობაა? და მერე

მეუბნები, რომ იქნებ გაგიმართლოს და კიდეც მობრუნდეო? ეგ როგორლა? ორივე ერთად როგორ გამოვა?

მონიტორი: ჰო, ჯოჯოხეთში მოგზაურობა გასეირნება სულაც არაა. ეს დაწესთანაც ნათლად ჩანს. ისე, დანტეს „დვთაებრივი კომედია“ თუ გაქვს ნაკითხული? გამოგადგებოდა, ფაქტობრივად, იქაურობის გზამკვლევია, რა.

წითელყაბიანი ქალი: გთხოვ, ახლავე დამაკავშირო დიმიტრისთან. მოვითხოვ დიმიტრისთან დაკავშირებას...

მონიტორი: ოჳ, ნუ იცი ხოლმე ასე ჩახვევა, რა. არ სცალია ახლა დიმიტრის შენთვის. და საერთოდ, დაივიწყე ეგ კაცი. შენც ხომ იცი, რომ ეგ ოჯახს არ დაანგრევს და ცოლშვილსაც შენი გულისთვის არასდროს მიატოვებს. შენ ხომ მხოლოდ მისი გასართობი ხარ?! ათასიდან ერთ-ერთი გასართობი...

წითელყაბიანი ქალი: არ მჯერა, შენი ერთი სიტყვისაც არ მჯერა. დიმიტრის მხოლოდ მე უუყვარვარ...

მონიტორი: საკმარისზე მეტი გელოდე და ვისმინე შენი წუნუნი. აბა, რა გადაწყვიტე, სად მიდისარ? ჯოჯოხეთში სამოგზაუროდ, თუ მტკურმი საცურაოდ?

წითელყაბიანი ქალი: და რატომ უნდა ავირჩიო ან ერთი და ან მეორე? დაგიშავე რამე? სხვებს თუ მიეცი ხიდზე გადასვლის საშუალება და არჩევანი, მე რატომ არ მიქმნი იმავე პირობებს? მეც მინდა, მქონდეს არჩევანისა და იქით ნაპირზე მოხვედრის შანსი. ეს ხომ უსამართლობა და სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციაა?

მონიტორი: აუუუ, ახლა ოღონდ ეს გენდერული რაღაცები არ დაიწყო და თუ გინდა... გრძნეულიშვილი მედეა: და რა თუ მინდა?

მონიტორი: ისე, სადღაც მართალიც ხარ. შენთვის არჩევანისა და სულის საბოლოოდ წაწყმედის საშუალება არავის მოუცია. მართალია, ისედაც ფსკერზე ხარ და შენ საბოლოო ზნედაცემას ბევრი არც არაფერი აკლა, თუმცა რაღაც სახის არჩევანს მაინც იმ-სახურებ. თან იქნებ, ეს სულაც არაა შენი სულიერი დაცემის ფსკერი და უფრო მეტად დამდაბლებაც შეგიძლია?

გრძნეულიშვილი მედეა მონიტორს ქვემოდან განრისხებული ახედავს და ხმაც გაებზარება.

წითელყაბიანი ქალი: შენ საქმე თქვი, ცოდვებს სხვაგანაც მოკითხავენ.

მონიტორი: დიმიტრის შვილები უნდა დახოცო.

წითელყაბიანი ქალი: რააა?

მონიტორი: ჰო, რაც გაიგე, გრძნეულო მედეა. შენ უნდა მოკლა შვილები. თუნდაც სხვისი შვილები... და განა, ეს არაა ყველა გრძნეული მედეას ხვედრი? და განა ყველა გრძნეულმა მედეამ არ უნდა დახოცოს შვილები?

წითელყაბიანი ქალი: დიმიტრის შვილები?

მონიტორი: დიახ. შენ მხოლოდ იმ შემთხვევაში გადახვალ იქით ნაპირზე, თუ შენი საყვარლის შვილებს დახოცავ.

წითელყაბიანი ქალი: და მე რომ დიმიტრი მიყვარს? და ისინი რომ მისი შვილები არიან?

მონიტორი: სწორედ მაგიტომაც გთავაზობთ მისი შვილების მოკვლას. შენ უნდა უუყურო და შეიგრძნო, როგორ დაიტანჯება ის, როგორ დაიტანჯები შენ და როგორ დაიტანჯება თქვენი სიყვარული.

ულვაშიანი ძალი უკანა თათით დრუნჩს მოიფხანს და ყურებს გააპარტყუნებს. ჩალმა ჩამოვარდება და ხალათიც გაძვრება. დარჩება მხოლოდ ულვაში. ახლა ის მხოლოდ ულვაშიანი ძალია. გრძნეულიშვილი მედეა ტანსაცმლის ნარჩენებს ისვრის, ფეხსაცმელს იცვამს და თავს ამაყად ზევით სწევს.

წითელყაბიანი ქალი: გააღ შლაგბაუმი.

მონიტორი: აი, ყოჩალ... აი, მაღადეც... გაუღეთ შლაგბაუმი...

შლაგბაუმი იღება. ქუსლებზე შემდგარი და საცვლებში გამოწყობილი გრძნეულიშვილი მედეა მის ქვეშ პოდიუმზე გამოსული მოდელივით გადის. რამდენიმე ნაბიჯს დგამს, ჩერდება და ისე, რომ არავის შეხსენებას არ ელის, უჩინარ ხატს ფეხს ადგამს. სახე ზიზღისგან ემანჭება. მკვეთრად სწორდება და ამაყი სახით, თავაწეული ტოვებს სცენას. ბნელდება. მესამე სურათის დასასრული.

### მეოთხე სურათი:

სცენა მთლიანად ნათდება. მონიტორის წინ დგას 60 წელს მიტანებული ქალი, რომელსაც ორი უშველებელი ჭრელი ჩანთიდან გასაყიდად გამზადებული საქონელი ამოულაგბია და აფასოებს.

გარემოვაჭრე: აბა, ესენი ნახე, შვილო, იქნებ, ესენი მოგეწონოს. დახე, როგორი თბილი წინდებია. ამაში სულ არ შეგცივდება. ხომ იცი, დედი, სიცივემ ძვალში გაჯდომა ქვემოდან იცის. ამიტომაც ფეხი სულ თბილად უნდა გქონდეს.

მონიტორზე ორი უშველებელი მწვანე თვალია გამოსახული. თვალები პერიოდულად ხამსამებს. მიახლოებით, აი, ისეთი თვალებია, სამარშრუტო ტაქსის მძლოლებს რომ აქვთ ხოლმე სადმე, გამოსაჩერ ადგილზე დაყრული. ოლონდაც ისინი ძირითადად ქალის თვალებს ეტრფიან და აქ კი გადაჭრით ვერ იტყვი, მზერა ვის ეკუთვნის. ამ თვალებს ხმაც ისეთი აქვს, უცნაური, თითქოს რობოტი საუბრობდეს.

მონიტორი: არა, დედი, რად მინდა თბილი წინდები ამ სიცებში?

გარემოვაჭრე: აბა, მაშინ კარგი მაიკები მაქვს, სულ თეთრები. მკლავითაც მაქვს და უმკლავოთაც. შენ როგორს ხმარობ? პერანგის ქვეშ როგორი გირჩევნია, მკლავიანი თუ უმკლავო?

მონიტორი: პერანგის ქვეშ მაისურს სულაც არ ვხმარობ.

გარემოვაჭრე: აბა, მაშინ კარგი ბამბაზის საცვლები მაქვს. რომელი გირჩევნია -ტოტებით თუ მის გარეშე? ისე, ქალისაცა მაქვს და კაცისაც. შენ მხოლოდ ის მითხარი, შვილო, შენ რომელი გირჩევნია? არაფრის მოგერილოს. ასე, თვალებით და ხმით მე სულ ვერ ვხვდები, ვინა ხარ, თუმცა ვინც არ უნდა იყო, ძალიან კარგი ვიღაცა კი ჩანხარ.

მონიტორი: ეგ საიდანლა იცი, დედი, კარგი ვარ თუ ცუდი?

გარემოვაჭრე: ცუდი რად უნდა იყო, შვილო? კარგი იქნები, აბა, სხვანაირად როგორ იქნება. ღმერთისგან მოვლენილი და დედ-მამისგან გაზრდილი ცუდი რად უნდა იყოს? გულითა ვგრძნობ, შენ კარგობასაც და შენ კეთილობასაც...

მონიტორი: უნდა გაგაწბილო, დედი. არც ისეთი კარგი ვარ, როგორიც შენ და მაგ შენ ღმერთს გგონიათ.

გარემოვაჭრე: იქნებ, სპორტული შარვალი გერჩივნოს. აი, ნახე, ზოლინიცა მაქვს და უზოლოც. აგერ ნიშანიცა აქვს. მე მაგეებში კარგად ვერ ვერკვევი, თუმცა აი, ამ ნიშანიანს უფრო მეტად ბიჭები ინონებენ და აი, ამ ყვავილიანს კი გოგოები. ისე, ესენი ფერებშიცა მაქვს, თან სულ ნაირ-ნაირები. ერთი ეგაა, რომ მუქებში ცოტა ზომები მიჭირს, გუშინ სულ დამეყიდა და ახლისთვის კიდევ ბაზარში წასვლა ვერ მოვასწარი. ფერადები კიდევ სულ ყველა ზომა მაქვს. შენ რა ზომას ხმარობ?

მონიტორი: არ მომწონს, დედი, ეგ სპორტული შარვლები.

გარემოვაჭრე: არ მოგწონს და ნუ მოგწონს. განა, გაძალებს ვინმე? შენ ის მითხარი, რა მოგწონს და მეც იმას გაჩვენებ. აქ ახლა ყველაფერი კი არ ამომილაგებია, ზოგი რამე ისევ ჩანთებში მიღევს. ძალიან მღლის ასე ყველაფრის ამოლაგება და მერე უკან ჩალაგება. მეც უფრო იმას ამოვილებ ხოლმე, რაც მეტად სჭირდებათ, მოსწონთ და

ითხოვენ. ისე კი სულ, სულ ყველაფერი მაქვს. გინდა ჯინსის შარვლები გაჩვენო? აი, ეგეთი, ჩიტივით მოქარგული ჯიბებით.

მონიტორი: არა, არა, არ მინდა ჯინსები. შენ ის მითხარი, იქით ნაპირზე რა გინდა?

გარემოვაჭრე ქალი ყურთან ხელს მიიტანს, თითქოს უჭირდეს სიტყვების გარჩევა. თვალები შეკითხვას უმეორებს. რობოტის ყინულივით ცივი ხმა და წყვეტილი ფრაზები მართლაც უსიამოვნოდ ისმის.

გარემოვაჭრე: იქითა, შეილო? იქით დახმარების მისაღებად მივდივარ. ქალი ისე დავბერდი, რომ იქით ნაპირზე ფეხი ჩემ დღეში არ დამიდგამს. ახლა კიდევ ბაზარში ერთი ქალია, გალია ჰეჭვა, იმან მითხარა, რომ ქვრივ-ობლებსა და უპოვართ სახელმწიფო რაღაც დახმარებას აძლევსო. სახლმმართველობაში უნდა მიხვიდე, განცხადება დაწერო და დახმარებასაც მოგცემენო. განა მანყენს ახლა ეს დახმარება? ისევ ჩემი ობლების-თვის, შვილიშვილებისთვის მინდა, თორებ ჩემი გულისთვის არავის შევაწუხებდი. შენა და ერთი აქეთ მომხედე, ტრიკოტაშიცა მაქვს სულ სხვადასხვა და შენ რომელი გესი-ამოვნება, ზედები თუ ქვედები? ახლა როგორი ტანისა ხარ, მე მაგასაც ვერა ვხედავ, თორებ პირდაპირ გეტყოდი, რა მოგიხდებოდა და დაგხატავდა.

მონიტორი: დედი, არაფერი არ მინდა. ხომ ხედავ, მარტო თვალები ვარ და აბა, ეგ შენი ტრიკოტაში რა თავში უნდა ვიხალო?

გარემოვაჭრე: ისე, კარგი პერანგებიცა მაქვს. აი, ისეთი, ახალგაზრდებს რომ მოსწონთ. თან იცი, როგორებია, აი, გოგოებიცა და ბიჭებიცა, ორთავენი რომ ყიდულობენ და იცვამენ. მგონია, რომ შენც მოგვეწონება. შენ ის მითხარი, ლურჯ ფერში გირჩევნია თუ წითელში? დამაცა, ანი, ორივეს გაჩვენებ.

გარემოვაჭრე ქალი თითქმის წელამდე ძვრება ჩანთაში და ძირიდან პარკებში შეფუ-თულ პერანგებს იღებს.

მონიტორი: ნუ წუხდები, დედი, ხომ გითხარი, არაფერი არ მჭირდება-მეთქი.

გარემოვაჭრე: კარგი რა, შვილო, რად გინდა, რომ მაწყენინო. რამე მაინც აიღე, სიფთა ხარ და არ მინდა, რომ პირველივე კლიენტი დავკარგო. დაგიკლებ ყველაფერზე, რასაც კი ხელს დაადებ, ყველაფერზე დაგიკლებ. გეხვეწები, ჩემს ობლებთან ხელცარიელს ნუ გამიშვებ. ჩემ გარდა მაგათ მარჩენალი სხვა ალარავინა ჰყავთ და აბა, ახლა ხელცარიელი რომ მივადგე, უხერხული არ იქნება? ეჲჲ... ჩემი ბიჭი, ნუგო, ცოცხალი რომ იყოს, არაფერი გაუჭირდებოდათ, მაგრამ ალარაა ამქვეყნად და ვეღარ პატრონობს თავის ბარტყებს. ჯარში მსახურობდა, სამხედრო იყო და სწავლებაზე რაღაც აუფეთქდათ და იქვე გათავდა, ჩემი ნუგზარი. მერე იყო გამოძიება და მთელი ამბავი. თავიდან კარგადაც დაგვეხმარნენ. ფულიც მოგვცეს, პროდუქტიც, მაგრამ მერე გაქრნენ. ასე თქვეს, გამოძიებამ დაადგინა, დაუდევრობა მოხდა და აფეთქებაც მაგ დაუდევრობამ გამოიწვიაო. მე კიდევ მგონია, რომ ჩემს ნუგოს დაუდევრობა არ მოსვლია. იმასთან ერთად კიდევ ერთი, სხვა ბიჭიც მსახურობდა. ისიც ჩვენი რაონიდან იყო და ეგეც მანდ გარდაიცვალა. ჰოდა, ღმერთო შემინდვე და მგონია, რომ ამ ბიჭის ბრალი იყო ეგ ყველაფერი. მისი დაუდევრობის ბრალი. ცოტა შარიანი ბიჭიც იყო და ეგ მაფიქრებინებს მაგას. თან დალევაც უყვარდა და ვინძლო პახმლიაზეც იყო და რამე მართლაც აერია დაუდევრობითა იმ ჩემი ცოდვით საესეს.

მონიტორი: დედი, მაგ ჩანთებს იქით ვერ გადაიტან.

გარემოვაჭრე ქალი თან საუბრობს და თან საქონელს გაუჩერებლად ერთი ჩანთიდან მეორეში აწყობს. მერე ისევ პირიქით.

გარემოვაჭრე: ჰოდა, რას გეუბნებოდი, შვილო, და ეს ჩემი გაუბედურებული რძალი კიდევ, ორმოცი რომ გადავიხადეთ, თურქეთში წავიდა სამუშაოდ, ბავშვებს უნდა მივხედო და მომავალი შევუქმნაო. ცოტა ფულს დავაგროვებ, ჩამოვალ, სადმე ფართს

ვიქირავებ და პატარა მაღაზიასაც გავხსნიო. წავიდა და წავიდა. იმ დღის მერე მაგის ასავალ-დასავალი აღარაფერი გაგვიგია. დავრჩი ასე მარტო ორ პატარასთან ერთად და აღარავინ იყო დედამინის ზურგზე ჩვენი მომხედავი და პატრონი. როდემდე უნდა ვმჯდარიყავი სახლში? მეც მოვკიდე ხელი ამ ჩანთებს, გავყიდე სახლში თუ კი რამ ძვირფასი გვერდა და გავედი ბაზარში. ვიყიდე საქონელი და მის მერე დავდივარ ასე კარდაკარ, ქუჩა-ქუჩა, დამაქეს თან ეს ჩემი ავლა-დიდება და ვვაჭრობ. ხან კარგად მიღის საქმე და ხანაც კი სახლში ხელცარიელი ვბრუნდები. უხარიათ ბავშვებს რამეს თუ მივუტან. თუ ცუდი დღე გამოდგა და ხელცარიელი მივედი, არც მაგას იმჩნევენ. კარგები არიან, ძალიან კარგები. მოული დღე საბავშვო ბაღში სხედან და მელოდებიან. ისე, კაცო, მართლა, სულ დამავიწყდა და ბავშვისთვის ხომ არ გინდა რამე? რეიტუზებიცა მაქეს და პატარა ჩითის კაბებიც. თუ ბიჭი გყავს, მაშინ ლამაზი შალის ჯემპრი წაულე. სულ ნახატებში და წარწერებშია.

მონიტორი: გესმის, დედი? გაიგე, რაც გითხარი? მაგ ჩანთებს იქით ვერ გადაიტან-მეთქი.

გარემოვაჭრე: რათა, შვილო? რად ვერ გადავიტან? აკრძალულია?

გარემოვაჭრე ქალს შეეშინდება და ჩანთებს ხელს დააფარებს.

მონიტორი: ჰო, აკრძალულია.

გარემოვაჭრე: და ვინ აკრძალა?

მონიტორზე გამოსახული თვალები დაპატარავდება და დაწვრილდება.

გარემოვაჭრე: მაშინ აქ დაგიტოვებ და უკან რომ გამოვივლი, მერე წავიღებ.

მონიტორი: ვერა, დედი, არ გამოვა. ჩანთებიც ჩვენთან დარჩება და საქონელიც.

გარემოვაჭრე: რას მელაპარაკები, შვილო, რაც მაგ ჩანთებში დევს და აწყვია, ეგაა ჩვენი მთელი ავლადიდებაცა და ქონებაც. მაგით გვიდგას პირში სული და მაგით ვარსებობთ. ეს რომ თქვენ დაგიტოვოთ, მერე ჩემ ობლებს რა ვაჭარდო?

მონიტორი: მოდი, ჰირდაპირ გეტყვი, დედი. გეტყობა, ჰირველად ხარ აქეთ. აქედან უკან ველარ ბრუნდებიან და ყველაფერ ძვირფასაც აქ ტოვებენ. და თუ მაინც გაჯი-უტდები, მაშინ თავს მოგაჭრიან და მტკვარში გადაგაგდებენ. ასეთი წესებია ხიდზე და ნეტავ, კი აქ არ ამოგედგა ფეხი.

გარემოვაჭრე: და რათა, შვილო? რად არის ასეთი ულმერთო წესები?

მონიტორი: ხომ გითხარი, დედი, მე კარგი სულაც არა ვარ-მეთქი.

გარემოვაჭრე: რას ლაპარაკობ, შვილო, მღუპავ?

მონიტორი: კი, გღუპავ. მოკლედ, ან ჩანთებს ტოვებ აქ, ან სიცოცხლეს.

თვალები ქრება და მონიტორიც წუთით შავდება. ჩნდება წარწერა – „მოსაფიქრებელი დრო“ და წამმზომიც ირთვება. გარემოვაჭრე ქალი მოწყვეტით ეშვება და ჩანთებზე ჯდება. თავს დაბლა ხრის და მძიმედ სუნთქვას. თვალებზე ჩამოცურებულ კაშნეს ის-წინობებს და გულის ჯიბიდან ლოცვანს იღებს. შლის, ჩუმად იწყებს კითხვას და მალი-მალ ჰირვერს იწერს. მონიტორი წრიპინებს და წამმზომიც ჩერდება. ეკრანზე მსხვილი შრიფტით 100001 ისახება. გარემოვაჭრე ქალი შილეტის ჯიბიდან პატარა ფურცელს იღებს, დასცექრის, ისევ ეკრანს აკვირდება და ხმამალლა იძახის, ჩემი რიგიც მოსულაო.

მონიტორი: აბა, რა მოიფიქრე, დედი. აქ დარჩები თუ გადახვალ ხიდზე?

გარემოვაჭრე: გადავალ, შვილო. ჩემი აქ დარჩენა არ გამოვა, ის ბავშვები უპატ-რონიდ დამირჩებიან და მიმხედავი აღარავინ ეყოლებათ. ოღონდ ერთსა გთხოვ, ერთი ჩანთა მაინც გამატანე. ამ მეორეს კიდევ დაგიტოვებ და აქეთ ფულსაც კი გადაგიხდი, ოღონდაც სულ ისე, ცარიელ-ტარიელს წუ დამტოვებ.

გარემოვაჭრე ქალი ქვედაბოლოს შიდა ჯიბიდან პარკში გახვეულ პატარა შეკვრას აძვრენს, ხსნის, ფულს იღებს და მონიტორისკენ იშვერს.

მონიტორი: ფული აქ არაფერ შუაშია.

გარემოვაჭრე: მეტი მართლა არა მაქვს. სულ ესაა ჩემი ნავაჭრიცა და მოგებაც. შვილის სულს გეფიცები, თუ ამაზე მეტი კაპიკი მებადოს.

მონიტორი: ხომ გითხარი, დედი, ფული აქ არაფერ შუაშია-მეთქი.

გარემოვაჭრე: მაშინ ამ ერთ ჩანთას წავიღებ, ხომ?

მონიტორი: ვერ წაიღებ.

გარემოვაჭრე ქალი მხრებს უმწეოდ ჩამოუშვებს და ჩანთებს ხელს უშვებს.

გარემოვაჭრე: რა გაეწყობა. თუ ამბობ, რომ სხვანაირად არ გამოვა, ესე იგი, არ გამოვა. აბა, ტყუილს რად მეტყველები და ქვრივ-ობლების ცოდვას რად დაიდებ? დმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს ეს ჩემიცა და სხვა დანარჩენიც. ახლა შეიძლება, იქით რომ გადავიდე?

მონიტორი: ახლა შეიძლება.

შლაგბაუმი იღება და გარემოვაჭრე ქალი მის ქვეშ ძვრება. რამდენიმე ნაბიჯს დგამს, ტრიალდება და ჯიბიდან რიგის ნომერს იღებს.

გარემოვაჭრე: ეს კიდევ დამჭირება, შვილო?

მონიტორი: არა, დედი, ეგ ალარ დაგჭირდება. ოლონდ მანდ რომ ხატი დევს, მაგაზე ფეხის დადგმა არ დაგავიწყდეს, თორემ უკან მოგაბრუნებენ და რიგშიც თავიდან მოგიწევს ჩადგომა.

გარემოვაჭრე: რა უნდა ვქნა, შვილო?

მონიტორი: მანდ, დაბლა რომ ხატი დევს, ფეხი უნდა დააბიჯო-მეთქი.

გარემოვაჭრე: რასა? ხატსა?

მონიტორი: დიახ.

გარემოვაჭრე ქალი იმ ადგილთან მიდის, სადაც ხატი დევს. მუხლებზე ეცემა, ხატს ემთხვევა, იღებს და გულში იხუტებს. ხატი საშუალოზე დიდია, ოლონდ ზედ ვისი გამოსახულებაა, ალარ ჩანს. ასი ათასი ფეხის დადგმისგან სულ გაცრეცილი და ძლიერ დაზიანებულია.

გარემოვაჭრე: ეს ვისი ხატია, შვილო?

მონიტორი: წარმოდგენა არა მაქვს, დედი.

გარემოვაჭრე: მე ამას ფეხს ვერ დავადგამ, შვილო.

მონიტორი: მაშინ თავს მოგაჭრიან, დედი.

გარემოვაჭრე: კარგი, შვილო, მაშინ ჩემს ობლებს მიმიხედე და ნურაფერს გაუჭირვებ.

მონიტორზე თვალები ჯერ წითლდება და მერე კი ცეცხლი ედება. როპოტის გამყინავი ხმა ახლა უკვე ნაწყვეტ-ნაწყვეტ წივის.

მონიტორი: მაშ, არ დაადგამ ფეხს?

გარემოვაჭრე: ვერა, შვილო.

სცენაზე ბნელდება. ისმის ხმა, ფოლადი როგორ კვეთს ჰაერს. ისმის გმინვა და რაღაც მძიმედ ვარდება. სცენა ნათდება. მონიტორზე ციმციმებს ციფრი 100001. მის წინ აწყვია ორი უშველებელი ჩანთა და ხატი გამოსახულების გარეშე.

დასასრული.

## ირვინ შოუ

### ღმერთი აქ იყო, მაგრამ ადრე დაგვთოვა

— თავი მოისაწყლე, საყვარელო, — გაახ-  
სენდა მას, ზარს რომ რეკავდა. ასე უთხრა  
ბერტმა ტელეფონში, როცა ლონდონიდან  
შეეხმიანა. „საცოდავებზე გული უკვდე-  
ბათ. თვითმკვლელობაზე გადაუკარი, მაგ-  
რამ ბევრი არ მოგივიდეს. თუ გინდა, მეც  
მახსენე. ყველამ იცის, როგორი უცნაური  
ვარ, ჟენევაშიც იციან, ამიტომ შენც თა-  
ნაგიგრძნობენ. დარწმუნებული ვარ, ყვე-  
ლაფერი კარგად იქნება. ჩემმა სამმა მე-  
გობარმა გამოიარა ეს ყველაფერი და მას  
მერე არიან ასე, ბედნიერად“.

ბერტის ლექსიკა მდიდარი იყო, მაგრამ  
მან კარგად იცოდა, რა პრობლემები ჰქონ-  
და თხუთმეტ ქვეყანაში — კანონგარეშე გა-  
მოცხადებულებთან მეგობრობდა, რამდე-  
ნიმე დიდ ქალაქში პოლიციაც დაინტერეს-  
და მისით. მან ყველას სახელი და მისამარ-  
თი იცოდა და ისიც უწყოდა, თუ როგორ  
გამოეყნებინა ისინი. ბერტზე ფიქრისას  
და იმაზე, თუ როგორი მონდომებული იყო  
იგი მეგობრის დასახმარებლად, ქალმა გა-  
იღიმა.

დაკეტილი კარის წინ, ბნელ დერეფან-  
ში, ფეხის ხმა მოესმა. კარი გაიღო. შიგნით  
შევიდა.

— რამდენი წლის ხართ, ქალბატონო

მაკლაინ?

— ოცდათექვსმეტის, — უპასუხა როზ-  
მარიმ.

— ამერიკელი ხართ, რა თქმა უნდა!

— დიახ.

— სად ცხოვრობთ?

— ნიუ იორკში, — გადაწყვეტილი ჰქონ-  
და, არ გაემხილა, ფრანგული რომ იცოდა.  
ასეთ შემთხვევაში უფრო უსუსური გამოჩ-  
ნდებოდა, როგორც უცხო ქვეყანაში და-  
კარგული, უბედური ქალი.

— დაქორწინებული ბრძანდებით?

— განვექორწინდი, ხუთი წლის წინ.

— შვილები?

— ქალიშვილი მყავს, თერთმეტი წლისაა.

— თქვენი ამჟამინდელი მდგომარეობა?..

მერამდენე კვირაში ხართ?

— მეექვსეში.

— დარწმუნებულო ხართ? — მამაკაცი  
ინგლისურად სუფთად ლაპარაკობდა. მას  
პენსილვანიაში ჰქონდა განათლება მიღე-  
ბული. დაბალი, საკმაოდ ახალგაზრდა კა-  
ცი იყო, რომელსაც კოხტად დავარცხნილი  
ყავისფერი თმა ჰქონდა და კოხტად მიღა-  
გებულ ყავისფერ კაბინეტში იმყოფებოდა.  
სახეზე ფერმკრთალი, კერამიკული სიცა-  
რიელე ეხატა, როგორც უბრალო დიზაი-

ნის სასადილო თეფშს. კაბინეტში მარტო იყო. კარიც თავად გაულო ქალს. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები რამდენიმე ენაზე ამშვენებდა მოყავისფრო, სადა კედლებს. ქუჩიდან ხმაური არ შემოდიოდა. მზიანი დღე იყო. ქალიც არ შფოთავდა.

- აბსოლუტურად.
- და თქვენი ჯანმრთელობა?
- ფიზიკურად... - შეყოყმანდა იგი. ტყუილების თქმას აზრი არ ჰქონდა. - მიმაჩინია, რომ ფიზიკურად ყველაფერი წესრიგში მაქეს.
- მამაკაცი?
- მირჩევნია, ამაზე არ ვისაუბროთ.
- ვწუხვარ, მაგრამ პასუხს დაუინებით მოვითხოვ.

გამოგონილი მიზეზები: დაქორნინებას ვაპირებდით, მაგრამ ავტოვარიაში დაიღუპა. ზვავის ქვეშ მოჰყვა. შევიტყე, რომ მას ცუდი გენეტიკა ჰქონდა: უახლოესი ნათესავი, ყველა ფსიქოპატი ჰყავდა. იგი კათოლიკე იტალიელია, თანაც დაქორნინებული და, როგორც იცით, იტალიაში განქორნინება აკრძალულია, გარდა ამისა, მე ნიუ-იორქში მინდა ცხოვრება; იგი ინდოელი იყო. დაქორნინებას შემპირდა და გაუჩინარდა; თექვსმეტი წლის ბიჭი იყო, ვაგონში ცხოვრობდა და სკოლაში სწავლობდა. აბსურდი... სრული აბსურდი...

ფსიქიატრი კი იჯდა თავის ყავისფერ კაბინეტში, მოთმინებით ელოდა. გაფაცი-ცებული იყო, როდის დაიწყებოდა ტყუილები.

- იგი დაქორნინებულია (სიმართლეს ამბობდა), - ბედნიერია ქორნინებაში. - ესეც მეტნაკლებად სიმართლე იყო. - მას ორი მცირენლოვანი ბავშვი ჰყავს, ჩემზე ბევრად ახალგაზრდაა. - სრული სიმართლე იყო.

- იცის?

- არა, - აბსურდსაც ხომ აქვს საზღვარი. უაზრო უიქენდი მთებში მამაკაცთან, რომელსაც სიცოცხლეში პირველად შეხვდი, რომელიც სულაც არ მოგწონებია და საერთოდ ალარ ისურვებდი მასთან შეხვედრას. როგორც ქალი, იგი ყოველთვის წუნია

იყო და ასეთი რამ ადრე არ გაეკეთებინა და, რასაკვირველია, არც აწი გააკეთებდა, მაგრამ ხომ არ შეიძლება საშვილიშვილოდ გადაეკიდო ათი წლით უმცროს მამაკაცს და მოაშორო ოჯახს, რომელიც პარიზის მე-16 პრესტიულ რაიონში ცხოვრობს და მერე სკოლის მოსწავლესავით იბლავლო და სლუკუნით მოჰყვე, თუ როგორ შეგაცდინეს თოვლიან ქარბუქში ორი უაზრო ღამის გამო. ისინი ორი დღით მოსწყდნენ დანარჩენ სამყაროს. მოილუშა, სიტყვა „მოსწყდნენ“ გაფიქრებისას. ვულგარული იყო, სხვა არაფერი.

დარწმუნებული არც იყო, ჰქონდა თუ არა მისი მისამართი. ახსოვდა, რომ ბოლო დილას ჩაინერა და თქვა, რომ თუკი ოდესმე ჩამოვიდოდა პარიზში... მაგრამ ძალიან ეძინებოდა და უხაროდა, რომ მამაკაცს საბოლოოდ გაისტუმრებდა ოთახიდან, თუმცა დანამდვილებით არ იცოდა, ჩაიდო თუ არა ქალალდის ფურცელი ჩანთაში, მისი სამსახურის მისამართი, როგორც მამაკაცმა უთხრა. foyer (ოჯახი – მთარგმ.) ხომ წმინდაა. ფრანგი მამაკაცები.

- არა, მან არ იცის, - მიუგო როზმარიმ.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ უნდა იცოდეს?

- რა აზრი აქვს? ორი ადამიანი იდარდებს ერთის ნაცვლად. - თუმცა ვერ წარმოედგინა, მისი მამაკაცი როგორ იდარდებდა. მხოლოდ მხრებს თუ აიჩეჩავდა. ამერიკელი ქალები ჩამოდიან ევროპაში და ვერც იაზრებენ, თუ როგორ... - იცით, ეს შემთხვევით მოხდა. სათხილამურო კურორტზე. ხომ იცით, სათხილამურო კურორტი რაცაა.

- მე არ ვდგავარ თხილამურებზე, - ამაყად უპასუხა ფსიქიატრმა. სერიოზული ექიმი იყო. ქარაფშუტობაზე დროს არ კარგავდა. იმათ რიცხვს კი არ განეკუთვნებოდა, ფეხების მომტვრევაში ფულს რომ ხარჯავენ. ქალს ფსიქიატრისადმი ზიზლის ტალღა მოაწვა. მისი ყავისფერი კოსტიუ-მიც ამაზრზენი ჩანდა.

- მთვრალი ვიყავი. - ტყუილი. - ოთა-

ხამდე მისვლაში დამეხმარა. კვლავ ტყუილი. — არ ვიცოდი, როგორ მოხდა. — ყავისფერი კოსტიუმი მოიკრუნჩა. — ძალიან უღირსად მოიქცა. — ნუთუ ყველაფერს ამას თავად ამბობდა? — ვთხოვდი, წასულიყო, მაგრამ იგი იცინოდა, ის ხომ ფრანგია. — აქ კი მგრინი გამოუვიდა თამაში. ცნობილია ფრანგების და შვეიცარიელების ორმხრივი სიძულვილი. კალვინი მადამ დე პომპადურის წინააღმდეგ. ნაპოლეონის არმით შეურაცხყოფილი უენევა. მსოფლიოში ერთი ფრანგით ნაკლები იქნება. ან ნახევრად-ფრანგით ნაკლები. — მისი დამოკიდებულებით მივხვდი, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა არ ჰქონდა. ახლა, გეგონებოდათ, პოლიციელის ჩვენებას თარგმნიდა. იმედი ჰქონდა, რომ ყავისფერმა კოსტიუმში ეს ვერ შეამზნია. სპონტანურობა მნიშვნელოვანი იყო, ძლიერი აღშფოთება კი ეშმაკობის სანიდარი, მაგრამ, მეორე მხრივ, ქალი რასაც ამბობდა, სიმართლე იყო. არა-ნაირი მიზეზი არ ჰქონდა, უან-უაქს პასუხისმგებლობა აეღო. ალბათ, ეგონა კიდეც, რომ როზმარი კვირაში სამ სხვადასხვა მამაკაცთან წვებოდა. აკი მიიპატიუა თავის ოთახში გაცნობისთანავე, თან ოცდაოთხი საათიც არ იყო გასული. Pourquoi moi, Madame? Pourquoi pas quelqu'un d'autre\*? („მე რატომ, ქალბატონო? რატომ არა ვინ-მე სხვა?“ — მთარგმ.) როზმარის შეეძლო წარმოედგინა ზრდილობიანი, უინტერესო, ვნებამოკლებული ხმა თხელ, ლამაზ, ქალის-მკვლელ სახეზე, რომელიც ჯერ ისევ მთის მზით იყო გარუჯული. უან-უაკ! თუ ამერიკელ ქალს უნდა ჰყოლოდა ფრანგი საყვარელი, სახელი მაინც არ უნდა ყოფილიყო ასეთი ფრანგული და თან ტირეთი დანერილი. ეს ხომ ასეთი ბანალურია. ახლა ისევ ზიზღი იგრძნო, ის უიქენდი რომ გაახსენდა. თანაც ეს სახელი, როზმარი! ქალები, რომელთაც როზმარი ჰქვიათ, აბორტს არ იკეთებენ. ისინი თეთრ ფატაში ქორწინდებიან, ყურადღებით უსმენენ დედამთილის მოცემულ რჩევებს და ქმრების სამსახურიდან დაბრუნებას ელოდებიან გადამწვანებულ გარეუბნებში.

— რას საქმიანობთ, ქალბატონო? — ჰკითხა ფსიქიატრმა. იგი უცნაურად წყნარად იჯდა, კერძმიკასავით ფერმერთალი ხელები წინ, მაგიდის მწვანე საშრობზე დაელაგებინა. როდესაც ქალი პირველად შემოვიდა მის ოთახში, როზმარიმ იცოდა, რომ ფსიქიატრმა უცბად გააანალიზა მისი ჩაცმულობა. მას ზედმეტად კარგად ეცვა, სიბრალული რომ გამოეწვია. უენევა ელეგანტური ქალაქი იყო. დიორის, ბალენსიაგას, შანელის კოსტიუმები ბრნყინავდნენ ბანკებისა და ქრონომეტრის საათების რეკლამების წინ.

— თქვენი ყოფილი ქმარი გიხდით ალმენტს?

— ჩვენს ქალიშვილს უხდის. მე თავად ვირჩენ თავს.

— აჲ, თქვენ მუშაობთ?! — როგორც იქნა, მის ხმას ემოცია დაეტყო: მას გაუკვირდა.

— დიახ.

— რას საქმიანობთ??

— გაყიდვებში ვარ.

— ხო? — რასაკვირველია, იგი მყიდველი იყო. ყველაფერს ყიდულობდა.

მან იცოდა, რომ ახსნა იყო საჭირო. — საქონელს ვყიდულობ უნივერსალური მაღაზიისათვის. უცხოურ ნივთებს. იტალიურ აბრეშუმს, ფრანგულ ანტიკვარიატს, ძველებურ შუშას, ინგლისურ ვერცხლს.

— გასაგებია. ბევრს მოზაურობთ, არა?

— კიდევ ერთი რამ მის წინააღმდეგ. თუ ბევრს მოგზაურობს, რაში არგია თხილამურობის დროს დაფეხმდიმება. რაღაც ერთმანეთს ვერ ეწყობა... უმოძრაოდ დალაგებული ფერმერთალი ხელები ნათქვამისადმი უნდობლობას გამოხატავდნენ.

— ევროპაში სამ-ოთხ თვეს ვატარებ წელიწადში.

— Donc, Madame, vous parlez français? (ე.ი. ქალბატონო, თქვენ საუბრობთ ფრანგულად? — მთარგმ.)

— Mal, — უპასუხა ქალმა. — Tres mal, (ცუდად, ძალიან ცუდად. მთარგმ.) — იგი შეეცადა “tres” ამერიკული აქცენტით წარმოეთქვა, რაც ასე ახალისებდა ფრანგებს.

– თქვენ საკმაოდ თავისუფალი უნდა ბრძანდებოდეთ?! – იგი უტევდა, ქალი ამას გრძინობდა.

– მეტ-ნაკლებად თავისუფალი. რომ არა ეს თავისუფლება, იგი არ იჯდებოდა უნეველი ფსიქიატრის კაპინეტში. მან სამწლიან ურთიერთობას დაუსვა წერტილი ევროპაში წამოსვლამდე. ამიტომ იყო, ევროპაში ასე დიდხანს რომ დაყოვნდა, შვებულებაც ზამთარში მოითხოვა აგვისტოს ნაცვლად, სურდა, როგორმე დალაგებულიყო. როდესაც მამაკაცმა უთხრა, რომ მზად იყო, ცოლს გაჰყორდა და დაქორწინებულიყვნენ, ქალმა გაიაზრა, რომ მასთან მოსწყინდა. აშკარა იყო, სახელი როზმარი მას არ შეეფერებოდა. მშობლები ამას ალბათ ხვდებოდნენ.

– მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ლიბერალურ ეპოქაში ვცხოვრობთ, – აუხსნა ფსიქიატრმა. – ტოლერანტული დროა.

– გარკვეულნილად ასეა, – დაუთმო ქალმა. მას სურდა წამოდგომა და ოთახიდან გაქცევა. – წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ მოვწიო?

– მაპატიეთ, თუ შეიძლება, ადრეც უნდა შემომეთავაზა თქვენთვის სიგარეტი. მე თვითონ არ ვენევი, ამიტომ ხანდახან მავიწყდება. – თხილამურებზე არ იდგა, არ ეწეოდა. ალბათ კიდევ ბევრ სხვა რამეს არ აკეთებდა. ფსიქიატრი წინ გადმოიხარა, სანთებელა გამოართვა და სიგარეტის წვერზე მიუტანა. აშკარა იყო, ქალს ხელები უკანკალებდა.

ფსიქიატრს ცხვირის ნესტოები აუმოძრავდა. ეტყობა, სიგარეტის კვამლი არ მოეწონათ ნესტოებს. – როდესაც წასული ხართ, ქალბატონო, ბავშვს ვის უტოვებთ? თქვენს ყოფილ ქმარს?

– მოსამსახურეს, მას სრული მეურვეობა აქვს მინიჭებული ჩემგან, – ამერიკანიზმი. ქალმა გაიფიქრა ის, რაც გარკვეულ ქვეცნობიერ ევროპულ ანტიპატიას იწვევდა. – ჩემი ყოფილი დენვერში ცხოვრობს. მე კი ვცდილობ, რაც შეიძლება მცირედრო დავყო მივლინებებში.

– მოსამსახურე, – თქვა მამაკაცმა. –

ანუ ფინანსური მდგომარეობა კიდევ ერთი ბავშვის გაჩენის საშუალებას გაძლევთ?

როზმარი პანიკამ მოიცვა. მუხლებს უკან მწვავე ელექტრონული ტკივილი იგრძნო, გული გადაუტრიალდა. ეს კაცი მისი მტერი იყო. არ უნდა ჰქონოდა ბერტის იმედი. რა ესმოდა მას ასეთი საქმეების?

– სამწუხაროდ, თუ ცნობილი გახდა, რომ ბავშვს ველოდები, სამსახურიდან გამაგდებენ. ჩემს ასაკში ეს საშინელებაა და... სახიფათოც. ამერიკა არც ისეთი თავისუფალი ქვეყანაა, ექიმო. ჩემი ყოფილი კი ალბათ, მოიგებს სასამართლოს. მე ულირს დედად ჩამთვლიან. ჩემი ქმარი ძალიან გაბრაზებულია ჩემზე. ერთმანეთს არ ველაპარაკებით. ჩვენ... – იგი დადუმდა. ფსიქიატრი საკუთარ უმოძრაო ხელებს ათვალიერებდა. ქალმა წარმოიდგინა, როგორ უხსნის ყველაფერს ქალიშვილს: – ფრენსის, საყვარელო, ხვალწერო საჩუქრს მოგიტანს... – ამაზე ფიქრსაც კი ვერ ვიტან, თქვა მან. – სიცოცხლეს მომისპობს. ლმერთო, როზმარის არც კი ეგონა, ასეთი ფრაზის წარმოთქმას თუ შეძლებდა. – მაგრამ იგი მაინც არ წამოვა შეხვედრაზე, არ აქვს საჭირო დოკუმენტზე ხელის მოწერის სურვილი, არა. – ახლაც კი ხშირად ვვარდები დეპრესიაში დღეების მანძილზე. გაუაზრებელი შიში მიპყრობს, რომ ვინებ ჩემს ოთაში შემოვა, როცა მძინავს. კარ-ფანჯრებს ვრაზავ, ქუჩაზე გადასვლის მეშინია, ხალხში ვქვითინებ, მე... – თავი შეაცოდე, ბერტის უთხრა. როგორც ჩანს, ეს ძნელი არ არის. – არ ვიცი, რას ვიზამ, მართლა არ ვიცი, ისეთი საშინელებაა... – მას ტირილი უნდოდა, მაგრამ არა ამ მოჭიქული სახის წინაშე.

– ვფიქრობ, ეს დროებითია, მადამ. მიმარინა, რომ მალე გაგივლით. ვფიქრობ, ეს ბავშვი არ წარმოადგენს თქვენი სიცოცხლის და ფსიქოლოგიური მდგომარეობის საშიშროებას და როგორც ეს თქვენთვის ცნობილია, შვეიცარიული კანონების მიხედვით, მე მხოლოდ ორსულობის შენუვეტის რეკომენდაციის მიცემის უფლება მაქვს.

ქალი წამოდა, სიგარეტი საფერფლეში ჩააქრო.

— მადლობას მოგახსენებთ. თქვენ გაქვთ ჩემი მისამართი. იცით, ანგარიში სადაც უნდა გამოაგზავნოთ.

ფსიქიატრიც წამოდგა, კარებამდე მია-ცილა, კარი გაუღო.

— Adieu, Madame, — და თავი დაუკრა.

გარეთ გამოსული სწრაფი ნაბიჯით ცი-ცაბო ქვაფენილს ტბისკენ დაუყვა. ვინრო ქუჩაზე ბევრი ჩანკრიალებული ანტიკვარის მაღაზია იყო, თითქოს უცნაურად გაღმო-ბარებულიყვნენ მეთვრამეტე საუკუნიდან მეოცეში. ასეთი დღისთვის ყველაფერი ძა-ლიან თვალწარმტაცი იყო. როზმარი ერთი მაღაზიის წინ შეხერდა და აღფრთოვანე-ბით შეხედა ტყავის ზედაპირიან სანერ მა-გიდას და წითელი ხის შესანიშნავ კომოდს. შვეიცარიული კანონები... მაგრამ ეს ხომ შვეიცარიაში მოხდა. უფლება არ ჰქონ-დათ, მას ასე მოქცეოდნენ. ეს არ იყო სა-მართლიანი. ამის გაფიქრებაზე გაეცინა, მიუხედავად იმისა, რომ თავს საზიზლრად გრძნობდა. მაღაზიიდან გამოსულმა კლი-ენტმა ცნობისმოყვარეობით შეხედა.

როზმარი ტბასთან ჩავიდა და შადრე-ვანს შეხედა, გედების დროშასაც გახედა, წყლიდან რომ იყო ამოშვერილი, დაინა-ხა ტურისტების გემებიც, ისევე როგორც 1900 წელს, ისინი ისევე აუჩქარებლად მოძრაობდნენ უშის, ვევეს, მონტროს მი-მართულებით კაშკაშა მზის ქვეშ.

როზმარიმ შიმშილი იგრძნო. ამ დღეებ-ში შესანიშნავი მადა ჰქონდა. საათს დახე-და. ლანჩის დრო იყო. შევიდა რესტორან-ში, რომელიც, როგორც იცოდა, ქალაქში საუკეთესო იყო და *truite au bleu*<sup>1</sup> (შემწვარი ცისფერი კალმახი (ფრანგ.) შეუკვეთა. რო-დესაც უცხოეთში ჩადიხარ, იქაური ეროვ-ნული კერძები უნდა გასინჯო. თევზთან ერთად ერთი ბოთლი თეთრი ლვინო მი-ართვეს, იმ ვენახებიდან დაბლა, ტბასთან რომ იზრდებოდა. იმოგზაურეთ ევროპა-

ში, მოუწოდებდა რეკლამა ჟურნალებიდან. დაისვენეთ შვეიცარიაში.

შუადღე ძალიან გაინელა, უსასრულო იყო.

როზმარის შეეძლო, ერთ-ერთ გემზე ასულიყო, ხოლო შემდეგ, თავის კოხტა სა-ცურაო კოსტიუმში გამოწყობილი, ბორტს იქით გადამხტარიყო, პირდაპირ ცისფერ, დაბინძურებულ ტბაში. მერე, როცა თევ-ზივით დაიჭერდნენ, წყალში გაწუნული წავიდოდა ყავისფერ ოთახში მჯდარ მა-მაკაცან, რათა კიდევ ერთხელ გაემართა სჯა-ბაასი საკუთარი გონებივი პრობლემე-ბის შესახებ.



— ბარბაროსები, — თქვა ჟან-ჟაკმა. — ბარბაროსული ქვეყანაა. საფრანგეთში კი-დევ უფრო ბარბაროსები ვართ. ისინი ის-ხდნენ ბულონის ტყის სამეფო პავილიონის ტერასაზე, რომელიც ტბას გადაჰყურებდა. ხეები ახალი აყვავებულები იყო, ღია მწვანე ფერი ედოთ, მზე გასაოცრად აცხუნებდა, იქაურიბა კი ტიტებით იყო სავსე, სეზონის პირველი მენიჩბეები დაქირავებულ ნავებს დაასრიალებდნენ ყავისფერ წყალზე, ახალ-გაზრდა ამერიკელი სურათს უღებდა თავის გოგოს, რათა სახლში დაბრუნებულს დო-კუმენტურად დაემტკიცებინა, რომ ბულო-ნის ტყეში ბრძანდებოდა. გოგონას კაშკაშა ნარინჯისფერი კაბა ეცვა, ამ სეზონის სამი მოდური ფერიდან ერთ-ერთი, იგი იცინო-და და ამერიკულ კბილებს აჩენდა.

როზმარიმ პარიზში სამი დღე დაჰყო, სანამ ჟან-ჟაკს დაურეკავდა. ფურცელზე მიჯდაპნილი სამსახურის მისამართი ჩემო-დანში იპოვა. გაარჩია უცხოური ხელნაწე-რი. გრამატიკაში ბიჭის ნამდვილად წარჩი-ნებული ნიშანი უნდა ჰქონოდა სკოლაში. მშვენიერი პატარა, ჭკვიანი ბიჭი პატარა მერხთან. ნაპოვნმა ფურცელმა კოტტად დალაგებული ოთახი გაახსენა მთის სას-ტუმროში. ხის კედლები, ღია ფანჯრები-

1. შემწვარი ცისფერი კალმახი (ფრანგ.)

დან შემოსული ფიჭვის არომატიც, სექსის მძაფრი სუნი, რომელმაც ზენრები გაუღინთა. კინალამ ისევ გადააგდო ფურცელი. ახლა უხაროდა, ასე რომ არ გააკეთა. უან-უაკი ადამიანურად მოიქცა. ფრანგივით – არა. ტელეფონში ფრთხილი ჩანდა, მაგრამ როზმარი მიხვდა, რომ მისი ზარი გაუხარდა. ლანჩიც შესთავაზა. პარიზში მისი სახელი არც თუ ისე... ანუ, ჩვეულებრივად უღერდა, პარიზში დეფისი სახელში პროტესტს არ იწვევდა.

სამი დღე პარიზში ისე გაატარა, როზმარი ნაცნობებსაც არ შემიანებია. ტელეფონის ყურმილიც ერთხელ აიღო, ბერტისთვის რომ დაერექა ლონდონში. მან თანაუგრძნო, მაგრამ ვერაფრით დაეხმარა. ათენში მიემგზავრებოდა. ამ დღეებში ყველა ათენში მიფრინავდა. შეპირდა, ტელეგრამას გამოგიგზავნი, თუ ბერძნებში რაიმე აზრი დამებადებაო. ნუ გეშინია, საყვარელო, ყველაფერი დალაგდება. ისია-მოვნე პარიზით.

როზმარიმ ოთახი აიღო სასტუმროში მარცხენა სანაპიროზე, თუმცა ჩვეულებრივ ერთსა და იგივე სასტუმროში რჩებოდა ხოლმე მონ ტაბოს ქუჩაზე, სადაც მას კარგად იცნობდნენ. ნაცნობებიდან არავის ნახვა არ უნდოდა. მარტოდ დარჩენილს ყველაფერი კარგად უნდა აენონა. ნაბიჯი პირველი, ნაბიჯი მეორე, ნაბიჯი მესამე, ნაბიჯი პირველი, ნაბიჯი მეორე, ნაბიჯი მესამე... უცებ ისეთი შერძნება დაეუფლა, თითქოს ტვინი თავისით ტრიალებდა. მიხვდა, რომ ვინმეს უნდა დალაპარაკებოდა რამეზე. მომხდარზე უან-უაკთან არაფრის თქმას არ აპირებდა. რა აზრი ჰქონდა? მაგრამ, შემდეგ, სასტუმროსთან ახლო რესტორანში ყოფნისას (მიირთმევდნენ საოჯახო კერძებს და აყოლებდნენ ერთ პოთლ Pouilly Fumé) უან-უაკი ისეთი ყურადღებით მოექცა, ისე მალე მიხვდა, რომ ქალს უსიამოვნებები ჰქონდა, იგი ისეთი კარგი შესახედავი იყო თავისი მუქ კოსტიუმში და ვინწრო ჰალსტუხში, ისეთი ცივილიზებული, რომ როზმარიმ ყველაფერი უამბო. ქალი ბევრს იცინოდა, თავის ამბავს რომ ჰყვე-

ბოდა, მამაკაციც, ყავისფერ კოსტიუმში რომ ნახა, სასაცილო პერსონაჟად დახატა. იგი თამამი იყო, ცხოვრებისული სიკეთე-ების მოყვარული და ქარაფშუტა, უან-უაკ-საც არ უკითხავს “Pouquoi moi?” („რატომ მე?“ – მთარგმ.), მაგრამ თქვა, – კარგად უნდა გავაანალიზოთ ყველაფერი და ქალი ბულონის ტყეში ნაიყვანა თავისი ჩინებული, ბრიტანული მწვანე სპორტული მანქანით მზეში ბრენდის და ყავის დასალევად (ეტყობა, სამსახურში ოთხსაათიანი შესვენება აქვთ, გაიფიქრა როზმარიმ). ტერასიდან უყურებდა ახალგაზრდა კაცებს, ტიტების გაყოლებაზე რომ უსვამდნენ ნიჩბებს და თოვლიან უიქენდს იმდენად აღარ ნანობდა. იქნებ საერთოდაც არა. გაახსენდა, გართობა რომ გადაწყვიტა და გაიტაცა უან-უაკი ახალგაზრდა ლამაზმანებისგან, რომლებიც მასთან დაწოლაზე ოცნებობდნენ. მას ახსოვდა, როგორ მოიცვა ტრიუმფის შეგრძნებამ, როცა ეს შეძლო, როდესაც უან-უაკმა მას მიანიჭა უპირატესობა, მერყევ ახალბედა მოთხილამურეს, შუა ასაკის ზღურბლზე მდგარს, რომელსაც არ შეეძლო ფერდობებზე ჩამოსრიალება ისე, როგორც იმ გემრიელ, ხარბ ბავშვებს. უან-უაკს მისი ხელი ნაზად ეჭირა, როდესაც რკინის მაგიდასთან ისხდნენ მზეში და როზმარი მიხვდა, რომ რაღაცნაირად, ბოროტაც კმაყოფილი იყო, მაგრამ არც ისე კმაყოფილი, რომ მასთან კვლავ დაწოლილიყო, ეს მას აგრძნობინა. იგიც თავაზიანად დასთანხმდა. ფრანგ მამაკაცებს ზედმეტად გაფუჭებულებად თვლიან, – გაიფიქრა როზმარიმ.

როდესაც უან-უაკმა საფულე ამოიღო რესტორნის ანგარიშის გადასახდელად, როზმარიმ ახალგაზრდა ქალის სურათს მოჰკრა თვალი ცელულოიდის საფარის ქვეშ. როზმარიმ დაიჟინა, რომ სურათი ეჩვენებინა. მისი ცოლის ფოტო იყო, გაღიმებული, მშვიდი, მომზიბლელი გოგონა, დიდი, ფართოდ ჩამჯდარი ნაცრისფერი თვალებით. თხილამურები არ უყვარს, თხილამურებს ვერ იტანსო, – უთხრა უან-უაკმა. ამიტომ უიქენდებზე მარტო დადიო-

და. მათი საქმეა. ყველა ოჯახში თავისი კანონებია. თვითონ, როგორი, არ აპირებდა მათ ცხოვრებაში ჩარევას, ვერ ჩაერეოდა. უან-უაკი გვერდზე ეჯდა, მისი ხელი ნაზად ეკავა, ახლა არა როგორც საყვარელს, არა-მედ მეგობარს, რომლის დახმარებაც სჭირდებოდა, რომელიც უანგაროდ წამოვიდა შესახვედრად.

— ყველა ხარჯს, — ამბობდა უან-უაკი, — რასაკვირველია, მე...

— არ მჭირდება ასეთი დახმარება, — უპასუხა ქალმა სწრაფად.

— დრო რამდენი გვაქვს? — ჰერიტა კაც-მა. — ანუ, როდის უნდა დაბრუნდე შინ?

— ახლა იქ უნდა ვიყო.

— და ამერიკაში?

როზმარიმ ხელი გაითავისუფლა. ის ისტორიები გაიხსენა, დაქალები რომ უყვებოდნენ. ჩაბნელებული ოთახები საეჭვო უბნებში, წინასწარ გადახდილი ნაღდი ფული, არასანდო მედდები, კრიმინალი ექიმები, ორი საათის შემდეგ იმ კარები-დან გამოსვლა, რომელსაც ზედ წარწერაც არ ეკეთა და სახლში ბარბაცით მიღწევა. — სადაც გინდა, ოლონდ არა ჩემს ძვირფას სამშობლოში.

— გამიგია, — თქვა უან-უაკია. — ცოტა რამ. — თავი გაიქნია. — რა საშინელ ქვეყნებში ვცხოვრობთ, — და მძიმედ ამოისუნ-თქა და ერების იდიოტიზმის გამო, დალ-ლილი სახით მიაჩერდა მბრწყინავ ტიტებს.

როზმარის გონება ისევ ამოტრიალდა, ამოტრიალდა, ოპ-არტს დაემგვანა. (ოპ-არტი, ანუ ოპტიკური ხელოვნება აღნიშნავს ხელოვნების ნიმუშებს, რომელშიც ოპტიკური ილუზიებია გამოყენებული. — მთარგმნ.).

— უიქენდზე შვეიცარიაში უნდა წავიდე, საათილამურო სეზონი მთავრდება. — მხრები ოდნავ აიჩეჩა, მობოდიშების მიზნით. — რამდენიმე კვირით ადრე შევთანხმდით, მერე ციურისში გავჩერდები. იქ მე-გობრები მყავს და შევეცდები, უფრო თანამგრძნობი ექიმი გიპოვო.

— ფსიქიატრი, არა?

— რა თქმა უნდა. სამშაბათს დავბრუნ-

დები. დაიცდი?

გონება აემლვრა, კიდევ მეტი ოპ-არტი. კიდევ ერთი კვირა.

— სამწუხაროდ, ხვალ სტრასბურგში მივდივარ, — თქვა უან-უაკია. — საქმეებზე. შვეიცარიაში იქდინვე გავემგზავრები. ვერ შევძლებ პარიზში შენს გართობას.

— არაფერია. თავს თავად გავირთობ.

— გავირთობ, აი, სიტყვა. — დიდი სიკეთეა შენი მხრიდან. — სულელი, მაგრამ ქალს სურდა, უან-უაკისთვის რაიმე სასიამოვნო ეთქვა, რითაც მისდამი ადრინდელ დაუფასებლობას გამოასწორებდა.

უან-უაკია საათს დახედა.

ყოველთვის დგება ის მომენტი, — გაიფიქრა როზმარიმ, — როდესაც მამაკაცი, თუნდაც მამაკაცთა შორის საუკეთესო, საათს უყურებს.



როდესაც ოთახის კარი გააღო, ტელეფონმა დარეკა. — ელდრედ ჰარისონი გელაპარაკებათ, — ყურმილში გაისმა რბილი, პრიტანული ხმა. — მე ბერტის მეგობარი ვარ. როგორც ნებისმიერი დანარჩენი. — ხანმოკლე სიცილი. — მან მითხრა, რომ პარიზში მარტო ხართ და მე უნდა ვიზრუნო თქვენზე. ნება მომეცით, სადილზე დაგპატიუოთ.

— იცით... — როზმარი უარის სათქმელად მოემზადა.

— მეგობრებთან ერთად ვსადილობ, პატარა წვეულება იქნება. სასტუმროში შემოგივლით.

როზმარიმ ითახს შეავლო თვალი. დალაქვებული შპალერი, სუსტი ნათურები, ასეთი სინათლის ქვეშ რას წაიკითხავდა. ოთახიც მისი გონების ოპ-არტ სტილს შემოუერთდა. მთელი კვირა უნდა ელოდა. ასე ხომ არ დაჯდებოდა და შვიდი დღის გასვლას დაელოდებოდა.

— დიდი მადლობა, ბატონო ჰარისონ.

— მოუთმენლად გელოდებით. — გული-თადად არ უთქვამს მამაკაცს, რბილად დაფრთხილად თქვა. — რვა საათზე გაწყობთ?

— მზად ვიქნები. — თქვა როზმარიმ.

რვას ხუთი წუთი აკლდა, როდესაც როზმარი სასტუმროს ჰოლში იჯდა. თმა უკან ჰქონდა შექრული და ყველაზე უფორმო კაბა ეცვა. ამ კვირას მას არ სურდა ვინმეს ყურადღების მიქცევა, არც ინგლისელი კაცებისა.

ზუსტად რვა საათზე სასტუმროში წყვილი შემოვიდა. გოგონა ახალგაზრდა იყო, მას ლია ფერის თმა და სახის სლავური ნაკვები ჰქონდა. იგი ლამაზი და ბავშვურად მომლიმარი იყო. ეტყობოდა, რომ გალიმებას ცდილობდა. ასეთს არ შეეძლო ტანსაცმელზე იმდენის გადახდა, რამდენიც სურდა. უან-უაკს მოენობებოდა ის, მაგრამ მასთან ერთად ხალხში არ გამოჩნდებოდა, რესტორანში, სადაც მისი მეგობრები დადიოდნენ, არ დაპატიჟებდა. მამაკაცი მაღალი იყო, მას ჭალარაშერული თმა კარგად ჰქონდა დავარცხნილი და თავდაჯერებული ჩანდა. ძვირფასი ნაცრისფერი კოსტუმი სრულიად შეესატყვისებოდა ხმას, რომელიც როზმარის ტელეფონში ესმოდა. როზმარიმ შეხედა და ფეხი-ფეხზე გადადებულმა ლოდნი გააგრძელა. მამაკაცი კონსიერჟს ფრანგულად დაელაპარაკა, ხოლო კონსიერჟმა ფანჯარასთან მჯდარ როზმარისკენ მიუთითა. წყვილი მას მიუახლოვდა. ორივემ გაიღიმა.

— მედია, დიდხანს არ გალოდინეთ, მისის მაკლაინ, — თქვა ჰარისონმა.

როზმარი წამოდგა, გაუღიმა და ხელი გაუწოდა. იგი მიხვდა, რომ საღამო მას სიურპრიზებს არ ჰპირდებოდა.

●

როზმარის არ ჰქონდა იმის მოლოდინი, რომ სასმელების ზღვაში იცურავებდა. ჰარისონი ზუსტად მისდევდა განრიგს: ერთი ვისკი ყოველ თხუთმეტ წუთში ყველას, გოგონას ჩათვლით. მას ანა ერქვა. ჰოლონელი იყო, ვარშავიდან ოთხი თვის წინ ჩამოსულა. ფრიად საეჭვო დოკუმენტები ჰქონდა. გოგონა მდივნად მუშაობდა, რადგან ხუთი ენა იცოდა. ამერიკელზეც სურდა გათხოვება, ჰასპორტი რომ მიეღო და უკან აღარ გაებრუნებინათ. ფიქციური

ქორწინების სურვილს იგი არც მაღავდა, თავიდანვე გასაგები იყო, რასაც სწრაფი განქორწინება და ჰასპორტი მოჰყვებოდა.

ჰარისონს რაღაც ურთიერთობები ჰქონდა ბრიტანეთის საელჩოში. იგი მოწყალედ ულიმოდა ანას და როზმარიმ იფიქრა, რომ ანას არ აწყობდა ინგლისური პასპორტი. აი, ჰარისონი კი ეძებდა მისთვის შესაფერის ამერიკელს. ჰარისონმა ისევ შეუკვეთა ვისკი. ეტყობოდა, რომ ალკოჰოლი მასზე არ მოქმედებდა. გამართული იჯდა, ხელები არ უკანკალებდა, ქალბატონების სიგარეტებთან სანთებელა რომ მიჰქონდა, ენასაც არ უკიდებდა, ხმა კვლავ დაბალი, კულტურული და კლუბური ჰქონდა. იმპერია ჰარისონების მსგავსების გამო არ დაინგრეოდა.

ისინი ისხდნენ პატარა, ჩაბნელებულ ბარში, როზმარის სასტუმროსთან ახლოს.

— პატარა მყუდრო ადგილია, — ადრე თქვა ჰარისონმა. ჰარიზში მან ათასი მყუდრო ადგილი იცოდა, ამაში როზმარის ეჭვიც არ ეპარებოდა. იგი ბარში ბევრს იცნობდა, რამდენიმე მისი ასაკის ინგლისელს, რომელებიც ასევე ორმოცს იყვნენ გადაცილებულები, ახალგაზრდა ფრანგებსაც. ვისკი ისევ განრიგით მოიტანეს. ბარი რაღაცნაირად ნისლიანი გახდა, თუმცა როზმარიმ იგრძნო, რომ თვალები მკვეთრად აუბრწყნდა. სადილი ჯერ კიდევ წინ იყო. ახალგაზრდა ამერიკელთან უნდა ესადილათ. როზმარის ჯერ კარგად ვერ გაერკვია, სად უნდა შეხვედროდნენ მას.

ისინი ბერტზე საუბროდნენ. ათენზე. სამხედროები მოსულიყვნენ იქ ხელისუფლებში. ბერტს ეს უნდა მოსწონებოდა. იგი რისკს ეთაყვანებოდა. — მასზე ვდარდობ, მეშინა, — ამოიხერა ჰარისონმა. — ყველაფერი მისი ცემით მთავრდება ხოლმე. მას მოსწონს ეს. ერთხელაც პირეუსის პორტში ნახავენ გამორიყულს. უცნაური გემოვნება აქვს.

როზმარიმ თავი დაიქნია. — მეც ეგრევფიქრობ. ამაზე ველაპარაკე კიდეც. — ოჳ, ძვირფასო, — მიპასუხა მან, — რაც გინერია, არ აგცდება.

ანამ გაიღიმა, როდესაც თავის მეხუთე ვისკის ჭიქას დახედა. ამან როზმარის თავისი შვილი გაასხენა, რომელიც ძილის წინ ხანდახან ასე მალულად დასცექეროდა თავის რძიან ჭიქას. თერთმეტი წლის ბავშვებსაც ჰქონდათ თავიანთი საიდუმლოებები.

— მეც ვიცნობდი ერთ ასეთ ადამიანს, — თქვა როზმარიმ. — ინტერიერის დიზაინერი იყო. დაბალი, სასიამოვნო მამაკაცი. ორმოცდაათ წელს გადაცილებული. წყნარი, მშვიდი. ოლონდ ისეთი გულლია არ იყო, როგორც ბერტი. ამერიკელი. სამმა მეზღვაურმა ისე სცემა, სიკვდილის პირას მიიყვანა ლივორნოს ბარში. ვერავინ გაიგო, რას აკეთებდა იგი ლივორნოში, — რა ერქვა? მან იცოდა მისი სახელი, მან იცოდა. მან იცოდა ეს. ასჯერ მაინც შეხვედროდა მას, ხშირად უსაუბრია მასთან წვეულებებზე. მან სკამიც გამოიგონა, როზმარის ეს კი ახსოვდა. ნერვები ეშლებოდა, მის სახელს რომ ვერ იგონებდა. ეს ცუდის ნიშანი იყო. თუ ადამიანთან ასჯერ მაინც გილაპარაკია, თუკი მან ისეთი მნიშვნელოვანი კვალი დატოვა (როგორიც, მაგალითად, სკამის გამოგონებაა, რაც ყველას არ შეუძლია) და იგი მოკლეს, სახელი მაინც უნდა გახსოვდეს. ეს ძალიან ცუდის ნიშანია.

ვისკი ისევ ჩამოატარეს. ანამ გაიღიმა. ბარში უფრო დაბნელდა. ნეტა ბერტი ათერში არ წასულიყო, ინატრა როზმარიმ. ტანკები ქუჩაში, კომენდანტის საათი, ნერვიული ჯარისკაცები, რომლებიც აშკარაა, ვერ გაიგებენ ინგლისელი გეის ხუმრობებს. თავი მოისაწყლე, საყვარელო.

სენაზე ხიდით გადავიდნენ. მდინარე მონუმენტებს შორის მიედინებოდა. „პარიზი ბიბლიაა ქვებში“ — ვიქტორ ჰიუგო. ტაქსის მდლოლმა კინაღალ გადაუარა და მოაძახა — Sales cons (კრეტინებო (ფრ). ლუტეციას ხმა იყო.

— Ta gueule (მოკეტე (ფრ.), — მიაძახა პარისონმა, გამოვიდა ინგლისელი ჯენტლმენის როლიდან.

ანამ გაიღიმა.

ქუჩები სავსეა ხიფათით, — პარისონმა იდაყვში მოჰკიდა ხელი, გოგოს თავი და-

ცულად რომ ეგძნო. — ერთმა ჩემმა მეგობარმა, ფრანგმა, მეორე მანქანას გამოსდო, ოპერასთან ერთ პატარა ქუჩაზე. მეორე მანქანის მძლოლი გადარეული გადმოხტა მანქანიდან, ერთი დაარტყა და ადგილზე მოკლა ცოლის თვალნინ. კარატეს ექსპერტი ყოფილა.

ანამ გაიღიმა. — ვარშავაში კიდევ უარესადაა საქმე, — თქვა მან.

იგი ციხეში იჯდა ვარშავაში. მხოლოდ ორმოცდარვა საათით, მაგრამ ციხეში. ისინი უკვე რესტორანში იყვნენ, მაგრამ ბართან იცდიდნენ, ვისკი უნდა დაელიათ. ამერიკელი ჯერ არ გამოჩენილიყო. პატარა რესტორანი ელისეს მინდვრებთან ახლოს მდებარეობდა. მხოლოდ მამაკაცები ისხდნენ მარტო და გაზეთებს კითხულობდნენ.

ერთი გაზეთის წინა გვერდზე ორი მოსუქებული შუახნის ჯენტლმენის დიდი ფოტოსურათი იყო დაპეჭდილი, ისინი რაპირებს არჭობდნენ ერთმანეთს. დილას შედგა ორი პარლამენტარის დუელი ნუის ბალში. სისხლი დაიღვარა. რამდენიმე წვეთი და ნაჩხაპნი ხელზე. სისხლის წყურვილი დაკმაყოფილებულია. ფრანგები..

— იმ დროს მხოლოდ თექსმეტის ვარ, — ამბობდა ანა. — წვეულებაზე ვარ მიპატიუქებული, რომელსაც იტალიელი დიპლომატი მართავს. რამდენიმე ენაზე თავისუფლად ვსაუბრობ და დიპლომატების წრეებში ჩემზე დიდი მოთხოვნაა. — ეს გოგონა აწმყო დროში მოსაუბრე ქალბატონი იყო. — დღემდე მხოლოდ ხილის წვენებს ვსვამ. წყვეულებაზე მყოფი ყველა პოლონელი დაბატიმრებულია.

— Encore trois whiskies, Jean („კიდევ სამი ვისკი, უან“ (ფრ.), — პარისონი მიუბრუნდა პარმენს.

— დიპლომატი ხელოვნების ნიმუშების კონტრაბანდას ეწევა პოლონეთიდან. — თქვა ანამ. — ხელოვნების მოყვარულია. ათი საათი მკითხავს პოლიცია ციხის პატარა ოთახში. მათ სურთ ვუთხრა, თუ როგორ ვეხმარები კონტრაბანდაში და რას მიხდიან. მეუბნებიან, იციან, რომ ჯაშუში

ვარ. თანაც, ტირილის მეტი რა დამრჩენია. არაფერი ვიცი. როდესაც მპატიუებენ წვეულებაზე, მივდივარ. გოგონა მიდის წვეულებაზე, როცა პატიუებენ. დედაჩემის ნახვა მინდა, მაგრამ მეუბნებიან, რომ სანამ არ ავლაპარაკდები, ციხეში გამომამწყვდევენ, არავის ეტყვიან, იქ რომ ვარ. თუ არ ვაღიარებ, ციხეში გამომამწყვდევენ. სამუდამოდ. – მან გაიღიმა. – საკანში მივყავარ ორ სხვა ქალთან ერთად. სექს მუშაკები. ყოველი მეორე სიტყვა ბილნია. იცინიან, ატირებულს რომ მხედავენ, მე კი ვერ ვჩერდები. უკვე სამი თვეა, ციხეში არიან, არც კი იციან, როდის გავლენ, კაცებზე გიუდებიან. სამი თვე დიდი დროა მამაკაცის გარეშე – მეუბნებიან ისინი. დაგრეხილი ნაჭრისგან იმას აკეთებენ, – ანა შეყოვნდა, სიტყვას ეძებდა, – იმ რაღაცას, კაცის სასქესო ორგანოს მსგავსს.

– პენისს, – უკარნახა ჰარისონმა.

– ერთმანეთზე იყენებენ, – გააგრძელა ანამ, – მერე ჩემზეც მოინდომეს მოსინჯვა. მე ვკივი, დაცვა შემოდის და ისინი იცინიან. მეუბნებიან, რომ სამი თვის მერე მათ დავუკივლებ, რომ მათხოვონ. – თავისი სასმელი მონრუპა, თან გაიღიმა. – მეორე ღამით მიშვებენ. მაფრთხილებენ, რომ არავის ვუთხრა, თუ სად ვიყავი. ასე რომ, ახლა ჰარიზში ვარ და მსურს ამერიკელზე დაქორწინება და ამერიკაში ცხოვრება.

ზუსტად იმ წუთში ამერიკელი შემოვიდა რესტორანში. მას მოჰყვებოდა ახალგაზრდა, მონითალო-ქერა ინგლისელი, რომელიც გეგონებოდათ, გრემ გრინის რომანის „მოგზაურობის დასასრული“ ფურცლებიდან გადმოსულიყო. ამერიკელს კერძოლი ერქვა და გრძელი, გამხდარი, მზეზე დამწვარი სახე ჰქონდა. მას ეცვა ტყავის ქურთუკი, შიგნიდან კი – შავი როლინგი. იგი ახალი ამბების ფოტოგრაფად მუშაობდა დიდ სააგნენტოში, ვიეტნამიდან ახალი ჩამოსული იყო და დაგვიანება იმით ახსნა, რომ ოფისში ელოდებოდა, თავის გადაღებულ ფოტოებს როდის მოუტანდნენ. ეგრეც ვერ მოუტანეს.

ინგლისელიც ბიბისისთვის მუშაობდა,

მორცხვი ჩანდა. ამერიკელმა ანას აკოცა, ძმურად. ის ტიპი იყო, ფიქციურ ქორწინებაზე რომ ვერ ქაჩავდა.

ვისკი კიდევ მოიტანეს. როზმარი ბრწყინვადა. ხოლო ახალგაზრდა ინგლისელი ყოველ ჯერზე ნითლდებოდა, როდესაც როზმარი მის მზერას ამჩნევდა. აქ არ სჯობდა დროის ტარება სასტუმროს ნომერში მარტო გამოშტერებას, თან ისეთი სუსტი ნათურების ფონზე, რომ წიგნის წაკითხვაც შეუძლებელი იყო!?

– ციხე ყველაზე საშინელი განცდაა, – ამბობდა ჰარისონი, ვისკის ერთ-ერთ მისეულ რაუნდზე. ანას მოგონებებმა ისიც წარსულში გადაისროლეს. მან სამი წელი იაპონიის საკონცენტრაციო ბანაკში გაატარა, ამის ტყვე იყო. – ეს უფრო ხასითის ტესტია, ხოლო საპრძოლო მოქმედებები ციხესთან ახლოც ვერ მივა.

ისინი მაგიდასთან ისხდნენ. საუზმეულს მიითმევდნენ. რესტორანი განთქმული იყო თავისი საუზმეულით. ორ დიდ მაგიდაზე ელაგა თეფშები თინჯისით, სარდინით, პატარა ბოლოკებით, აქ იყო გასუფთავებული ნიახური კვერცხითა და მაიონეზით, უმი სოკოთი ზეთში, ratatui (აბუსალათინის ზეთში მომზადებული ბოსტნეულის რაგუ – მთარგ.), ათამდე სახეობის ძეხვი და პაშტეტი. ღარიბთა მთელ არმიას დააპურებდა კაცი ამ პარიზული ხემსებით. ახალგაზრდა ინგლისელი როზმარის გვერდით იჯდა. როდესაც მისი მუხლი შემთხვევით როზმარისა შეეხო, მან მაშინვე გასწია ფეხი, გეგონებოდათ, მუხლი ხიშტის დაატაკა. ვისკი ღვინომ ჩაანაცვლა. ახლად დაწურული ბოჟოლე. ისფერი ბოთლები მიღი-მოდიოდნენ მაგიდაზე.

– მცველებმა პატარა თამაში წამოიწყეს, – ამბობდა ჰარისონი, – დადგებოდნენ ჩვენ წინ და ძალიან ნელა ეწეოდნენ სიგარეტს. დამშეული, ძონებებში გამოხვეული ასიოდე მამაკაცი სიცოცხლეს დათმობდა ერთი სიგარეტისთვის. ხმაც არ ისმოდა. არავინ ინძრეოდა. უბრალოდ ვიდექით და ვუყურებდით, პატარა კაცი იარაღით ხელში როგორ ეწეოდა და სიგარეტიდან გამოსული კვამ-

ლის მიღმა როგორ მოგეჩერებოდა. იგი აცდიდა სიგარეტს, დამწვარიყო ხელში და მერე, როცა ნახევრად დაიწვებოდა, მიწაზე გადააგდებდა და ფეხის ქუსლით სრესდა და რამდენიმე იარდით განზე დგებოდა. ეს ასი კაცი კი მუხლებზე დაცემული, მუჯ-ლუგუნებით, ფხაჭვნით, წიხლებით, გინებით გადაეშვებოდნენ ჩეუბში, თამბაქოს ნამცეცები რომ მოეპოვებინათ. მცველები კი იდგნენ და დაგვცინოდნენ.

— ზღაპრული აღმოსავლეთი, — კეროლი თავს იქნევდა. — მე კი ვიეტნამში ისეთები ვნახე... .

როზმარის იმედი ჰქონდა, რომ იგი დეტალებში არ გადავიდოდა. სადილი მოსწონდა, მიირთმევდა ხემსს, დვინოც ესიამოვნა იმდენი ვისკის შემდეგ და კარგ ხასიათზე დადგა პარიზში. საბედნიეროდ, კეროლი ჩემი ტიპი გამოდგა და აღარ გააგრძელა. მხოლოდ ის გააკეთა, რომ ჯიბებში ჩაიყო ხელი, ფოტოსურათი ამოილ და მაგიდაზე როზმარის წინ დადო. ისეთი ფოტოსურათი იყო, ამ დღეებში ბევრს რომ ნახავდით გაზეთებში. ქვის კედელთან ზის ოთხმოც წლამდე ხელგანვილი, შავებში ჩაცმული ქალბატონი და მათხოვრობს. იქვე ზის პატარა, მშიერი, თოთქმის შიშველი ბავშვი. იქვე მისეირნობს ტანადი აზიელი გოგონა, კაშკაშა მაკიაჟით, ლამაზად თმადავრცხნილი, ხოლო აპრეშუმის კაბალრმად აქვს ჩაჭრილი, საიდანაც ლამაზი ფეხები მოუჩანს. იგი მოხუცი ქალის გვერდზე მიდის, მაგრამ ზედ არ უყურებს. კედელზე, რომელსაც სურათის მთელი ფონი უკავია, ვიღაცას ცარცით, დიდი ასოებით დაუჯდანია: „ლმერთი აქ იყო, მაგრამ ადრე დაგვტოვა.“

— ეს ფოტო ჩვენი რელიგიის განყოფილების რედაქტორისთვის გადავიღე. — აგვისენა კეროლმა და დვინო დაისხა.

ანამ ფოტოსურათი აიღო. — რა გოგოა. კაცი რომ ვიყო, თეთრკანიან ქალებს ზედ არასოდეს შევხედავდი. — და ფოტო ახალგაზრდა ინგლისელს გაუნოდა, რომელიც დიდხანს დასცექოდა მას.

— მე ვიცი, რომ ჩინეთში მათხოვრები

აღარ არიან, — შემდეგ გაწითლდა, გეგონებოდათ, უნმაწური ხუმრობა თქვა და ფოტოსურათი სასწრაფოდ მაგიდაზე დადო.

ელდრედ ჰარისონმა თავი გადმოხარა, ჩიტს ჰეგვდა, და ფოტოს დააკვირდა. — ახალი ამერიკული ხელოვნება, — თქვა მან. — გრაფიტი. კედლიდან კედელზე კომუნიკაცია. — მან გამკიცხავად გაიღიმა საკუთარ ხუმრობაზე.

კეროლმა სურათი ჯიბებში ჩაიდო.

— ორ-ნახევარი წელია ქალი არ მინახავს, — ჩაილაბარაკა ჰარისონმა და თავის თეფზე სტეიქს დახედა.

ჰარიზი, — გაიფიქრა როზმარიმ, არაჩვეულებრივი დიალოგის ქალაქი. ფლობერი და მისი მეგობრები. მერე მიზეზების ძიება დაიწყო, იქაურობას რომ გასცლოდა, დესერტს არ დალოდებოდა. ახალგაზრდა ინგლისელმა ცოტა დვინო დაუსხა, თითქმის პირამდე შეუვსო ბოკალი. — გმადლობთ, — უთხრა ქალმა. დამორცხველებულმა ინგლისელმა თავი მიატრიალა. მშვენიერი გრძელი ინგლისური ცხვირი ჰქონდა, და იაფერის წამნამები, სინითლე მთელ ლოყაზე, სავსე, გოგოსავით ტუჩები, ხოლო ჯიბებში „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ ედო, ბუნდოვნად გაახსენდა როზმარის, და გაახსენდა ზაფხულში წაკითხული „მოგზაურობის დასასრული.“ მთელი ეს საუბარი ომზე. მერე დაინტერესდა, რას იზამდა, როზმარის ჩურჩულით რომ ეკითხა: — თქვენს ნაცნობებს შორის არავის ცყავს სანდო გინეკოლოგი, აპორტის გაკეთება რომ შეეძლოს?

— ჩვენს ბანაკში გურქების (ნეპალელი მოხალისებისაგან შექმნილი ბრიტანეთის კოლონიური ჯარები — მთარგმ.) დიდი ჯგუფი იყო, ალბათ, ორასი ადამიანი, — თქვა ჰარისონმა, ბიფშტექსის ჭრა როცა დაიწო. ერთი ღამით ავდექით და შორეულ აღმოსავლებში გადავსახლდით, გაიფიქრა როზმარიმ. — შესანიშნავი ბიჭები. უზარმაზარი ჯარისკაცები. იაპონელები ძალიან ცდილობდნენ, თავიანთ მხარეს გადაებირებინათ. სისხლისმიერი ძმები, თეთრკანიანი იმპერიალისტების მიერ ექსპლუატირებულები და რაღაც ამდაგვარი. დამატებით

ულუფას და სიგარეტებს აძლევდნენ. გურქები კი ყველა დანარჩენ ტყვეს თანაბრად უნანილებდნენ თავიანთ რაციონს. რაც შეეხება სიგარეტს... – ჰარისონმა თავი გაიქნია, კვლავ გაოცებული იყო, ოცდახუთი წლის შემდეგ. – ისინი იღებდნენ სიგარეტს უმოდ, შემდეგ, ყველა, როგორც ერთი, მას პატარა ნაწილებად ანაწევრებდა, მცველების თვალნინ. მცველები იცნიოდნენ და მეორე დღეს უფრო მეტ სიგარეტს აძლევდნენ და იგივე ხდებოდა. ასე გაგრძელდა ექვს თვეზე მეტ ხანს. არაადამიანური დისციპლინა. არაჩვეულებრივი ჯარისკაცები იყვნენ. ასეთ ტალახსა და მტვერში, ბუზებივით დახოცილი ადამიანების გარემოცვაში მტკიცედ იდგნენ თავისაზე, – ჰარისონმა ღვინო მონრუპა. გეგონებოდა, ამ შორეულმა დანაკარგმა, მაგრა გაულვიძა. – საბოლოოდ, – თქვა მან, – პოლკოვნიკმა დაუძახა ყველას და უთხრა, რომ ეს ყველაფერი უნდა შეეწყვიტათ. ანუ იაპონელების თავდაჯერებულება იმისა, რომ მათ შეეძლოთ გურქების მოსყიდვა, შეურაცხოფდა მათ ღირსებას. მან თქვა, რომ დრო მოვიდა, იაპონელებისათვის საკადრისი პასუხი გაეცათ და ეს საკადრისი პასუხი ერთ-ერთი იაპონელის მკვლელობა იქნებოდა მეორე დღეს, თან სახალხოდ. მკვლელობის იარაღდ ნიჩაბი აირჩიეს. მისი გალესვა იყო საჭირო და მეორე დღეს მცველის თავისი გახეთქვა. – ჰარისონმა დაამთავრა თავისი სტეკი და თეფში რამდენიმე დუიმით წინ გააჩინა. გონებით აზიაში იყო. – პოლკოვნიკმა მოხალისე მოითხოვა. ყველა გურქმა ნაბიჯი წინ გადმოდგა, როგორც ერთმა, თითქოს პარადი ყოფილიყო. პოლკოვნიკი ერთი წუთითაც არ შეყოვნდა. პირდაპირ იმ ერთზე მიუთითა, წინ რომ ედგა. ისიც მთელი ღამე ნიჩაბს ლესავდა დიდი ქვით. დილით კი მიუახლოვდა მცველს, რომელიც დღის სამუშაოების სიას კითხულობდა და ტვინი გადმოსახმევინა. რასაკვირველია, იქვე მიახვრიტეს. მერე ორმოცდაათ ადამიანს თავები დააჭრეს, მაგრამ იაპონელებმა შეწყვიტეს გურქებისათვის სიგარეტის შეთავაზება.

– რა კარგია, მაგ ომის დროს ბავშვი რომ ვიყავი, – თქვა კეროლმა.

– უკაცრავად, – როზმარი წამოდგა, – ერთი წუთით გავალ. – ქალების ტუალეტი მეორე სართულზე იყო. კიბეებზე ფრთხოლად ადიოდა, მოაჯირს ეყრდნობოდა, ცდილობდა, ფეხი არ არეოდა. ტუალეტში წამნამები ცივი წყლით დაისველა, მაგრამ ეს არაფერი იყო იმდენი ვისკისა და ღვინის და ორმოცდაათი თავმოკვეთილი ჯარისკაცის შემდეგ. როზმარიმ პომადა წაისვა. ხელს ზედმიწევნით ამოძრავებდა. მისი სახე სარკეში გასაოცრად მხნე ჩანდა, მშვენიერი ამერიკელი ტურისტი ქალბატონი, რომელიც სალამოს პარიზში იმ ადამიანებთან ატარებდა, რომელთაც მხოლოდ პარიზივით ადგილას შეიძლება გადაეყარო. სხვა კარები რომ ყოფილიყო, საიდანაც შეუმჩნევლად გაპარვას შეძლებდა, სახლში წავიდოდა.

– არმსტიდი, – წამოიძახა მან. – ბრაიან არმსტიდი, – ასე ერქვა ინტერიერის დიზაინერს, ლივორნოში რომ მოკლეს. ყოველ დღე იგი იოგაში ვარჯიშობდა და როზმარის გაახსენდა, ერთხელ, როდესაც ისინი ერთმანეთს შემთხვევით საუთჰემპტონის პლიაზზე გადაეყარნენ, როზმარიმ შეამჩნია, როგორი მკვრივი, მზეზე გარუჯული ტანი, გამოყვანილი ფეხები და პატარა გარუჯული ტერჯები ჰქონდა მოვლილი ფრჩხილებით.

ქალების ტუალეტის გარეთ სინათლე გამორთული იყო, კიბეები სიპნელუში ეხვეოდა. როზმარი ფრთხოლად გაემართა მათკენ და ორიენტაციას რესტორნის დარბაზიდან გამოსული სინათლით იღებდა. უცებ უკან დაიხია და შეჰყვირა, როდესაც ვიღაცის თითები მის წელს შეეხნენ.

– ქალბატონი მაკლეინ, – წაიტურჩულა მამაკაცის ხმამ, – ნუ გეშინიათ. მარტო მინდოდა თქვენთან საუბარი – ახალგაზრდა ინგლისელი იყო. იგი სწრაფად და ნერვიულად საუბრობდა. – შევამჩნიე, რომ შეწუხებული ხართ.

– სულაც არა, – თქვა ქალმა. ვერაფრით იხსენებდა მის სახელს. რობერტი?

რალფი? ამ სალამოს სახელებში პრობლე-  
მა ჰქონდა. – ადრეც ვყოფილვარ ყოფილი  
ჯარისკაცების კამპანიაში.

– რად უნდოდა ამ ამბების მოყოლა, –  
თქვა ახალგაზრდამ (როდნი, რასაკვირვე-  
ლია, მას როდნი ერქვა). – ელდრედს, მაგ-  
რამ თქვენ ხომ ამერიკელები ხართ. თქვენ  
და ფოტოგრაფი. იგი გიშ ემსგავება იმა-  
ზე, რასაც თქვენ სჩადისართ ვიეტნამში,  
მისი ოთახის კედლები გამოჭედილია ყვე-  
ლაზე საშინელი სურათებით, მათ აგრო-  
ვებს. ამიტომაც დაუმეგობრდა კეროლს.  
ელდრედი ყველაზე მშვიდობისმოყვარე  
ადამიანია, ომის გაფიქრებაც კი ზიზღს  
იწვევს მასში, მაგრამ იგი ძალზედ ზრდი-  
ლობიანია და ღიად არავისთან კამათობს,  
ძალიან მოსწონს ამერიკელები, ამიტომ  
უამბობს სხვა საშინელებებსაც, რაც თავად  
გამოიარა. ამით თავისებურად გვეუბნება,  
კმარა, თუ შეიძლება, აღარაა საჭირო ამ-  
დენი საშინელება, მეორე მსოფლიო ომიც  
საკმარისი იყო.

– ვიეტნამი? – სულელურად წარმოთ-  
ქვა როზმარიმ. თავიც სულელად იგრძნო,  
ასეთ სიბნელეში რომ იდგა ქალების ტუა-  
ლეტის წინ და ასეთ რაღაცებზე საუბრობ-  
და ნერვიულად მქშინავ ახალგაზრდასთან,  
რომელსაც, როგორც ჩანდა, მისი ეშინოდა.  
– მე ვიეტნამთან არაფერი მაქვს საერთო.

– რა თქმა უნდა, – ნაჩქარევად თქვა  
როდნიმ. – საქმე ისაა, რომ თქვენ, ამე-  
რიკელი, ხედავთ, თუ არა, რომ ელდრედი  
არაჩვეულებრივი ადამიანია, თუკი მას იც-  
ნობ და... უგებ.

ანუ ამისთვის საჭიროა, ჰომოსექსუა-  
ლისტი იყო, გაიფიქრა როზმარიმ და ბრაზ-  
მა შეიპყრო. მაგრამ მერე როდნიმ თქვა,  
– შეიძლება, სახლში გაგაცილოთ, ქალბა-  
ტონი მაკლეინ? რასაკვირველია, როდესაც  
თქვენ ეს გენდომებათ და მზად იქნებით.

– არც ისეთი მთვრალი ვარ, – ღირსეუ-  
ლად უბასუხა როზმარიმ.

– რასაკვირველია, არა. ბოდიშს გიხ-  
დით, თუ ისეთი შთაბეჭდილება დავტოვე,  
რომ მე... მე მიმაჩინა, რომ მომაჯადობე-  
ლად ლამაზი ქალი ბრძანდებით, ქალბატო-

ნო მაკლეინ.

ამის თქმას ვერ გაბედავდა სინათლე-  
ში, როდესაც როზმარის შეეძლო მისი სა-  
ხის დანახვა. მომაჯადოებლად ლამაზი. ეს  
სიტყვები ნამდვილად ტროლოპთან (ენტო-  
ნი ტროლოპი (1815-1882) – ინგლისური  
ლიტერატურის კლასიკოსი (მთარგმ.) ამო-  
იკითხა.

– ძალიან თავაზიანი ბრძანდებით, როდ-  
ნი, – თქვა როზმარიმ. არც დათანხმდა,  
არც უარყო. – ახლა ჯობია, ჩვენს მაგიდას  
დავუბრუნდეთ.

– რა თქმა უნდა, – თქვა როდნიმ. ხელი  
მოჰკიდა და კიბეებისკენ გაუძლვა. ხელი  
უკანკალებდა. ინგლისური აღზრდა, გაი-  
ფიქრა როზმარიმ.

– იქ ერთი სერუანტი იყო, რომელსაც  
რკინის ძმას ვეძახდით, – ამბობდა ჰარი-  
სონი, როდესაც ისინი მაგიდას მიუახლოვ-  
დნენ. იგი ფეხზე წამოდგა, როდესაც როზ-  
მარი დაჯდა. კეროლმა, როგორც ტიპიურ-  
მა ამერიკელმა, წამოდგომის იმიტაცია გა-  
აკეთა. – იგი იაპონელისთვის მაღალი იყო,  
– გააგრძელა ჰარისონმა, თან ისევ ჯდებო-  
და, – ფართო მხრებით, დაკუნთული, მუდ-  
მივად სიგარეტით პირში, რომელიც კუთ-  
ხეში მიწებებოდა. ჩვენ მას რკინის ძმას ვე-  
ძახდით, რადგან საიდანლაც გოლფის ჯოხი  
მოიტანა და გვერდიდან აღარ იშორებდა.  
თუ რამე არ მოეწონებოდა და ასე ხშირად  
ხდებოდა, ამ ჯოხით სცემდა ჰატიმრებს.  
რკინის ძმა. – ჰარისონი ისე თბილად ლა-  
პარაკობდა, თითქოს იაპონელ სერუანტთან  
გულთბილი ურთიერთობები აკავშირებდა.  
– თითქოს მასში ბანაკში მყოფებიდან გან-  
საკუთრებულ უქამყოფილებას ვიწვევდი,  
თუმცა დროდან დროზე მას სხვებიც ჰყავ-  
და სიკვდილის პირას მიყვანილი ცემით,  
მაგრამ მათ საერთო მასიდან არ არჩევდა.  
ყველაფერი სპონტანურად ხდებოდა, ჩა-  
მოვლის დროს. ჩემს დანახვაზე სხვაგვარ  
მოუთმენლობას განიცდიდა. ყოველ ჯერ-  
ზე გაიღიმებდა და ამბობდა: – ჯერ კიდევ  
ცოცხალი ხარ? – ინგლისური იცოდა, იმ  
დამახასიათებელი უწყინარობით, როგორც  
იაპონელები საუბრობენ ინგლისურად. შე-

საძლოა, გაიგონა ჩემი რაიმე რეპლიცა, მის პერსონას რომ ეხებოდა, თან ეს მანამდე მოხდა, სანამ მიუხვდებოდი, რომ მან ინგლისური იცოდა. ან შესაძლოა, თავისებურად ახსნა ჩემი ერთ-ერთი ღიმილი. მოკლედ, რამდენჯერმე გონების დაკარგვამდე მცემა. მაგრამ მუდამ ფრთხილობდა, რომ არ შემოვკვდომოდი. ვხვდებოდი, ვიცი, ელოდა, მე თვითონ როდის მოვიკლავდი თავს.

ეს კი დააკმაყოფილებდა, მაგრამ თუ ომი კიდევ ერთი-ორი თვე გასტანდა, ვერ გავქაჩავდი. — კიდევ ერთი ბოთლი ღვინო ხომ არ დაგველია? — ჰარისონმა რესტორანში დარჩენილ ერთადერთ ოფიციანტს ხელით ანიშნა.

— პოლიციელები, — თქვა ანამ, — ყველან ერთნაირები არიან. სალამოს მიწურულს იგი უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ბევრად ახალგაზრდულად. თვალებიც იმ ბავშვისა ჰქონდა, სურათი-დან რომ იყურებოდა.

— რა დაემართა იმ შობელძალლს? — ჰკითხა კეროლმა. სკამზე ჩამჯდარი, იგი თვლემდა, თან ნიკაპი ყელიანი ჯემპრის ფუმფულა საყელოში ჩაერგო. — იცით?

— ვიცი, — სრული გულგრილობით უბა-სუხა ჰარისონმა. — მაგრამ ეს არავის აინტერესებს. ქალბატონო მაკლეინ, ალბათ ძალიან დაგლალეთ ამ სევდიანი მოგონებებით. ასე მემართება, როცა ბევრს დავ-ლევ. დარწმუნებული ვარ, იმისთვის არ ჩამოსულხართ, დიდი ხნის წინ დამთავრებული ომის ამბები რომ ისმინოთ. იმ დროს დამთავრდა, პატარა გოგონა რომ იყავით და კითხვას სწავლობდით. ბერტი თუ გაი-გებს, რითი გართობდით ამ სალამოს, ცემა არ ამცდება.

რომ იცოდე, რისთვის ჩამოვედი პარიზში, ჩემო ძმაო, გაიფიქრა როზმარიმ. მან იგრძნო როდნის მუდარით სავსე მზერა. — მინდა ვიცოდე, მერე რა მოხდა.

როზმარიმ გაიგო, როდნიმ როგორ ამო-ისუნთქა. შვებაა, გაიფიქრა მან. გავამარ-თლე მისი მოლოდინი.

— იაპონელებს სიკვდილის მიმათ არაჩ-

ვეულებრივი სტოციზმი გააჩნიათ, — ჰარი-სონმა ეს თქვა, როცა ღვინო ჩამოასხა ბო-ლო ბოთლიდან. ხმა თანაბარი, არაფრის-მთქმელი ჰქონდა. — ომი რომ დამთავრდა, დამნაშავების გამოსავლენად სპეციალუ-რი დანაყოფები ამუშავდნენ. საკონცენ-ტრაციო ბანაკების დაცვის სტრუქტურაში განსაკუთრებული მართვა იყო, რომლის ფუნქციები შეესატყვისებოდა გერმანულ სს-ს. იქ ჯალათები, დამკითხავები, დეზინ-სტრუქტორები მუშაობდნენ, რომლებიც თავიანთ ექსპერიმენტებს ცოცხალ ადამი-ანებზე ატარებდნენ. ბანაკში ოცამდე ასე-თი ადამიანი იყო დარჩენილი და, როდესაც ბრიტანული გუნდი ჩამოვიდა იაპონელების ყაზარმებში, ისინი ჩამწკრივდნენ საუკე-თესო უნიფორმებში გამოწობილები. ვიდ-რე ვინმე მოახერხებდა სიტყვის ნარმოთ-ქმას, ისინი მუხლებზე დაემსნენ და თავები დახარეს, ხოლო მათმა მეთაურმა ასატა-ნი ინგლისურით უთხრა ბრიტანელ მაი-ორს:—სერ, ჩვენ ომის კრიმინალები ვართ. გთხოვთ, ახლავე დაგვსაჯეთ. — ჰარისონმა თავი გაიწინა, თავის ალფროთოვანებას ვერ მალავდა.

— შემდეგ სერუანტს აღარ შეხვედრი-სართ? — ჰკითხა კეროლმა.

— რკინის ძმას? აჲ, კი. ბანაკის გათა-ვისუფლებიდან რამდენიმე დღეში. ჰოსპი-ტალიდან რომ გამომწერეს, ოთხმოცდათ-ვრამეტ ფუნტზე ვიყავი ჩამოსული. ომის დასაწყისში — ას სამოცს ვიწონიდი, სრუ-ლიად ახალგაზრდა როცა ვიყავი. ბანაკის უფროსის კაბინეტში გამომიძახეს. იქ დამ-ხვდა მაიორი, კვედანაყოფის უფროსი, სამ-ხედრო დამნაშავებებს ვინც ავლენდა. ელ-სვორთი, დავიმახსოვრე მისი გვარი. პირ-ქუში, ცივი ტიპი. იგი ჩრდილოეთ აფრი-კიდან იყო გამოგზავნილი, სადაც საომარი მოქმედებები უფრო ადრე დასრულდა. რას არ გადაჰყორდა იქ. რკინის ძმა სიმივით გაიჭიმა მისი მაგიდის წინ. მაგიდის უკან, კედელთან კი გოლფის ჯოხი იდო.

როზმარის მოულდნელად დასთბა. იგ-რძნო, კისრიდან ოფლი როგორ ჩამოსდი-ოდა.

— რკინის ძმა ისე გამოიყურებოდა, როგორც ყოველთვის. მხოლოდ სიგარეტი არ ჰქონდა ტუჩის კუთხეში ჩამოკიდებული, რაც მას სხვა კაცად აქცევდა. ახლა კი მისი ძალაუფლება არსად იყო. მხოლოდ თვალი შევავლეთ ერთმანეთს. ისე ეჭირა თავი, გეგონებოდა, არ მიცნობდა. და მე... სიმართლე გითხრათ, ვერ გამიგია, ოდნავ... შემრცხვა. ბანაკში გატარებული მთელი ამ წლების მერე, ეს სიტუაცია რაღაც... არალოგიკური ჩანდა. არასწორი. ადამიანი ეწვევა ქცევების გარკვეულ ნორმებს და, როდესაც ყველაფერი იცვლება... — ჰარისონმა მხრები აიჩეჩა. — ელსვორთი მაშინვე საქმეზე გადავიდა და თქვა, — ბევრი მსმენია ამ ტიპზე და ისიც ვიცი, ამ ჯოხით როგორ დაგერეოდათ ხოლმე. — მან ხელში აიღო ჯოხი და თავის მაგიდაზე დადო პირდაპირ რკინის ძმის წინ. იმან შეხედა ჯოხს და თვალებში შიში აესახა. — მაშ ასე, — თქვა ელსვორთმა, — ეს ჯოხი ახლა შენია — და ჩემკენ გამოწია. — ეს კაციც შენია. მე კი ჯოხი არ გამოვართვი. — რას უცდი, ბიჭო? — ელსვორთმა იკითხა. — ვწუხვარ, მაგრამ ვერ გავიგე, რას მთხოვთ, სერ, — ვუპასუხე. სიმართლეს ვამბობდი, არ ვიცოდი, რას მთხოვდა. ელსვორთმა გინება დაიწყო. გაეთრიე აქედან. აქ ძალიან ბევრი ხართ. ყველას გადაგიარეს. ჩემი ნება რომ იყოს, ბრიტანეთში ვერასოდეს დაპრუნდებოდი. მუდამ ტყვედ დარჩები. სისხლში გაქვს შიში. — მაპატიეთ, ქალბატონო მაკლან, — ჰარისონი როზმარის მიუბრუნდა. — ჩემი ცხოვრების ეს ეპიზოდი არასდროს მომიყოლია და ამიტომ გადმოვალაგე ყველაფერი, შინაგანი ცენზურის გარეშე.

— ბოლოს რა მოხდა? — იკითხა როზმარიმ, ბოდიშისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— ელსვორდის ოთახიდან გამოვედი. შემდეგ აღარც მინახავს, ჩემდა საბედნიეროდ. მისი ზიზღი აუტანელი იყო, მაგრამ მგონია, რომ რკინის ძმა საბოლოოდ სიკვდილით დაისაჯა. — მან საათს დახედა. — გვიანია. ოფიციანტს ხელით ანგარიშის მოტანა ანიშნა.

კეროლი წინ გადმოიხარა, ღვინით დალაქვებული მაგიდის გადასაფარებლის-კენ. — მინდა მჯეროდეს, რომ მსგავს სიტუაციაში მეც შენსავით მოვიქცეოდი, — უთხრა მან ჰარისონს.

— მართლა? — ჰარისონის ხმაში მსუბუქი გაოცება იგრძნობოდა. — მე კი სულ ვფიქრობ, იქნებ ელსვორთი მართალი იყო? დღეს სრულიად სხვა ადამიანი ვიქნებოდი — თქვა და დამარცხებულის ჟესტი გააკეთა.

— მე არ მენდომებოდა, შენ რომ სხვა ადამიანი ყოფილყავი, — თქვა ანამ წყნარად.

ჰარისონმა ხელი ხელზე დაადო მაგიდაზე. — შენ საყარელი ახალგაზრდა გოგონა ხარ, ჩემო ანა, — თქვა მან. იქნებ ამას დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა. იმ მდგომარეობაში, მაშინ რომ ვიყავი, ალბათ მის მოსაქლავად რამდენიმე კვირა დამჭირდებოდა. — ჰარისონმა ანგარიში გადაიხადა და ისინი მაგიდიდან ადგნენ. — თითო ბოკალი დავლიოთ გზად. ჩემს მეგობრებს შევპირდი შეხვედრას სენ-ურმენ-დე-პრეში.

— მე ოფისში უნდა დავბრუნდე, — თქვა კეროლმა. — ფოტოსურათების მოტანას შემპირდნენ შუალამედე.

— ჩემთვისაც გვიანია, — თქვა როზმარიმ. — ხვალ რთული დღე მაქვს.

რესტორანში სინათლე ჩაქრა, როდესაც კარები მოიჯახუნეს. ქარი ქროდა და ქუჩაში ბნელოდა.

— მაშ, კარგი, მაშინ ქალბატონი მაკლაინი მივაცილოთ სახლამდე.

— არაა აუცილებელი, — უპასუხა როზმარიმ.

— მე უკვე შევთავაზე ქალბატონ მაკლაინს გაცილება, ელდრედ, — თქვა როდნიმ.

— რა გაეწყობა, — უპასუხა ჰარისონმა, — თქვენ სანდო ხელში ხართ. — მან ხელზე აკოცა როზმარის. როგორ ეტყობოდა, რომ წლები ჰქონდა საფრანგეთში გატარებული. — ძალიან კარგი საღამო იყო, ქალბატონო მაკლაინ. ვიმედოვნებ, ნებას მომცემთ, კვლავ დაგირეკოთ. ბერტს მივწერ და მადლობას გადავუხდი.

მათ მშვიდობიანი ღამე უსურვეს ერთმანეთს. როზმარიმ თქვა, რომ ფეხით სურდა გავლა სუფთა ჰაერზე. კეროლი, ჰარისონი და ანა ტაქსში ჩასხდნენ, რადგან კეროლის ოფისი გზად იყო ჰარისონის სახლისკენ. ტაქსი კუთხეს მიეფარა და ბნელ ქუჩაზე სიჩუმემ დაისადგურა. როზმარიმ უფლება მისცა, როდნის ხელკავი გაეკეთებინა და ისინი უხმოდ ელისქს მინდვრებისკენ გაემართნენ.

ცივმა ჰაერმა როზმარის თავპრუ დაახვია. ელიფსური ტრიალი ქალს კისრიდან დაეწყო, თანდათან გაფართოვდა და მთელი ჰარიზი მოიცა. იგი როდნის მკლავს ძლიერად დაეყრდნო.

– მგონი, საჭირო არაა ტაქსის...

– ჩუმად, – იგი ბულვარის კაშკაშა სინათლიდან ათი ფუტის იქით შეჩერდა და აკოცა. იმისათვის, რომ საყრდენი წერტილი მოენახა. იმისათვის, რომ დედამინის ტრიალი შეეჩერებინა. მამაკაცის პირს მწიფე ყურძნის სუნი ასდომდა. იგი მთელი ტანით ცახცახებდა, როდესაც საპასუხოდ კოცნიდა. გაზაფხულის საღამოს ცივი ქარის მიუხედავად, მას სახე ძალიან თბილი ჰქონდა.

ქალმა უკან გაიწია, აუჩქარებლად. – შშშ, – თქვა ისევ, თუმცა კაცს არაფერი უთქვამს.

ისინი ელისეის მინდვრებზე გავიდნენ. კინოთეატრიდან ხალხი გამოდიოდა. კინოთეატრის თავზე, უზარმაზარი ლამაზმანი ღამის პერანგში პისტოლეტიდან, რომელიც ალბათ ზარბაზნის ლულის ხელა იყო, უმიზნებდა მამაკაცს, რომელსაც ფრაკი ეცვა და 30 ფუტის სიმაღლის იყო. სპორ-

ტულ მანქანებში წყვილად ჩამსხდარი მე-ძავები ნელა მოძრაობდნენ ტროტუარის გაყოლებაზე, კლიენტის საძებნელად იყვნენ გამოსულები. კაცი რომ ყოფილიყო, ერთხელ მაინც გაუგებდა გემოს. როგორ შეიძლება პარიზს გემო არ გაუგო. ქალი და მამაკაცი, ღმერთის ქმნილება. ზუსტად ამ წუთში რამდენი წყვილი ნებივრობდა საწოლში. ჰარისონს, რომელიც ვარშაველი გოგონას რბილ, ახალგაზრდა სხეულზე



იწვა, დავიწყებული ჰქონდა საკონცენტრაციო ბანაკის საშინელებები. კეროლი ერთ-ერთ იმ ფოტომოდელთან იყო, რომელთაც მივლინენებს შორის უღებდა სურათებს და ივიწყებდა ვიეტნამს. ხოლო ფოტოსურათი წარწერით „ღმერთი აქ იყო, მაგრამ ადრე დაგვტოვა“ ღუმელის თავზე, ქვის დაფაზე იდო და თვალყურს ადევნებდა მათ.

უან-ჟაკი, ღონიერი ახალგაზრდა, გამოცდილი საყვარელი, თავის ცოლთან

ერთ მთლიანობად ქცეულიყო. მის ცოლს არ უყვარდა თხილამურებზე სრიალი, თავისი ოჯახის ბუდეში ერჩივნა ყოფნა ფოშის გამზირის სიახლოესს, მაგრამ უან-უაკს უკვე ელოდებოდა სათადარიგო გოგონა სტრაბურგში და მეორეც – სათხილამურო კურორტზე, სადაც უან-უაკი უიქენდის გატარებას აპირება, სანამ ციურიხში შეივლიდა უფრო სათნო ფსიქიატრის მოსაძებნად.

ადამიანის სხეულის გამოყენება და მანიფესტაცია. შეგიძლია მოეფერო მას, დააზიანო, თავი მოაჭრა, კარატეს ილეთით გაანადგურო ქალაქის რომელიმე ქუჩაზე, ჩაბატონ პოლონეთის ციხეში. დაიცვა და გაანადგურო. შეაღწიო საშოში, რაღაც ახალ სხეულად გადააქციო (ბიჭმა უნდა გააკეთოს ის, რაც ევალება, საყვარელო). სხეული ესაა არმსტედი, ლივორნოს მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში სიკვიდილამდე მიყვანილი, გაპრიალებული ფეხის თითებით და იოგით გამოყვანილი ყავისფერი ფეხებით და ბერტი, ბერძენ მეზღვაურთან ერთად დაპყრობილ ათენში, ღია ფანჯრიან ოთახში პართენონის ხედით ან პირალმა მოტივტივე, სახეზე ნავთობის თხელი ფენით პირეის ყურეში. სხეული ესაა ახალ-გაზრდა ინგლისელის ყურძნის სუნის მქონე კოცნა.

ორი მსუქანი, რიგიანად ჩაცმული მამაკაცი გამოვიდა კაფედან. ისინი საპროცენტო განაკვეთებს განიხილავდნენ. ხვალ კი ფრთხილად გადააჯვარედინებენ ხმლებს ბალში და გამოაცხადებენ სისხლის პატივისცემას, როდესაც ფოტოგრაფები გადაღებას დაიწყებენ.

ერთმა მამაკაცმა ჩაიარა, რომელსაც ჩალმა ეხურა. გურქა ნიჩბით ხელში, რომელიც მან მკვლელობის იარაღად აქცია, მოწოდებულია სიგარეტების შეურაცხყოფის გამო შური იძიოს. ყველგან ძალადობაა და

სად გინდა წახვიდე. როზმარის ტანში ურუანტელმა დაუარა.

– შეგცივდა, – თქვა როდნიმ და ისინი ტაქსში ჩასხდნენ. ქალი მთელი ძალით მიეხუტა. პერანგი გაუხსნა და ხელი მკერდზე დაადო. კანი რბილი იყო, ერთი ბენვიც კი არ ჰქონდა. მისი ნაზი ხორცი შორს იყო სამხედრო ცხოვრებისა და ციხის საშინელებებისაგან. სათუთი, ინგლისური კანი, ხელშესახებად ისეთი რბილი.

– არ მინდა, ამ ღამეს მარტო ვიყო, – ჩაიჩურჩულა ქალმა ბნელ ტაქსში.

ნაზი, გაურკვეველი, უცხო, უპრეტენზიო კოცნა. პარიზული ღამის ღვინით შეზავებული სურვილები, ხვალინდელი დღის მბრძანებლური მოთხოვნა უფრო მყუდრო, დამჯერი გახდა. არაფერი უირდა, თუკი როზმარი მამაკაცის სახელს ვერ დაიმახსოვრებდა, განშორება არ სურდა.

ისინი ოთახში ერთად ავიდნენ. ღამის მორიგეს თავი არც აუწევია, როდესაც გასაღები გადასცა. წყვილს სინათლეც არ აუნთავა, როდესაც გახდა დაიწყეს, მაგრამ შემდეგ, როდესაც საწოლში ჩაწენენ, მამაკაცი მიხვდა, რომ ქალთან სექსი არ უნდოდა. მას უბრალოდ ქალის გატყება სურდა. როზმარიმ ნება მისცა, რაც მოეხასიათებოდა, ის ეკეთებინა. რას კარგავდა?

განთიადის დადგომისას, როდესაც მამაკაცი მიღიოდა, როზმარიმ კოცნის ნება მისცა, მან კი ძალიან ნაზად ჰქითხა, ლანჩიზე ხომ არ შეხვდებოდა, მამაკაცი კარებში გავიდა, როზმარიმ სინათლე აანთო, აბაზანაში შევიდა და მაკიაჟის მოშორება დაიწყო. როდესაც სარკეში იყურებოდა, სიცილი აუტყდა, ეს ტლანქი, შეუწირებელი სიცილი იყო.

ინგლისურიდან თარგმნა  
**ნინო თოხაძემ**